ბავშვის უფლებათა განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი

საქართველოს უზენაესი სასამართლო
კვლევისა და ანალიზის ცენტრი

თბილისი
2019

Glossary (Terminology guidelines) on the Rights of the Child

The Supreme Court of Georgia
The Research and Analysis Centre

Tbilisi
2019

ლექსიკონი-ცნობარი მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

ავტორი და მთავარი რედაქტორი

მარინა კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

ავტორები

ნათია ჯუღელი

კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

ქეთევან ჩიგოგიძე

ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რედაქტორი

ნინო ძიძიგური

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019
ISBN 978-9941-8-1249-1

Glossary was prepared by Research and Analysis Centre
The Analytical Department
The Supreme Court of Georgia

AUTHOR AND CHIEF EDITOR
THE HEAD OF THE ANALYTICAL DEPARTMENT

Prof. Dr. Marina Kvachadze

AUTHORS

Chief Consultant of Research and Analysis Centre
Natia Jugeli

Doctor of psychology, Associate Professor
Ketevan Chigogidze

EDITOR

Nino Dzidziguri

TECHNICAL EDITOR

Marika Maghalashvili

© The Supreme Court of Georgia 2019
ISBN 978-9941-8-1249-1

წინათქმა

ბავშვის უფლებათა განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი ბავშვებთან მიმართებით, სამართალწარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, განმარტავს 300-ზე მეტ ძირითად სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ტერმინს. ნაშრომი მიზნად ისახავს ტერმინოლოგიის შინაარსობრივად მოცულობითი თუმცა, ამავდროულად, კომპაქტური განმარტებების გზით, გადმოსცეს საერთაშორისო ინსტრუმენტებითა და ეროვნული კანონმდებლობით დაცული ბავშვის უფლებების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია.

წინამდებარე პუბლიკაცია საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებზე დაყრდნობით, გამდიდრებულია ბავშვის უფლებების სწრაფი განვითარების კვალდაკვალ დაგროვილი გამოცდილებით.

ბავშვის უფლებათა განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი განკუთვნილია როგორც მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პირთათვის, ისე ფართო პროფილის იურისტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

ავტორები იმედოვნებენ, რომ წინამდებარე პუბლიკაცია ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მის მომხმარებელს და ხელს შეუწყობს ბავშვის უფლებების პატივისცემასა და პრაქტიკის შემდგომ განვითარებას.

PREFACE

The glossary (Terminology guidelines) on the Rights of the Child explains more than 300 major legal and psychological terms, taking into consideration the peculiarities of legal proceedings concerning to children. The purpose of this publication is to provide comprehensive information through compact definitions regarding the rights of children protected by international instruments and national legislation.

Based on International legal documents, the glossary reflects the experience accumulated in the process of rapid development of the rights of children.

We consider that the glossary (Terminology guidelines) on the Rights of the Child will be of particular interest not only for people working in the judiciary, but for the professors, students and other persons interested in these issues.

The authors express hope that this publication will serve as a great introduction to Children's rights and will provide daily practical assistance to its readers, the authors also believe that the glossary will contribute to respect of children's rights and further improvement of the practice.

ა

აგრესია (Aggression) – სხვა ცოცხალი არსებისთვის ზიანის მიყენების მიზანმიმართული ქცევა. ქცევა შეიძლება არ იყოს პირდაპირ მიმართული სიბრაზის ობიექტზე (გაბრაზებულმა ადამიანმა შესაძლოა ჩაამტვრიოს ფანჯარა ან გატეხოს რაიმე სხვა ნივთი, იმის მაგივრად, რომ დაარტყას ან ზიანი მიაყენოს მას, ვინც გააბრაზა) ან შესაძლოა აგრესია გადაიტანოს ან მიმართოს სხვა ადამიანზე.

ადამიანის უფლებები (Human Rights) – ადამიანისაგან, როგორც გონიერი არსებისაგან, განუსხვისებელი უფლებები, რომელთა აღიარება და დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს უფლებები ღმერთის მიერ არის ნაბოძები და ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქაში ან საზოგადოებაში ცხოვრობდა ან ცხოვრობს ადამიანი, ეს უფლებები არ იცვლება, ამიტომ სახელმწიფო მოვალეა აღმოაჩინოს და დაიცვას ისინი. ამდენად, ადამიანის უფლებები პოზიტიური სამართლის ანუ იმ ნორმათა ერთობლიობის მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, პირველად წყაროდ ცხადდება, ხოლო სახელმწიფოს მიერ თავისი კანონით ამ უფლებათა უგულებელყოფა მართლსაწინააღმდეგო, უზურპაციის აქტად ითვლება.

პოზიტივიზმის მიმდევრები, რომლებიც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ აცხადებდნენ მხოლოდ სახელმწიფოს ნებას და მის კანონმდებლობას, უარყოფდნენ ადამიანის ბუნებითი უფლებებისათვის უპირატესობის მინიჭებას მოქმედი კანონმდებლობის წინაშე და ამ უფლებათა ნუსხას სახელმწიფოს ნებას უქვემდებარებდნენ. კაცობრიობის განვითარების პროცესში, სულ უფრო და უფრო იმარჯვებდა ბუნებითი სამართლის შეხედულებები, თუმცა გარკვეული ცვლილებებით – ყალიბდებოდა ე.წ. ცვალებადი შინაარსის ბუნებითი სამართლის კონცეფცია, რომლის მიხედვით, ადამიანის უფლებები არ შეიძლებოდა იმავე არსისა და მოცულობის ყოფილიყო მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის ხანაში – ეს კატეგორიები იცვლება და ახალ შინაარსს იძენს კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ჩასახვასა და განვითარებასთან მჭიდრო კავშირში; ადამიანის უფლებები რჩება სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების პირველად წყაროდ, მაგრამ მათი მოცულობა ვარირებს ეპოქისა თუ კონკრეტული საზოგადოების განვითარების დონეთა მიხედვით. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საერთაშორისოსამართლებრივ დოქტრინაშიც არსებობდა კონცეფცია ადამიანის ბუნებითი უფლებების შესახებ: მათ უკავშირებდნენ მსოფლიო და ცალკეული საზოგადოებრივი ფორმაციების საწარმოო ურთიერთობათა განვითარების დონეს და მიიჩნევდნენ ადამიანის არსებისგან ობიექტურად განუსხვავებელ კატეგორიად, რომლის იგნორირება სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს. ადამიანის უფლებათა პირველადი ხასიათის თეორიამ სახელმწიფო კანონმდებლობის პრაქტიკაში გამოძახილი ჰპოვა ჯერ კიდევ, ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (4. VIII. 1776), აშშ-ის კონსტიტუციაში (1787) და საფრანგეთის პირველი რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის მიერ მიღებულ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში“ (1789), სადაც აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებები არის „ბუნებითი, განუსხვისებელი და წმიდათწმიდა“ კატეგორია. ფაქტობრივად, ამავე პრინციპს ეყრდნობა გაე-

როს წესდება, რომელიც პირველად იყენებს საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტში ისეთ ცნებებს, როგორიცაა „ადამიანის უფლებები, ადამიანის პიროვნების ღირსება და ღირებულებანი“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1948 წელს, ადგენს ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს, რომელთაც პატივი უნდა სცენ და დაიცვან სახელმწიფოებმა. ეს განსაზღვრული უფლებები შეიძლება ექვს ჯგუფად დაიყოს: უსაფრთხოების უფლებები, რომლებიც იცავენ ადამიანებს ისეთი დანაშაულებისაგან, როგორიცაა: მკვლელობა, მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, წამება და **გაუპატიურება**; სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც მიმართულია სასამართლო სისტემის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, რაც გამოიხატება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დაპატიმრებაში, საიდუმლო სასამართლო პროცესებში და გადამეტებულ სასჯელებში; თავისუფლების უფლებები, რომლებიც იცავენ რწმენის, გამოხატვის, შეკრების, გაერთიანებისა და გადაადგილების თავისუფლებებს; პოლიტიკური უფლებები, რომლებიც იცავენ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თავისუფლებას სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა გაერთიანება, პროტესტის გამოხატვა და არჩევნებში ხმის მიცემა; თანასწორობის უფლებები, რომლებიც იძლევიან თანასწორუფლებიანი მოქალაქეობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის უარყოფის გარანტიებს; და სოციალური (ან „კეთილდღეობის“) უფლებები, რომლებიც სხვა ბევრ საკითხთან ერთად მოითხოვენ ყველა ბავშვის განათლების მიღების უზრუნველყოფას და უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილისგან დაცვას. არსებობს აგრეთვე, კოლექტიური უფლებების ცნება. ისინი არ არის ასახული საყოველთაო დეკლარაციაში, თუმცა მათ მოიცავს შემდგომ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები. ჯკოლექტიური უფლებები მოიცავენ ეთნიკური ჯგუფების დაცვას გენოციდისაგან და სახელმწიფოების მიერ მათი ეროვნული ტერიტორიებისა და რესურსებზე საკუთრების უფლების დაცვას.

ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმები (Treaty based mechanisms for the protection of human rights) – ადამიანის უფლებების სფეროში მოქმედ უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე შექმნილი ორგანოები და მექანიზმები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კონტროლი გაუწიონ ამ ხელშეკრულებათა მონაწილე სახელმწიფოების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას (იხ.: საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციები წამებისა და სასტიკი, არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ).

გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი მექანიზმებისაგან განსხვავებით (მაგ., **გაეროს** ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში), ამ ორგანოებსა და პროცედურებს დამოუკიდებელი ხასიათი აქვთ: **გაერო** ან მისი რეგიონული ორგანიზაცია მათ მხოლოდ ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფენ: ორგანოების სესიები ტარდება **გაერო**ს შტაბ-ბინაში (ნიუ-იორკი), მის ევროპულ განყოფილებაში (ჟენევა) ან რეგიონული ორგანიზაციის შტაბ-ბინაში (სტრასბურგი). ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები შექმილია აგრეთვე, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში, აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციაში, არაბული სახელმწიფოების ლიგაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (European Court of Human

Rights) – ევროპის კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ შექმნილი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ამ კონვენციის მონაწილე სახლმწიფოების მიერ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. იგი მუდმივმოქმედი ორგანოა და შედგება მოსამართლეთა იმ რაოდენობისგან, სახელმწიფოთა რა რაოდენობაც არის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე. ევროპული სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა.

კონვენციის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს უფლება ენიჭება, მიმართოს სასამართლოს კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის შესახებ (მუხ. 33).

ასევე, სასამართლო უფლებამოსილია, კერძო პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფებისაგან განსახილველად მიიღოს საჩივრები, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ (მუხ. 34); უფლებამოსილია, გამოიტანოს საკონსულტაციო დასკვნა კონვენციისა და მისი ოქმების განმარტების საკითხზე (მუხ. 48). სასამართლო განსახილველად იღებს მხოლოდ იმ საჩივრებს, რომლებიც აკმაყოფილებს კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს, საჩივარი მიუღებლად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ: ა) ამა თუ იმ პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფის მიერ არ არის ამოწურული თავისი უფლებების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები; ბ) ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებიდან, სასამართლოში საჩივრის წარდგენამდე ექვს თვეზე მეტია გასული; გ) საჩივარი ანონიმურია; დ) იგი უკვე განხილულია ამ სასამართლოს ან სხვა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოს მიერ; ე) შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან; ვ) აშკარად დაუსაბუთებელია ან საჩივრის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებაა. აგრეთვე, სასამართლო განსახილველად არ მიიღებს ინდივიდუალურ საჩივარს, თუ ის მიიჩნევს, რომ მომჩივანს არ განუცდია მნიშვნელოვანი ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებების დაცვა მოითხოვს ამგვარი საჩივრის არსებითი მხარის განხილვას და იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული საფუძვლით ვერც ერთი ის საქმე ვერ იქნება უარყოფილი, რომელიც ეროვნული სასამართლოების მიერ სათნადოდ არ ყოფილა განხილული. თუ საჩივარი მისაღებად იქნა მიჩნეული, სასამართლო შეეცდება, რომ საქმით დაინტერესებულ მხარეებს შორის (მომჩივანი და სახელმწიფო) დავა მორიგებით გადაწყდეს (მუხ. 38); საქმის ამგვარად დამთავრების შემთხვევაში, შესაბამისი სახელმწიფო ფინანსურ კომპენსაციას უხდის ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლს, ხოლო ამასთან დაკავშირებით, ზოგჯერ ცვლილებაც კი შეაქვს თავის კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაში, თუ საქმე მორიგებით არ გადაწყდა, სასამართლო განიხილავს საჩივარს და გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება. საჩივრების განსახილველად სასამართლოში შექმნილია სამი მოსამართლისგან შემდგარი კომიტეტები, შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატები და ჩვიდმეტი მოსამართლისგან შემდგარი დიდი პალატა (მუხ. 27).

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენცია არ მოიცავს დებულებებს, რომლებიც ბავშვს სპეციფიკურად ახსენებს, გარდა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (დ) ქვეპუნქტისა, რომელიც არასრულწლოვნის დაკავებას შეეხება და მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა, რომელიც დახურული სასამართლო პროცესის ჩატარების შესაძლებლობას ითვალისწინებს, როდე-

საც არასრულწლოვანთა ინტერესები ამას მოითხოვს. თუმცა, ევროპულმა სასამართლომ არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც სწორედ ბავშვთა უფლებებს შეეხება.

საქართველომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის რატიფიცირება 1999 წელს მოახდინა, ამავე წელს საქართველოდან არჩეულ იქნა სასამართლოს წევრი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი (Human Rights Committee) – შექმნილია საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (მუხ. 28) და არჩევა ხდება პაქტის მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციაზე. მისი მიზანია ზედამხედველობა გაუწიოს პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებიც მიუკერძოებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. კომიტეტის წევრთა უფლებამოსილების ვადა 4 წელია. კომიტეტი თავისი ფუნქციების განსახორციელებლად მოქმედებს საგანგებოდ შემუშავებული პროცედურის წესების საფუძველზე. კომიტეტი მიიღებს და განიხილავს სახელმწიფოების პერიოდულ მოხსენებებს, მათ მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ (მუხ. 40); განიხილავს პაქტის მონაწილე სახელმწიფოების შეტყობინებებს, ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ პაქტით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ (მუხ. 41), თუ ამ სახელმწიფოს აღიარებული აქვს ამ მუხლით დადგენილი წესი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმის თანახმად, მიიღებს და განიხილავს ინდივიდუალურ შეტყობინებებს პაქტის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ პირთა მიმართ ამ სახელმწიფოს მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს პირველადი მოხსენება ადამიანის უფლებათა კომიტეტს წარედგინება ამ სახელმწიფოსთვის პაქტის ძალაში შესვლიდან, ერთი წლის ვადაში. შემდგომი მოხსენებები კომიტეტს წარედგინება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კომიტეტი განიხილავს სახელმწიფოთა მოხსენებებს, აგრეთვე, სახელმწიფო და ინდივიდუალურ შეტყობინებებს და იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა. კომიტეტი ჩატარებული მუშაობის შესახებ ყოველწლიურ მოხსენებას წარუდგენს **გაეროს** გენერალურ ასამბლეას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (International Law of Human Rights) – საერთაშორისო სამართლის დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყოველი წევრის მიერ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (Universal Declaration of Humman Rights) – მიღებულია **გაეროს** გენერალური ასამბლეის მიერ (10.XII.1948). ამ დეკლარაციის მიღების თარიღი (10 დეკემბერი) ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე. დეკლარაცია ეხება როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. კერძოდ, დეკლარაციით გათვალისწინებულია ისეთი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება. იგი კრძალავს მონობას, წამებას, უკანონო დაპატიმრებას, დაკავებასა და დევნას. დეკლარაციით ასევე, გათვალისწინებულია ისეთი უფლებები, როგორიცაა კერძო და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრე-

ბელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება, გარანტირებულია მიმოწერის საიდუმლოება და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ დაცვის უფლება. დეკლარაცია ასევე, ითვალისწინებს სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. დეკლარაცია არ არის იურიდიულად სავალდებულო, იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ თითქმის ყველა ქვეყანამ აქცია სავალდებულო ნორმების შემცველ საერთაშორისო ჩვეულებად. დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, როგორიცაა საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, რომლებიც 1966 წელს მიიღეს და ძალაში შევიდა 1976 წელს.

1989 წელს, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიღო ზოგადი კომენტარი №17, რომელიც შეეხება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ სამოქალაქო პაქტის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებს.

ადიქტი (Adicct) – ადამიანი, რომელიც დამოკიდებულია და მიჯაჭვულია მისთვის საზიანო ქცევაზე, ნივთიერებაზე და ჩვევაზე, როგორიცაა ნარკომანი, ლოთი, აზარტული მოთამაშე. როგორც წესი, ადიქტს უჩნდება კომუნიკაციის პრობლემები, ხდება მატყუარა, ვეღარ ამყარებს ურთიერთობას ოჯახის წევრებთან, უჭირს საქმეზე კონცენტრირება და მისი ქცევა იძენს დესტრუქციულ ხასიათს.

ადიქცია (Adiction) – მდგომარეობა, როდესაც ადამიანი კარგავს კონტროლს, საღი აზრს, ლოგიკას და თავის საზიანოდ აგრძელებს კონკრეტული მავნე ქცევის განხორციელებას. მაგალითად, ხდება დამოკიდებული ნარკოტიკებზე, სასმელზე, აზარტულ თამაშებზე, ნიკოტინზე და სხვ. ამგვარი ქმედება აზიანებს **ადიქტის** სოციალიზებულ ქცევას, მის შრომისუნარიანობას, კომუნიკაციის უნარს, ჯანმრთელობას და ზიანი მოაქვს არა მარტო მისთვის, არამედ მისი ოჯახისთვისაც. სპეციალისტების აზრით, ადიქცია „დაავადებაა“ ან ფსიქიკური გადახრა და მას მკურნალობა სჭირდება.

ავტომატიზმი (Automatism) – არაცნობიერად ჩადენილი ქმედება. ბრალდებულებისთვის გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს წარმოადგენს (მაგალითად, სომნამბულურ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა).

ავტონომიური ნერვული სისტემა (Autonomic nervous system) – ნერვული სისტემა, რომელიც აკონტროლებს სხეულის უნებლიე მოტორულ რეაქციას.

აზრის გამოხატვის თავისუფლება (The rightto freedom of expression) – ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, ეს უფლება შეიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეის მოძიების, მიღების და გადაცემის თავისუფლებას საზღვრების მიუხედავად, ზეპირი, წერილობითი ან ბეჭდვითი ფორმით, ხელოვნების ნაწარმოების ფორმით ან ბავშვის არჩევანის შესაბამისად, სხვა საშუალებების დახმარებით. თუმცა, ამ უფლების განხორციელებას შეიძლება შეეხოს შეზღუდვა, მაგრამ ასეთი შეზღუდვები შეიძლება იყოს მხოლოდ ის შეზღუდვები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და რომლებიც აუცილებელია: ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის ან ბ) სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრი-

გის, მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (Freedom of thought, conscience and religion) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-14 მუხლი ითვალისწინებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას. მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ მშობლების და შესაბამის შემთხვევაში, კანონიერი მეურვეების უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლების განხორციელებაში იმ მეთოდით, რომელიც შეესაბამება ბავშვის განვითარებად უნარებს. რელიგიის ან რწმენის თავისუფლებას შეიძლება შეეხოს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობის და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის შვილება (Adoption of a child reached the age of 10) – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იმ ბავშვის შვილად აყვანა, რომელსაც 10 წელი შეუსრულდა, მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. ბავშვის თანხმობა ირკვევა შვილად აყვანის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე ბავშვის მოსმენის შედეგად. თუ შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენამდე ბავშვი მშვილებლის ოჯახში ცხოვრობდა და მშვილებელს თავის მშობლად თვლიდა, გამონაკლისის სახით, შვილება შეიძლება შვილად ასაყვანის თანხმობის გარეშეც.

ალიმენტი (Maintence) – მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე, შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ მშობლები. თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას წყვეტს სასამართლო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (თავი III) განსაზღვრავს მშობლებისა და შვილების საალიმენტო მოვალეობებს.

ამბივერსია (Ambiversion) – ექსტრავერტისა და ინტროვერტის პიროვნული თავისებურებების ზომიერი ნაზავი.

ანტისოციალური ქცევა (Anti-social behavior) – ქცევა, რომელსაც ზიანი მოაქვს საზოგადოებისთვის და არღვევს საზოგადოებაში მიღებული ქცევის ნორმებს. ანტისოციალური ქცევის მაგალითებია: ხმაური ღამის საათებში, მუქარა, გრაფიტი, ნარკოტიკების მიღება, ქუჩაში უმიზნოდ ხეტიალი, ჩხუბი, ხულიგნობა.

ანტისოციალური პიროვნება (Antisocial personality) – ქცევითი დარღვევა, რომელიც ხასიათდება სხვადასხვა ტიპის დევიანტური აქტებით, როგორიცაა დელინკვენტობა, სკოლის გაცდენა, ქურდობა, ვანდალიზმი, ჩხუბი, სამუშაოს ცუდად და დაუდევრად შესრულება, იმპულსურობა, ირაციონალურობა, აგრესიულობა, გაუფრთხილებელი და დაუფიქრებელი ქცევა, სექსუალური აღვირახსნილობა.

არასრულწლოვანი (Minor) – საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (მუხლი 3.1) მიხედვით, 18 წლამდე ასაკის **არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი.** ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტი-

სათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ ითვლება.

არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოძახება (Summoning accused minors) – არასრულწლოვანი ბრალდებული გამოძახებული უნდა იქნას მისი კანონიერი წარმომადგენლის ან იმ დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი, ხოლო **არასრულწლოვანი მოწმე/არასრულწლოვანი დაზარალებული** – მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. (საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 33).

არასრულწლოვანი დაზარალებული (Minor victim) – არასრუწლოვანი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.

არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა (Individual approach to minors) – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას და გადაწყვეტილების მიღებისას, გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური მახსაიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

არასრულწლოვნის ემანსიპაცია (Emancipation of Minors) – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრუწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრუწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით, ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

თუ **კანონიერი წარმომადგენელი** ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება, როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (Juvenile Justice) – ტერმინი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ წარმოადგენს სამართლებრივი სისტემის ნაწილს, რომელიც კონკრეტულად განიხილავს ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებს. თუმცა, ტერმინის მნიშვნელობა

გარკვეულწილად, ბუნდოვნებას წარმოშობს და ქვეყნების მიხედვით, სხვადასხვანაირად განიმარტება. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყნებში „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ ეხება მხოლოდ იმ სასამართლოებს, რომლებიც განიხილავენ **კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა** წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს, მაშინ როდესაც ზოგიერთ ქვეყნებში, ამ ტერმინს იყენებენ ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის დროს.

იუვენალური ასევე, ხშირად გამოიყენება იმ პირებთან მიმართებით, რომლებსაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი. ეს სიტყვა ლათინურიდან მოდის და ნიშნავს ახალგაზრდას, ახალგაზრდა ადამიანს. დღეს, ხშირად გამოიყენება სისხლის სამართლის სფეროში, სადაც საკმაოდ ნათელი და ზუსტი მნიშვნელობა აქვს, მასში მოიაზრება **კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები**. მას ასევე, იყენებენ არასრულწლოვან მსხვერპლთან მიმართებითაც, თუმცა შედარებით იშვიათად.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (Juvenile Justice Code) – საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, **ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციას,** საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, მიღებულ იქნა 2015 წლის 12 ივნისს. კოდექსი ადგენს არასრულწლოვნის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.

კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა, **კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის** რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, **არასრულწლოვანი დაზარალებულისა** და **არასრულწლოვანი მოწმის** უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მოდელები (Juvenile Justice System Models) – სახელმწიფოების მიერ შექმნილი მართლმსაჯულების სისტემები დაცვასა და რეპრესიას შორის ლავირებს. ზოგმა სახელმწიფომ შექმნა სისტემა, რომელიც ეფუძნება **კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის დაცვას** და მისი სოციალური რეინტეგრაციის ხელშეწყობას, რომელსაც კეთილდღეობის მოდელი ეწოდება. სხვა სახელმწიფოებში კი, მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, სადაც წამყვანი ხაზია **კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის** დასჯა და მას რეპრესიული მოდელი ეწოდება. ამ ორი კონცეფციის გამოყენებით შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მესამე მოდელი, რომელიც აერთიანებს ორივე ნიშნებს და ასევე, ეხება ამ ორი სისტემის მიერ დავიწყებულ მოთამაშეს – მსხვერპლს; ამ მოდელს **აღდგენითი მართლმსაჯულება** ეწოდება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი (Juvenile justice procedure) – არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ან სისხლის სამართლის საქმისწარმოება, მათ შორის, დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრი-

ვი დევნა, საქმის სასამართლოში განხილვა, დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულება და რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი/პროცესის მონაწილე პირი (Person administering juvenile justice procedure/ party to juvenile justice procedure) – მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, **სოციალური მუშაკი**, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში,** ხოლო სამართალდარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები (Individual characteristics of a minor) – არასრულწლოვნებთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

აღნიშნული ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება ხდება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;

ბ) სასჯელის დანიშვნისას;

გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;

დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;

ე) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

„ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სტადიებზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიში კეთდება აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე აკმაყოფილებს განრიდების საკანონმდებლო კრიტერიუმებს, თუმცა პროკურორი არ იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სავალდებულო წესით ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პრრი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სტადიებზე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციარული სამსახური.

აღსანიშნავია, რომ პროკურორის დადგენილებით, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნას სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზეც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა.

არასრულწლოვანი მოწმე (Minor witness) – არასრულწლოვანი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან ან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

არასრულწლოვანი მოწმის დაცვის გარანტიები (Measures to protect minor witnesses) – არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, არასრულწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება: ა) არასარულწლოვანი მოწმის გამოსახულების ან/და ხმის შემცველი მოწყობილობების გამოყენებით, გაუმჭვირვალე ეკრანის მიღმა ან დისტრანციურად დაკითხვის შესახებ; ბ) სასამართლო სხდომამდე, ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის და დაკითხვის ვიდეოგადაღების შესახებ; გ) სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ და დ) ბრალდებულის სასამართლო სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესახებ, თუ **არასრულწლოვანი მოწმე** უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. ამ შემთხვევაში, სავალდებულოა საქმის სასამართლო განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.

არასრულწლოვანის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის (Responsibility of a minor for damages) – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირი არ აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა. მშობლები ან ათი წლის ასაკს მიღწეული პირის მეთვალყურეობაზე ვალდებული სხვა პირები მოვალენი არიან აანაზღაურონ ზიანი, რომელიც ამ პირმა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენა სხვას. მათი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება.

ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანი პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მან სხვას მიაყენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანის მიყენებისას მას არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობა გაეგო. იმ შემთხვევაში, როცა ამ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრება მის წარმომადგენლებსაც.

არასრულწლოვანი პაციენტი (Minor patient) – არასრულწლოვან პაციენტს აქვს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მის ასაკსა და გონებრივი განვითარების დონეს. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა არასრულწლოვნისათვის ხორციელდება სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების საშუალებით.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი (თავი VIII) განსაზღვრავს არასრულწლოვანი პაციენტის

უფლებებს.

არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებულებებში ყოფნის პირობები (Conditions of minors in detention and prison and prison facilities) – არასრულწლოვანი ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნა გამოყენებული, მოთავსდება პატიმრობის დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, – **არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში.** პატიმრობის დაწესებულების/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მომსახურება, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული, უნდა აკმაყოფილებდეს მისი ჯანმრთელობის დაცვის და ღირსების პატივისცემის მოთხოვნებს. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის XIII თავი დეტალურად განსაზღვრავს თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის უფლებებს.

არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება (Juvenile rehabilitation facility) – არასრულწლოვანთა განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პერსონალით უზრუნველყოფილი, განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, სადაც ათავსებენ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს და უზრუნველყოფილია მათი მუდმივი მეთვალყურეობა.

არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი და სასჯელის სახეები (Objective of a sentence and types of sentences) – არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. არასრულწლოვნის სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა; ბ) შინაპატიმრობა; გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ე) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები (The best interests of a minor) – არასრულწლოვნის უსაფრთხოება, კეთილდღეობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, განვითარება, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და **არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების** შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

არტიკულაციური მოტორიკა (Articulated Motoric) – სამეტყველო აპარატის ორგანოების კოორდინირებული მოძრაობა, რომელიც უზრუნველყოფს ბგერათკომპლექსის სწორ წარმოთქმას. მაგალითად, მსხვილ მოტორიკაში იგულისხმება სხეულის მიმოხრა, სიარული, სირბილი ხტუნვა და ა. შ. ხოლო წვრილი მოტორიკა ნიშნავს ხელის მტევნებით, ტერფებით, ხელისა და ფეხის თითებით შესრულებულ კოორდინირებულ მოძრაობებს.

ასერტული ქცევა (Ascetic behavior) – ნიშნავს ადამიანის განცდების, გრძნობების, იდეების იმ ფორმით გამოხატვას, რომელიც არ არღვევს სხვა ადამიანების უფლებებს. ამდაგვარი ქცევა როგორც წესი, არის გულწრფელი, მშვიდი და პირდაპირი. ასერტული ადამიანები დარწმუნებულები არიან თავის არჩევანში და შეუძლიათ თავისი მოსაზრებების დასაბუთება აგრესიის გარეშე.

ასიმილაცია (Assimilation) – პროცესი, როდესაც ახალი კოგნიტური ელემენტები იზიდავს ძველ კოგნიტურ ელემენტებს, ემსგავსება ან ახდენს მათ მოდი-

ფიცირებას ან პირიქით, ძველი ელემენტები იზიდავს და იმსგავსებს ახალს. ეს არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი ან ადამიანები იღებენ ჯგუფის ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებებს. მაგალითად: ემიგრანტების ასიმილაცია (მსგავსება) ხდება იმ ქვეყნის კულტურის მიმართ, სადაც ისინი გადადიან საცხოვრებლად.

ასოციაციის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლების უფლება (Freedom of association and to freedom of peaceful assembly) – „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს ბავშვის ასოციაციის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლების უფლებას. ამ უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება რაიმე შეზღუდვების გამოყენება, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც გამოიყენება კანონის შესაბამისად და რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, მოსახლეობის ზნეობის და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

ასოციალური ქცევა (Asocial behavior) – საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ინტერაქციაში ჩართვის მოტივაციის ნაკლებობა. ასოციალური ადამიანი უპირატესობას ანიჭებს განდეგილ და განმარტოებულ ცხოვრებას.

ასფიქსია (Asphyxia) – ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეული ხუთვის მდგომარეობა. მკვლევართა ნაწილის აზრით, ფსიქოპათის ნერვული სისტემის ზოგიერთი მონაკვეთი არ არის სათანადოდ განვითარებული, რის გამოც ისინი ვერ ამყარებენ კავშირს დანაშაულებრივ ქცევასა და სასჯელს შორის ანუ ვერ ხვდებიან, რომ ის დასჯადია და თავს დამნაშავედ არასდროს თვლიან და არ გააჩნიათ სინდისის ქენჯნა. მათი ვარაუდით, ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს ჩვილის ასფიქსიურ მდგომარეობაში დაბადება.

ა ტიპის პიროვნების სტილი (Type A Behavior Style) – ა ტიპის პიროვნებას ახასიათებს ცინიზმი, ამბიციურობა, მოუთმენლობა, მიზანმიმართულობა, ენერგიულობა, იდეით მოცულობა, ინიციატივა, ჯიბრიანობა, მტრული დამოკიდებულება გარემოს მიმართ, არაკეთილგანწყობა.

ატიტუდი (Attitude) – სოციალური განწყობა – შეძენილი და დასწავლილი, შედარებით მდგრადი დამოკიდებულება და შეფასებითი რეაქცია ადამიანების ქცევაზე, ღირებულებებზე, მოვლენებზე. ატიტუდი აგრეთვე, შეიძლება განიმარტოს, როგორც ობიექტის მოწონება-არმოწონების მდგრადი სისტემა, რომელიც ქცევაზე ახდენს გავლენას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ატიტუდის რომელიმე კომპონენტის ცვლილებას, მაშინ შეიცვლება ატიტუდის მთლიანი სტრუქტურა, რადგან ის მთლიანობითი ბუნებისაა. ატიტუდი შედგება სამი კომპონენტისგან – აფექტური, ანუ ემოციური, ქცევითი და კოგნიტური. აფექტური კომპონენტი განეკუთვნება ემოციურ რეაქციას, რომელიც ადამიანს აქვს რომელიმე ობიექტის ან მოვლენის მიმართ. მაგალითად: მას შიშის გრძნობა იპყრობს, როდესაც ის ხედავს ან ფიქრობს გველზე. ატიტუდი აგრეთვე განიმარტება, როგორც დადებითი ან უარყოფითი ელფერის მატარებელი შეფასების ტენდენცია.

აუტიზმი (Autism) – თავის ტვინის ნევროლოგიური და ბიოქიმიური დაავადება, რომელიც იწვევს ფიზიკური, სოციალური, ენობრივი უნარების განვითარების შეფერხებას. აუტიზმი თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის გან-

მავლობაში. აუტიზმის მქონე ბავშვი ვერ იგებს გზავნილის შინაარსს, არ პასუხობს გარემო გამღიზიანებელზე, არ ესმის სხვისი მეტყველება, ვერც თავად ამყარებს კონტაქტს გარშემომყოფებთან. აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს ხშირად უჩვეულო აღქმა აქვთ სუნის, გემოს და სხვა შეგრძნებების, ისევე როგორც განსხვავებულ რეაქცია აქვთ ტკივილზე, შეხებაზე და სხვ. ხშირად, აუტიზმით დაავადებული ბავშვი მგრძნობიარეა სინათლის და ხმაურის მიმართ.

აღდგენითი მართლმსაჯულება (Restorative Justice) – მოიცავს პრევენციას, განრიდების ღონისძიებებს, რეაბილიტაციას, დაკავების ალტერნატივებს, დაპატიმრების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებს და შეძლებისდაგვარად, მოკლე დროით გამოყენებას, აგრეთვე, სიკვდილით დასჯისა და ფიზიკური სასჯელების აკრძალვას. მისი მიზანია მსხვერპლს, დამნაშავესა და საზოგადოებას შორის არსებული დაზიანებული კავშირის აღდგენა. მართლმსაჯულების ეს მიდგომა ხელს უწყობს ზიანის გამოსწორებას, მოწინააღმდეგე მხარეების შერიგებასა და საზოგადოებაში დარღვეული ჰარმონიის აღდგენას. იგი გამოიყენება ყველა ასაკის ადამიანების მიმართ, თუმცა, განსაკუთრებით ეფექტიანია არასრულწლოვან დამნაშავეებთან, ვინაიდან იგი დადებით გავლენას ახდენს ბავშვის მორალურ და ემოციურ განვითრებაზე. ამ მიდგომამ შეიძლება შეაჩეროს არასრულწლოვანი დამნაშავის სრულწლოვან სამართალდამრღვევად გადაქცევის პროცესი.

აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება (Restorative justice measures) – ღონისძიება, რომელიც **კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს** საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს დაზარალებულს.

აღკვეთის ღონისძიებები (Pre-trial preventive Measures) – სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიებას, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნას განაჩენის აღსრულება. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო ან პატიმრობა. არასრულწლოვან ბრალდებულთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხს არეგულირებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-60 მუხლი.

ახლო ნათესავი (Close Relative) – საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-19 პუნქტის მიხედვით, არასრულწლოვნის მშობელი, მშვილებელი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

ბ

ბავშვი (Child) – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბავშვად მიიჩნევა 16 წლამდე ასაკის პირი. რაც შეეხება, საერთაშორისო აქტებში „ბავშვის“ განმარტებას, გაეროს 1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით: „წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას“. ხოლო 1999 წლის ბავშვთა „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად: „ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყველა ადამიანი“.

ბავშვთა უფლებები ციფრულ გარემოში (The right of the child in the digital environment) – ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გავლენას ახდენს ბავშვის გართობაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი უფლების განხორციელებით, რომლებიც დაცულია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით, ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციით და ევროპული სოციალური ქარტიით. **გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის** რეკომენდაციების თანახმად, ყველა ბავშვს უფლება უნდა ჰქონდეს უსაფრთხო ხელმისაწვდომობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ციფრულ მედიაზე, უნდა იცოდეს სრული ჩართულობის, საკუთარი თავის გამოხატვის, ინფორმაციის მოძიების და ყველა უფლებით სარგებლობის მექანიზმები, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ (ლანზაროტეს კონვენცია), რომელიც ხელმომწერ ქვეყნებს ავალდებულებს ზრდასრული ადამიანების მიერ ბავშვების ინტერნეტის მეშვეობით, სექსუალური ხასიათის ქმედებებში ჩართვის კრიმინალიზებას. კკონვენცია ასევე, სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებად მიიჩნევს ნებისმიერ აქტივობას, რომელიც უკავშირდება **ბავშვების ექსპლოატაციას** პორნოგრაფიის გზით, მათ შორის, ბავშვთა შეურაცხყოფის ამსახველი მასალის ონლაინ გაცნობიერებულად ყურებას.

2018 წლის 4 ივლისს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო CM/Rec (2018)7 რეკომენდაცია „ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებების პატივისცემის, დაცვის და შესრულების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცველ სახელმძღვანელო პრინციპებს ევროპული ხელისუფლებისთვის.

ევროპის საბჭოს სტრატეგია „ბავშვთა უფლებების შესახებ“ (2016-2017) ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოებისათვის შესაბამის მითითებებს ციფრულ გარემოში ბავშვთა უფლებების დასაცავად.

ბავშვის უფლება არ დაშორდეს თავის მშობლებს (Child's right not to be separated from his or her parents) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა **ბავშვის საუკე-**

თესო ინტერესებისათვის. ასეთი განსაზღვრა შეიძლება საჭირო გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე, ანდა როცა მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ და საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით.

კონვენციის თანახმად, სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ერთ ან ორივე მშობელთან დაშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

იმ შემთხვევაში, როცა ასეთი დაშორება გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ მიღებული რაიმე გადაწყვეტილებიდან, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრების, დატუსაღების, გასახლების, დეპორტაციის ან სიკვდილის (მათ შორის სიკვდილისა, რომელიც დადგა ნებისმიერი მიზეზით, სახელმწიფოს გამგებლობაში ამ პირის ყოფნის დროს) შემთხვევაში, ასეთი მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მშობლებს, ბავშვს ან თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს მათი თხოვნით გადასცენ საჭირო ინფორმაცია ოჯახის შესაბამისი წევრის (წევრების) ადგილსამყოფელის თაობაზე, თუ ამ ინფორმაციის გადაცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას.

ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება (Placing child in alternate care) – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ზოგიერთ შემთხვევაში, მასთან არსებული რეგიონული საბჭოების მეშვეობით.

ბავშვის არამართლზომიერი გადაადგილება ან არამართლზომიერი დაკავება (Unlawful movement of the child or unlawful detention) – პირისათვის ან ორგანოსათვის ერთობლივად ან ინდივიდუალურად მიკუთვნებული მეურვეობის უფლების დარღვევა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ, ცხოვრობდა უშუალოდ არამართლზომიერ გადაადგილებამდე ან არამართლზომიერ დაკავებამდე და რომელიც გადაადგილების ან დაკავების დროისათვის ფაქტობრივად გამოიყენებოდა ერთობლივად ან ინდივიდუალურად ან/და ამგვარად გამოყენებული იქნებოდა, რომ არა არამართლზომიერი გადაადგილება ან არამართზომიერი დაკავება.

ბავშვთა გამოყენება პორნოგრაფიულ მასალებში (Use of children for pornographic performances) – მთელ რიგ საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებში ვხვდებით ტერმინს „ბავშვთა გამოყენება პორნოგრაფიულ მასალებში“, როდესაც ცნება „პორნოგრაფიული“ მოიცავს არა მხოლოდ დოკუმენტირებულ ჩანაწერს, არამედ ონლაინ რეჟიმში შესრულებას. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ეხება „ბავშვთა ექსპლოატაციას პორნოგრაფიული წარმოდგენისთვის და მასალისთვის“, ფოკუსირებას ახდენს როგორც ქმედებაზე, ასევე საბოლოო მატერიალურ შედეგზე. „ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ“ აფრიკის ქარტიის 27-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ეხება „ბავშვთა გამოყენება პორნოგრაფიულ მოქმედებებში, წარმოდგენებში და მასალებში“, ხოლო საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციის №182 მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი შეიცავს ფორმულირებას „ბავშვის გამოყენებას, შეთავაზებას ან

დაქირავებას პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისათვის ან პორნოგრაფიული წარმოდგენისათვის". აღნიშნული ჩანაწერი იცავს ბავშვს სექსუალური ხასიათის მქონე პორნოგრაფიულ ონლაინ (ანუ ჩანაწერის გარეშე) წარმოდგენებში ექსპლოატაციის შემთხვევებისგან.

ლანზაროტეს კონვენცია კიდევ უფრო ვრცლად განსაზღვრავს ცნებას ბავშვის „გამოყენების" სხვადასხვა ფორმების დეტალიზაციით და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მოახდინონ ისეთი ქმედებების კრიმინალიზება, რომელიც ეხება ბავშვის პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობას ან იწვევს ბავშვის მსგავს წარმოდგენებში მონაწილეობას; ბავშვის იძულებას, მონაწილეობა მიიღოს პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ან სარგებლის შეთავაზებას ან ბავშვის ექსპლოატაციას მსგავსი მიზნებისთვის, ამასთან, ბავშვთა მონაწილეობით პორნოგრაფიულ წარმოდგენებზე გაცნობიერებულად დასწრებას.

ხშირ შემთხვევებში, ტერმინმა „პორნოგრაფიული" ბავშვებთან მიმართებით შესაძლებელია შეცდომაში შეგვიყვანოს და შედეგად გამოიწვიოს სტიგმატირება ან ამ მიზნით გამოყენებული ბავშვისთვის ზიანის მიყენება. აღნიშნული ფენომენის დასახასიათებლად უფრო ნეიტრალური ტერმინი, რომელიც აქცენტს აკეთებს ბავშვის სექსუალურად გარყვნაზე, არის „ბავშვთა გამოყენება სექსუალურ წარმოდგენებში".

ბავშვთან გასაუბრება/ჩვენების მიღება (Evidence/statements by children) – „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ" ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წელს მიღებული სახელმძღვანელო პრინციპების (პარა. 64-74) მიხედვით, ბავშვთან გასაუბრება უნდა აწარმოოს სპეციალურმა პროფესიონალმა. გასაუბრების რაოდენობა შეძლებისდაგვარად, უნდა იყოს ხანმოკლე და ყოველ ჯერზე ჩაატაროს ერთი და იგივე პირმა. მაქსიმალურად უნდა იყოს თავიდან აცილებული პირდაპირი კონტაქტი მსხვერპლ ან მოწმე ბავშვსა და სავარაუდო მოძალადეს შორის, თუ ამას არ მოითხოვს მსხვერპლი ბავშვი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მიმანიშნებელი კითხვები. ბავშვის მიერ გაკეთებული განცხადებები და ჩვენება არასდროს უნდა ჩაითვალოს მტკიცებულების ძალის არმქონედ ან არასარწმუნოდ, მხოლოდ ბავშვის ასაკიდან გამომდინარე.

ბავშვის გაუპატიურება (Rape of a child) – გაუპატიურება დანაშაულია. პირის ამ შემთხვევაში, ბავშვის ნების წინააღმდეგ განხორციელებული არანებაყოფლობითი სქესობრივი აქტი, რომელიც ხშირად მოიცავს ფიზიკურ ძალადობას. ზოგიერთ სახელმწიფოში, ბავშვის გაუპატიურება ადგილობრივი კანონმდებლობით განმარტებულია, როგორც დანაშაული, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, შესაბამისად, ამ სახელმწიფოებში გაუპატიურება წარმოადგენს დანაშაულს გენდერული ნიშნით. მნიშვნელოვანია ამ ტერმინის გენდერულად ნეიტრალური მნიშვნელობით გამოყენება. გარდა ამისა, ვინაიდან გაუპატიურება, როგორც წესი, გულისხმობს გარკვეული ფორმით პენეტრაციას, ზოგიერთმა სახელმწიფომ (მაგალითად, საფრანგეთი, კანადა და სხვ.) საკუთარი კანონმდებლობიდან ამოიღო ეს ტერმინი და ჩაანაცვლა „სექსუალური ძალადობით", რაც აფართოებს დანაშაულის საზღვრებს და ვრცელდება სექსუალური ხასიათის ისეთ დანაშაულებზეც, რომლებიც არ მოიცავს პენეტრაციას.

ბავშვის გარყვნა სექსუალური მიზნებით (Corruption of children for sexual purposes) – გულისხმობს ბავშვის გან-

ზრახ იძულებას, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, უყუროს სექსუალურ ძალადობას ან სექსუალურ აქტს, თუნდაც მონაწილეობის გარეშე. ტერმინი „გარყვნა“ აღნიშნულ კონტექსტში ეხება „პირის მორალურად გარყვნის ქმედებას ან ეფექტს“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირის მორალური ქცევის სტანდარტისგან გადახვევას, მის მორალურ გარყვნას“. ტერმინი „ბავშვის გარყვნა სექსუალური მიზნებით“ ეხება ბავშვის იძულებას დაესწროს სექსუალურ ძალადობას ან სექსუალურ აქტს, თუნდაც მონაწილეობის გარეშე. ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ (ლანზაროტეს კონვენცია, მუხლი 22, 2007), განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს „ბავშვის გარყვნა“, ადგენს, რომ: „ყველა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა სახის ზომების მიღება, იმისათვის, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდეს ბავშვის განზრახ იძულება, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, უყუროს სექსუალურ ძალადობას ან სექსუალურ აქტს, თუნდაც მონაწილეობის გარეშე.

ბავშვის დაყოლიება სექსუალური მიზნებისთვის (Solicitation of children for sexual purposes) – ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ (ლანზაროტეს კონვენცია, 2007) არის პირველი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ბავშვის ნდობის მოპოვებას სექსუალური სიახლოვის მიზნით. აღნიშნული კონვენცია (მუხლი 23) ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რათა მოახდინონ შემდეგი ქმედების კრიმინალიზაცია: „მოზარდის მიერ განზრახი შეთავაზება ინფორმაციის და ტექნოლოგიური კომუნიკაციების მეშვეობით, რათა შეხვდეს ბავშვს, რომელსაც მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ასაკამდე არ მიუღწევია, იმ მიზნით, რომ ჩაიდინოს რომელიმე იმ დანაშაულთა სახეებიდან, რომელიც მოცემულია მე-18 მუხლის 1 (ა) ნაწილში ან მე-20 მუხლის 1 (ა) ნაწილში, იმ პირის წინააღმდეგ, როდესაც ასეთ შეთავაზებას მოჰყვა ისეთი ქმედება, რისი საბოლოო შედეგი იყო ასეთი სახის შეხვედრა“.

ევროკავშირის 2011/93 დირექტივა სექსუალურ ძალადობასთან და ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან და **ბავშვის პორნოგრაფიასთან** ბრძოლასთან დაკავშირებით მისდევს ლანზაროტეს კონვენციას და ასევე, მოიცავს ტერმინის – „ბავშვთა დაყოლიებას სექსუალური მიზნებისთვის“ განმარტებას (მუხლი 6):

„1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ აღნიშნული განზრახი ქმედების დასჯა: შეთავაზება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით მოზარდის მიერ, რათა შეხვდეს სექსუალური აქტივობისათვის მოუმზადებელი ასაკის ბავშვს, იმ მიზნით, რათა ჩაიდინოს რომელიმე სახის დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია მე-3 (4) და მე-5 (6) მუხლებში, როდესაც ასეთმა შეთავაზებამ გამოიწვია ქმედება რისი საბოლოო შედეგიც იყო ასეთი სახის შეხვედრა [...].

2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყონ დასჯადი გახდეს მე-5 (2) და (3) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მცდელობაც მოზარდის მიერ, რომელიც დაჟინებით მოითხოვს ბავშვისგან, რომელსაც არ მიუღწევია სექსუალური აქტივობის ასაკამდე, მოამარაგოს ბავშვი პორნოგრაფიული მასალით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებებით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

საშუალებებით“.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი 2011 წლის №13 ზოგად კომენტარში, აღნიშნავს რომ „საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით სხვებთან კონტაქტით, ბავშვები შეიძლება დააშინონ, მათზე განხორციელდეს დევნა ან შეაწუხონ ან/და აიძულონ, მოატყუონ ან დაარწმუნონ შეხვდნენ უცხო პირებს, მოიპოვონ მისი ნდობა სექსუალური სიახლოვის მიზნით ან/და მოიპოვონ პირადი სახის ინფორმაცია“.

ბავშვების დაშინება/დაშანტაჟება მათი სექსუალური ხასიათის მასალების გავრცელებით, სექსუალური ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით (Sexual extortion of children) – ბავშვების დაშინება/დაშანტაჟება მათი სექსუალური ხასიათის მასალების გავრცელებით, სექსუალური ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით, გულისხმობს პირის შანტაჟს საკუთარი ფოტოების თანხმობის გარეშე გავრცელების გზით (მაგალითად, სოციალურ ქსელში ფოტოების გამოქვეყნება). მუქარა შეიძლება უკავშირდებოდეს სექსუალური სახის სარგებლის, ფულის ან სხვა სახის სარგებლის მიღებას. ხშირად, ბავშვებზე ნდობის მოპოვების მსურველთა გავლენა და ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მანიპულირება (ზოგჯერ რამდენიმე თვე) გადადის მუქარის, დაშინების და ზეწოლის აქტიურ ფაზაში, რადგან მან პირი ერთხელ უკვე დაარწმუნა გაეგზავნა მისთვის საკუთარი სექსუალური სახის ფოტოები. სექსუალური ხასიათის მასალების გავრცელებით, სექსუალური ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით, დაშინება/დაშანტაჟება, განიხილება როგორც ვირტუალური წაქეზება, როგორც ბავშვებში, ასევე მოზარდებში და როგორც ჩანს, მსოფლიოში არსებობს ამ ტიპის შანტაჟის მზარდი ტენდენცია, მათ შორის ისეთი უკიდურესი ფორმებიც, როგორიცაა ძალადობა, სადიზმი და დამნაშავეთა მხრიდან დამამცირებელი მოთხოვნები. ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული დაშინება/დაშანტაჟება მათი სექსუალური ხასიათის მასალების გავრცელებით, სექსუალური ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით, მოიცავს პროცესს, რომლის დროსაც ბავშვებს ან ახალგაზრდებს მუდმივად აიძულებენ აწარმოონ სექსუალური ხასიათის მასალა ან/და ეუბნებიან შეასრულონ მტანჯველი ქმედებები იმ მუქარით, რომ გამოააშკარავებენ მასალას, სადაც ისინი არიან გამოსახულნი, ზოგიერთ შემთხვევაში, ამგვარი სიტუაცია იმდენად აღარ ექვემდებარება კონტროლს, რომ მსხვერპლმა შეიძლება თავი დაიზიანოს ან ჩაიდინოს თვითმკვლელობა, როგორც თავის დასაღწევი ერთადერთი საშუალება ამ სიტუაციიდან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 139-ე მუხლი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პირის (მათ შორის, არასრულწლოვანის) სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების მიზნით, სახელის გამტეხი ინფორმაციის, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარისთვის, რომელმაც შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს პირს. თუ დანაშაული ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, აღნიშნული წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას.

ბავშვთა დაცვა ძალადობისგან (Child protection from violence) – „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მიხედვით, ბავშვის მიმართ ძალადობის დროს ბავშვი განცალკევება მოძალადე მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან ნებისმიერი სხვა მოძალადისგან პოლიციის

შემაკავებელი ორდერის ან **სოციალური მუშაკის** გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით სასამართლოსადმი მიმართვის, მშობლის უფლებამოსილების შეზღუდვის და მშობლისგან ბავშვის განცალკევების გადაწყვეტილების მიღების და გასაჩივრების საპროცესო წესებს. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს მსხვერპლს, ასევე მისი ოჯახის წევრს, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. კანონის ჩანაწერის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, არასრულწლოვნის დაკითხვისას გასათვალისწინებელია **არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები** მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.

ბავშვის ექსპლუატაცია (Child exploitation) – ბავშვის ექსპლოატაცია ნიშნავს ქმედებას, რომელიც მოიცავს სულ მცირე, სხვების ექსპლოატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლოატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს სხვა პრაქტიკას, ყმობას ან ორგანოებით ვაჭრობას. ბავშვის ექსპლოატაციის ყველაზე გავრცელებული ფორმებია სექსუალური ექსპლოატაცია, ბავშვის შრომა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენება, შეიარაღებულ კონფლიქტში გამოყენების მიზნით ბავშვის დაქირავება, დანაშაულებრივ ქმედებებში მისი ჩართვა, ბავშვის გაშვილება ან დაქორწინება, სამედიცინო ან სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენება, როგორიცაა ნიჭიერი ბავშვების გამოყენება და მედიის მხრიდან მათი გამოყენება ან მათთან ცუდად მოპყრობა.

ბავშვის ექსპლოატაციის ყველა ფორმის საერთო ნიშანია ძალადობის მაღალი ხარისხი. ბავშვი ამ დროს არის განმეორებითი და მრავალჯერადი ცუდად მოპყრობის, ფიზიკური და ემოციური ძალადობის მხვერპლი. გარდა ამისა, იგი ხშირად არის მოტყუების, სიყალბისა და უგულებელყოფის მსხვერპლი.

მეორე საერთო ასპექტია ექსპლოატაციის კომერციული ბუნება. სხვა სახის ძალადობისგან ექსპლოატაციას სწორედ ის გამოარჩევს, რომ ამ შემთხვევაში ძალადობასა და მოგებას შორის პირდაპირი კავშირია. ექსპლოატაციის შედეგად მიღებელი სარგებელი შეიძლება ბავშვს ან მის უახლოეს გარემოსცვასაც, მაგალითად, მის ოჯახის წევრებს, შუამავალსა და დანაშაულებრივ ჯგუფს გადასცენ. ბავშვის ექსპლოატაციის ყველაზე მძიმე ფორმა მიუხედავად დანაშაულის მიზნისა, არის გაყიდვა და **ტრეფიკინგი**. ყველა ბავშვს აქვს ექსპლოატაციის ყველა ფორმისგან დაცვის უფლება. ამის მისაღწევად, სახელმწიფოებმა უპირველესად, სავალდებულოდ უნდა აღიარონ საერთაშორისო ხელშეკრულებები. სექსუალურ ექსპლოატაციასთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“.

1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლი მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმას:

ა) დაყოლიება ან იძულება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ საქმიანობაზე;

ბ) ექსპლუატაციის მიზნით, ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;

გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმის „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ მე-3 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს მოახდინონ ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის კრიმინალიზაცია ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

„სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციაში (ლანზაროტეს კონვენცია, 18-23 მუხლები, 2007) ასახულია ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის ქმედებები. პრეამბულაში განმარტებულია ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია, როგორც **ბავშვთა პორნოგრაფია** და **პროსტიტუცია.**

ბავშვთა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ევროკავშირის 2011 წლის დირექტივის 2011/93 მე-4 მუხლში განმარტებულია სექსუალური ექსპლუატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ქმედებებს: ბავშვის ჩართვა პორნოგრაფია/პროსტიტუციაში, ბავშვის ჩართვა სექსუალურ აქტივობაში, პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით.

1999 წლის „ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ“ აფრიკული ქარტიის 27-ე მუხლი კრძალავს „სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის ყველა ფორმას“.

ბავშვებით ვაჭრობა (Sale of children) – 1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხივ და მრავალმხრივ დონეებზე ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა აღკვეთონ ბავშვების მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნით და ნებისმიერი ფორმით“. თუმცა, კონვენცია კონკრეტულად ამ ტერმინებს არ განსაზღვრავს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის №182-ე კონვენციის მესამე მუხლი ადგენს: „(ა) მონობის ან მონობის მსგავსი პრაქტიკის ყველა ფორმას, როგორიცაა მაგალითად, ბავშვების გაყიდვა და ბავშვებით ვაჭრობა, სავალო კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება და აგრეთვე, იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის, ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო დაქირავება შეიარაღებულ კონფლიქტებში მათ გამოყენების მიზნით“. თუმცა, აღნიშნული კონვენცია არ განსაზღვრავს ტერმინებს „ბავშვებით ვაჭრობა და **ტრეფიკინგი“**.

2000 წელს მიღებული ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ტერმინს – „ბავშვებით ვაჭრობა“, განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რომლის შედეგადაც, ბავშვი გადაეცემა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირს ან პირთა ჯგუფს ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად“, დამატებით, კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებმა უზრუნველყონ შემდეგი ქმედებების სისხლის სამართლის წესით დასჯა: (i) ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება შემდეგი მიზნებისთვის: (a) ბავშვის სექსუალური ექსპლოატაცია; (b) ბავშვის ორგანოების გადაცემა ანაზღაურების მისაღებად; (c) ბავშვის გამოყენება იძულებით სამუშაოებზე; (ii) შვილად აყვანის შესახებ საერთაშორისოსამართლებრივი აქტების დარღვევით ბავშვის შვილად აყვანისთვის შუამავლის იძულებითი თან-

ხმობის უკანონოდ მოპოვება“.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1990/68 რეზოლუციის მიღებით, განსაზღვრა ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ სპეციალური მომხსენებლის დანიშვნის საკითხი. თუმცა რეზოლუცია არ განსაზღვრავს ტერმინს „ბავშვებით ვაჭრობა“.

„ადამიანებით ვაჭრობის **(ტრეფიკინგის)** წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენციის მიზნებისთვის, ბავშვი ნიშნავს თვრამეტ წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს და ტერმინი „ადამიანებით ვაჭრობა“ განსაზღვრავს ექსპლოატაციის მიზნით ბავშვის სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას.

ბავშვი ვირტუალურ გარემოში (Child in the online environment) –„ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით, ტერმინის განსაზღვრებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი ორი ასპექტი:

1. ბავშვის ქცევა ვირტუალურ გარემოში. ბავშვის ქცევა ვირტუალურ გარემოში არ განსხვავდება ბავშვის ქცევისგან რეალურ სამყაროში. მაშინ, როდესაც ასაკობრივ შეზღუდვის პირობებში მყოფი ბავშვი (მაგ., 13 წლის ბავშვი) არის უფრო მგრძნობიარე, ვიდრე უფროსი ასაკის ბავშვები. ყველა პირი 18 წლამდე, საჭიროებს სპეციალურ დაცვას.

2. ბავშვის ყოფნა ვირტუალურ გარემოში. ბავშვი და ბავშვობა არის ადამიანის ცხოვრებაში გარკვეული დროის პერიოდი, ვიდრე პირი არ მიაღწევს სრულწლოვან ასაკს და გახდება ზრდასრული. თუმცა, სექსუალური ხასიათის მასალები, სადაც ასახულია ბავშვი, შეიძლება ვირტუალურ გარემოში დარჩეს მაშინაც, როდესაც ბავშვი სრულწლოვანი გახდება.

ბავშვზე გავლენის შეფასების მექანიზმი (Child impact assessment mechanism) – გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** №5 „ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები“, ასევე, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის №14 (2013) „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“, ზოგადი კომენტარების მიხედვით, ნებისმიერი კანონის მიღების, პოლიტიკის შემუშავების თუ დაფინანსების პროცესში წინასწარ უნდა შეფასდეს ბავშვის უფლებებზე მოსალოდნელი შედეგები. ბავშვზე გავლენის შეფასების ძირითადი მიზანია დაეხმაროს მთავრობას კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში და უზრუნველყოს ბავშვთა საკითხების პრიორიტეტულად განხილვა სხვადასხვა სექტორული პოლიტიკის და პროგრამების შემუშავების პროცესში. ეს შეფასება უნდა ჩატარდეს ახალი კანონების, რეგულაციების, დადგენილებების მომზადების პროცესში ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა (ხელყოფა) (Child sexual abuse) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია ზუსტად არ განასხვავებს ბავშვის მიმართ სექსუალურ ძალადობას, ბავშვის მიმართ სექსუალური ექსპლუატაციისგან. აღსანიშნავია, რომ სექსუალური ძალადობა ხორციელდება მოძალადის მიერ მხოლოდ სექსუალური დაკმაყოფილების მიზნით და არ არის მატერიალური გარიგების რაიმე ფორმა მაშინ, როდესაც სექსუალური ექსპლუატაციი-

სას მეტწილად, არსებობს გარიგება. გარდა ამისა, ძალადობას ახორციელებს პირი, რომელიც უცხო არ არის ბავშვისთვის, რომელსაც აქვს გარკვეული ძალაუფლება ბავშვზე, მაგ., ოჯახის წევრი, ნათესავი, მასწავლებელი, მწვრთნელი. დამნაშავის ძალაუფლება შეიძლება გამოწვეული იყოს ნდობით ან დამოკიდებულებით ბავშვის სექსუალურ ქმედებებში ჩართვის მიზნით.

ძალადობაში (abuse) მოიაზრება ფართო ცნება, რომელიც ცდება მხოლოდ ფიზიკურ ძალადობას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე გვაქვს ბავშვებთან. მცირე ასაკის გამო ბავშვის თანხმობა არ არის მნიშვნელოვანი დანაშაულებრივი ბუნების განმარტებისას, რადგან სწორედ ასაკის გამო ბავშვმა შეიძლება არ მისცეს გააზრებული ინფორმირებული თანხმობა. შესაბამისად, ძალადობა (abuse) ხორციელდება, როგორც უშუალოდ ძალის გამოყენებით, ასევე ძალის გამოყენების გარეშე.

საბოლოოდ, ბავშვის მიმართ ძალადობა შეიძლება განხორციელდეს არამხოლოდ ფიზიკური კონტაქტით ბავშვსა და სრულწლოვან მოძალადეს შორის, არამედ კონტაქტის გარეშე, მაგ., ბავშვის სექსუალური შევიწროება, მათ შორის ვერბალური ფორმით; ვირტუალურ სამყაროში განხორციელებული ძალადობა.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლი გამოყოფს „სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის ფორმას“: „ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ორმხრივ და მრავალმხრივ ეროვნულ დონეებზე უზრუნველყოფენ გაატარონ ყველა აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილონ:

ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებებზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში; ბ) ექსპლუატაციის მიზნით, ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში; გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში“.

„სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია(ლანზაროტეს კონვენცია, 2007)გამოყოფს ორივეს – „სექსუალურ ექსპლუატაციას“ და „სექსუალურ ძალადობას“. პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, კერძოდ, ბავშვთა პორნოგრაფია და პროსტიტუცია და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა, საზღვარგარეთ ჩადენილი აქტების ჩათვლით, დამღუპველად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე“. კონვენციის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი განაგრძობს: „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა მოიცავს წინამდებარე კონვენციის 18-23 მუხლებში მითითებულ ქმედებებს“. მე-18 მუხლი ყურადღებას ამახვილებს სექსუალური ძალადობის ფორმებზე: ა) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულების მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვის; ბ) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან თუ: აღნიშნული ხორციელდება იძულების, ძალის ან მუქარის გამოყენებით; ან ძალადობა ხორციელდება ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის გამოყენებით, მათ შორის ოჯახში; ან ძალადობა ხორციელდება ბავშვის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, კერძოდ მისი გონებრივი შეზღუდვის ან ფიზიკური უუნარობის, ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო.

ბავშვთა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ევროკავშირის 2011 წლის დირექტივის 2011/93 მე-3 მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულის სახეებს და გამოყოფს სექსუალურ ქმედებებში ჩართვას ბავშვთან.

1999 წლის „ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ" აფრიკული ქარტიის 27-ე მუხლი უთითებს „სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის ყველა ფორმას".

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი ტრანსნაციონალური დამნაშავეები (Transnational child sex offenders) – ტერმინი აღწერს ბავშვის სექსუალურ ექსპლუატაციაში დამნაშავეებს, მათ ვისაც სექსუალური მიზნებისთვის ჩართული ჰყავს ბავშვები, რომლებიც არ არიან მათი ქვეყნის მოქალაქეები ან არ აქვთ მათ ქვეყანაში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ტერმინი „ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის განმახორციელებელი ტრანსნაციონალური დამნაშავეები" იგივეა რაც ტერმინი „პირი, რომელიც გადაადგილდება ბავშვებზე ძალადობის მიზნით", სამართალდამცავი ორგანოები ამჯობინებენ ამ ტერმინს, რადგან იგი ასევე მოიცავს ისეთ დამნაშავეებს, რომლებიც მუდმივად ან ხანგრძლივი ვადით ცხოვრობენ საზღვარგარეთ. მეორე მხრივ, რადგანაც იგი მხოლოდ იმ დამნაშავეებს მოიცავს, ვინც ეროვნულ საზღვრებს კვეთს ბავშვთა წინააღმდეგ სექსუალური სახის დანაშაულის ჩასადენად, ეს ტერმინი არ გულისხმობს სექს-დამნაშავეებს, რომლებიც ქვეყანაში ან რეგიონში ასეთი დანაშაულის ჩასადენად მოგზაურობენ.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულების ჩამდენი პირი (Perpetrators of sexual crimes against children) – ტერმინები: „მოძალადე" და „დამნაშავე" ყველაზე ხშირად გამოიყენება ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სავარაუდო ჩამდენი პირების მიმართ. წამყვანი ლექსიკონების განმარტების მიხედვით, ტერმინი „მოძალადე" ძირითადად, ნიშნავს პირს, რომელიც ჩადის ან უკვე ჩაიდინა დანაშაული. ტერმინს „დამნაშავე" უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და ეხება პირს, რომელიც ახორციელებს საშიშ, არაკანონიერ და ამორალურ ქმედებას აგრეთვე, პირს, რომელიც მსჯავრდებულია მსგავსი სახის დანაშაულის ჩადენისთვის.

ბავშვთან მიმართებით სექსუალურ ძალადობაში ჩართულ პირებთან დაკავშირებით ტერმინების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები ორი გარემოება: (ა) პიროვნების როლი ბავშვების წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენასა და ხელშეწყობაში; და (ბ) პიროვნების სტატუსი ბავშვზე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით შესაძლო სისხლის სამართლის პროცესში, ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

პირველ გარემოებასთან დაკავშირებით, ბავშვზე სექსუალური ექსპლოატაციის კონტექსტში მოძალადესთან მიმართებით ხშირად გამოიყენება შემდეგი ტერმინები: (ა) „მომხმარებელი" ან „დამკვეთი" – პიროვნება, რომელიც ბავშვს იყენებს საკუთარი სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (ექსპლოატაციის შემთხვევაში, თანხის ან მსგავსი დაპირების სანაცვლოდ), შუამავლის ჩართულობით ან მის გარეშე. ტერმინი „მოძალადე" აგრეთვე, გამოიყენება „მომხმარებლთან/დამკვეთთან" მიმართებით. „მოძალადე" არის პირი, რომელიც სხვა პირზე ახორციელებს სექსუალური ხასიათის განსაკუთრებულ ძალადობრივ და ბოროტ ქმედებას, რეგულარულად ან განმეორებით. ტერმინში აგრეთვე, მოიაზრება პირი, რომელიც „სექ-

სუალურად ძალადობს სხვაზე, განსაკუთრებით, ქალზე ან ბავშვზე"; (ბ) „ფასილიტატორები" – ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც ახდენენ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ჩადენაში ხელშეწყობას ან დამნაშავეების დახმარებას (ხშირად მოიხსენიება როგორც შუამავალი). ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური ხასიათის დანაშაულებთან მიმართებით, აღნიშნული პირი შეიძლება იყოს „მოვაჭრე", რომელიც ბავშვს ხდის სექსუალური ექსპლოატაციისთვის ხელმისაწვდომს; (გ) „ექსპლოატატორი" – პირი, რომელიც იღებს მთავარ სარგებელს ან თანხას სექსუალური ექსპლოატაციისთვის. ლინგვისტურად, ტერმინი „ექსპლოატატორი" ეხება პირს, რომელიც იყენებს სხვა პირებს ან საგნებს საკუთარი სარგებლის ან უპირატესობის მისაღებად.

უფრო მეტიც, ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის განხორციელებისას, პირის ფუნქციამ შეიძლება მოიცვას მოსყიდვის, წაქეზების ან დანაშაულის ჩადენის მცდელობის ფორმები. თუმცა, უმეტესწილად, ხშირია ამ სხვადასხვა ცნებებს შორის გადაფარვა და რეალურად, სიტუაცია შეიძლება იყოს უფრო კომპლექსური იმის გათვალისწინებით, რომ ძნელია განვასხვაოთ სხვადასხვა აქტორები და ერთმა პირმა შესაძლებელია შესრულოს ერთზე მეტი ფუნქცია.

რაც შეეხება მეორე გარემოებას, ბავშვზე სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით, პირის ჩართულობიდან გამომდინარე ან ჩართულობის გარეშე, შეიძლება განისაზღვროს სამი საფეხური: (ა) „სავარაუდო მოძალადე" ან „სავარაუდო დამნაშავე" იმ პირთან მიმართებით, რომელსაც ბრალი ედება სექსუალურ ექსპლოატაციაში ან ბავშვზე სექსუალურ ძალადობაში, მაგრამ კანონმდებლობის თანახმად, მის მიმართ ნებისმიერი სახის სხვა დანაშაულისთვის არ დაწყებულა გამოძიება, არ მომხდარა მისი დაკავება, დაპატიმრება ან მსჯავრდება; (ბ) „ბრალდებული" ან „მსჯავრდებული" – პირი, რომლის მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით ოფიციალურად ჩატარდა გამოძიება ან მიმდინარეობს სისხლის სამართლის პროცესი; (გ) „მსჯავრდებული მოძალადე" ან „მსჯავრდებული დამნაშავე" – პირი, რომელიც პასუხისგებაში იქნა მიცემული და მსჯავრდებული ბავშვზე სექსუალური ექსპლოატაციის ან სექსუალური ძალადობის განხორციელებისთვის.

2000 წელს მიღებულ „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის დამატებით ოქმში გამოიყენება ტერმინი „სავარაუდო დამნაშავე", რომელიც აღწერს ბავშვზე სექსუალური ექსპლოატაციის დანაშაულის ჩამდენ სავარაუდო პირს (მუხლი 4) და ტერმინი „დამნაშავე" ეხება მსგავსი დანაშაულის ჩამდენ პირს (მუხლი 5 (5), ხოლო ტერმინი „ბრალდებული" გამოიყენება სისხლისსამართლებრივი პროცედურების ფარგლებში პირის მიმართ (მუხლი 8 (6)).

პალერმოს 2000 წლის პროტოკოლში ტერმინი „მოძალადე" განიხილება სისხლის სამართლის პროცესების კონტექსტში (მუხლი 6 (2)(ბ)) და ტერმინი „დამნაშავე" პირის დაკავებამდე ან გამოძიებამდე (მუხლი 10 (1) (ს).

2001 წლის ბუდაპეშტის კონვენციის 22-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი ეხება „სავარაუდო დამნაშავეს", სადაც მოიაზრება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი, მათ შორის, ბავშვზე სექსუალური ექსპლოატაციის განმახორციელებელი პირი.

2007 წლის ლანზაროტეს კონვენცია „სექსუალურ ძალადობაში მსჯავრდებული პირი" და „დანაშაულის ჩადენისთვის

მსჯავრდებული პირი“ კონვენციის მე-16 და 37-ე მუხლების მიხედვით, ეხება ბავშვზე სექსუალური ექსპლოატაციისთვის მსჯავრდებულ პირს. ტერმინი „დამნაშავე“ გამოიყენება ზოგადად, ბავშვზე სექსუალურ ექსპლოატაციაში ჩართულ ნებისმიერ პირთან მიმართებით (სისხლის სამართლის პროცესებში მათი მონაწილეობის მიუხედავად).

ევროკავშირის დირექტივაში 2011/93 მე-9 და მე-17 მუხლი ეხება ტერმინს – „მოძალადე“ და ჩამონათვალში „ბავშვზე მოძალადე“ და „სექსუალური მოძალადე“ (პარ. 25, 37, 43) მოიაზრება ბავშვზე სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული პირი ან მსგავსი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირი.

„გაეროს მსხვერპლ ბავშვებსა და დანაშაულის თვითმხილველებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საკითხების შესახებ“ 2005 წლის სახელმძღვანელო დოკუმენტში გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინები: „სავარაუდო დამნაშავე“ (პარ. 31 (ბ), 24 (ა)) და „სავარაუდო მოძალადე“ (პარ. 9 (ა)), პირი, რომელიც არ არის მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისთვის; „მსჯავრდებული“ (პარ. 8 (გ)) და „დამნაშავე“ (პარ. 20 (ბ) და 37)) სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეზე და „მსჯავრდებული დამნაშავე“ (პარ. 7 (ზ) და 8 (გ)), პირი, რომელსაც მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის პროცესში. ინტერპოლი იყენებს ტერმინებს „სექსუალური მოძალადე“ და „პირი, რომელიც გადაადგილდება ბავშვზე სექსუალური ძალადობის განხორციელების მიზნით“. ევროპოლი იყენებს ტერმინს „ბავშვზე სექსუალური მოძალადე“.

ბავშვის მონაწილეობა (Child participation) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-40 მუხლი სასამართლო პროცესში მშობლის და მზრუნველის მონაწილეობის გარდა, ადგენს ბავშვის უფლებას, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის კანონის დარღვევა, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში. გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** №10 ზოგადი კომენტარის (პარ. 46) თანახმად, ბავშვს აგრეთვე უნდა ესმოდეს მოსალოდნელი შედეგები და სასჯელის ზომა, რათა შეძლოს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით ეჭვქვეშ დააყენოს მოწმეთა ჩვენებები, გადმოსცეს საქმის არსი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მტკიცებულებების, ჩვენებებისა და მის მიმართ გასატარებელი ზომის (ზომების) შესახებ. ბავშვის უფლება, მონაწილეობა მიიღოს პროცესში, მჭიდროდ უკავშირდება მის უფლებას, იყოს დაუყონებლივ და უშუალოდ ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების თაობაზე. პეკინის წესების მე-14 მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომები უნდა ტარდებოდეს ისეთ გარემოში, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, მიიღოს მონაწილეობა და ღიად გამოთქვას საკუთრი მოსაზრებები. ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით, ასევე, შესაძლოა საჭირო გახდეს სხდომის ჩატარება შესაბამისად მოდიფიცირებული მოსმენის პროცედურებისა და პრაქტიკის მიხედვით.

ბავშვზე მორგებული გარემო და გასაგები ენა (Child-friendly environment and child-friendly language) – „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2010 წლის სახელმძღვანელო მითითებების (პარ. 54-62) მიხედვით, პროცესის დაწყებამდე ბავშვს გასაგები ენით უნდა გააცნონ სასამართლოს ან სხვა შესაბამისი შენობის მოწყობის გეგმა, ასევე, მონაწილე პირების ფუნქცია და ვინაობა. ბავშვს უნდა მისცენ ნება, სადაც საჭიროა თან ახლდეს მშობლები ან მის მიერ არჩეული ზრდასრული პირი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაბუთებული

გადაწყვეტილებით დადასტურებულია საწინააღმდეგო. დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იყოს აღიარებული და გამოყენებული ინტერვიუს სხვადასხვა მეთოდები, როგორიცაა ვიდეო ან აუდიოჩაწერა ან წინასასამართლო დახურული მოსმენის ჩანაწერი. დაცული უნდა იყოს კონფიდენციალურობა და პროცესი უნდა წარიმართოს პერიოდული შესვენებებით. მოსაცდელი და ინტერვიუს ოთახები უნდა იყოს მოწყობილი ბავშვზე მორგებული გარემოს პრინციპით.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება (Child-Friendly Justice) – გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს ისეთ მართლმსაჯულებას, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ესაა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ.

გაეროს გენერალური მდივნის სახელმძღვანელო მითითების – გაეროს მიდგომა ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხებზე მიხედვით, ბავშვთა მართლმსაჯულების საკითხები მხედველობაშია მისაღები ეროვნული კანონმდებლობის გადახედვის, შემუშავების და განხორციელების პროცესში, კერძოდ, ბავშვთა საკითხების ინტეგრირება უნდა მოხდეს საკონსტიტუციო რეფორმის განხორციელებისას, კანონმდებლობის შემუშავებისას; სამართალდამცავების, სასამართლოს წარმომადგენლების, დაკავების ადგილების პერსონალის, იურისტების, **სოციალური მუშაკების** და სხვა პროფესიონალების ეთიკის კოდექსების, სტანდარტების და სამსახურში მიღების კრიტერიუმების შედგენისას.

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ განმარტავს, რომ კანონის უზენაესობის პრინციპი, გარანტირებული უნდა იყოს ბავშვებისთვის ისევე, როგორც ზრდასრულებისთვის, და არ უნდა შემცირდეს ან გაუქმდეს **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** ქვეტექსტით. ეს ეხება როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან შექმნან დამოუკიდებელი და ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმები ბავშვის ასაკისა და აღქმის დონის შესაბამისად. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ ხაზგასმით აღნიშნავს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტებს, კერძოდ: ინფორმაცია და კონსულტაცია; პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა; უსაფრთხოება; პროფესიონალთა მომზადება; მულტიდისციპლინური მიდგომა; თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება სასამართლო პროცესის შემდეგ (Child-friendly justice after judicial proceedings) – „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების (პარა. 75-83) თანახმად, პროცესის შემდეგ ადვოკატმა, საპროცესო წარმომადგენელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა აუხსნას გა-

დაწყვეტილების შინაარსი, ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმებზე; სასამართლოს გადაწყვეტილება/განკარგულება უნდა აღსრულდეს დაყოვნების გარეშე. გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება უნდა მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ბავშვი მონაწილეობს; გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, კონფლიქტური პროცესების დროს, ბავშვებს და ოჯახებს უნდა გაეწიოთ სპეციალისტის მხარდაჭერა და კონსულტაცია. ასევე, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის და საჭირო სოციალური და თერაპიული კურსები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. ბავშვის ადვოკატს, საპროცესო წარმომადგენელს ან მეურვეს უნდა ჰქონდეს უფლება მოითხოვოს მსხვერპლი ბავშვის სახელით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ბავშვზე კომპენსაცია სახელმწიფოს მიერ უნდა გაიცეს საჭიროებისამებრ, ხოლო შემდეგ მოხდეს დამრღვევიდან მისი ანაზღაურება სახელმწიფოსთვის.

ბავშვის პირადი ცხოვრების უფლება (Child's right to respect for private life) – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფცია უფლებების ფართო წრეს მოიცავს, როგორიც არის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემა, საცხოვრებელი გარემოს პატივისცემის, მიმოწერისა და პატივისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება. „ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ" აფრიკული ქარტია პირდაპირ ადგენს, რომ „არც ერთი ბავშვი არ შეიძლება დაექვემდებაროს მის პირად ცხოვრებაში, ოჯახურ თუ საცხოვრებელ გარემოს ან მიმოწერაში თვითნებურ ან უკანონო ჩარევას, ან მის პატივსა ან რეპუტაციაზე თავდასხმებს, იმის გათვალისწინებით, რომ მშობლებს ან კანონიერ მეურვეებს ბავშვის ქმედებებზე გონივრული ზედამხედველობის განხორციელების უფლება უნდა ჰქონდეთ".

1985 წელს, **გაეროს** გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული არასრულწლოვანთან მოპყრობის გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების (პეკინური წესების) მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი (ვიი) სახელმწიფოებს ბავშვის პირადი ცხოვრების დაცვის პატივისცემას საქმისწარმოების ყველა ეტაპზე ავალდებულებს. პეკინური წესების ზოგიერთი დებულება ასახულია ბავშვის უფლებათა კონვენციაში. დოკუმენტის მე-8 წესი ადგენს ბავშვების უფლებას, რომ საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, მათი პირადი ცხოვრების პატივისცემა უზრუნველყოფილი იყოს. მცირეწლოვანთა მიმართ საქმის წარმოებისას, მათი პირადი ცხოვრების დაცვის უფლება ასახულია მე-7 წესში. აღნიშნული წესი საქმისწარმოებისას ძირითად წესებს, მათ შორის, ბავშვის მიერ დუმილის შენარჩუნების უფლებას ადგენს. ამ უფლების ერთ-ერთი ასპექტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის პირველ პუნქტშია ხაზგასმული. ამ ნორმის შესაბამისად, სასამართლოებსა და ტრიბუნალებში საქმისწარმოების ზოგ შემთხვევაში, საჯარო განხილვები გამოირიცხება და მცირეწლოვანთა მონაწილეობით წარმოებულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები საჯაროდ არ უნდა გამოცხადდეს. იმავე მუხლის მიხედვით, ეს პრინციპი საოჯახო დავების განხილვისას გამოიყენება, როდესაც სასამართლო ბავშვზე მეურვეობის ერთ-ერთი მშობლისთვის დაკისრების საკითხს განიხილავს. ამგვარ შემთხვევებში, ერთადერთი გამონაკლისის დაშვებაა შესაძლებელი, თუ **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** დასაცავად სხვაგვარი გადაწყვეტილებაა მიზანშეწონილი. დაცვის სხვა გარანტიებიც არსებობს, მაგალითად, როგორიც არის მოთხოვნა, რომ სახელმწიფოებმა იმგვარი ინფორმაციის გასაჯაროება არ დაუშვან, რაც შესაძლოა **კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა** იდენტიფიცირე-

ბას გამოიწვევს. ამგვარი გარანტიის კიდევ ერთი მაგალითია ბავშვის უფლება, ინსტიტუციებსა ან თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებებში ყოფნისას, მისი მონაცემები საიდუმლოდ იყოს დაცული.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა (Assessing and Determining the Child's Best Interests) – გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** №14 ზოგადი კომენტარის (ბავშვის უფლების შესახებ, მის საუკეთესო ინტერესს დაეთმოს უპირველესი ყურადღება) მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა ორი ნაბიჯისგან შედგება, რომლებიც უნდა გადაიდგას, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება. „საუკეთესო ინტერესების შეფასება შედგება ცალკეული კონკრეტული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფისათვის კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ყველა ელემენტის შეფასებისა და დაბალანსებისგან. იგი ხორციელდება გადაწყვეტილების მიმღები პირისა და მისი თანამშრომლების მიერ, თუ შესაძლებელია, მრავალდარგობრივი ჯგუფის მიერ და საჭიროებს ბავშვის მონაწილეობას". საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა წარმოადგენს ოფიციალურ პროცესს მკაცრი საპროცესო გარანტიებით, რომელიც შექმნილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, კონკრეტული ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

(ა) პირველი, საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ კონტექსტში უნდა განისაზღვროს, თუ რომელია შესაბამისი ელემენტები საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის, მიენიჭოს მათ კონკრეტული შინაარსი და პრიორიტეტი ერთმანეთთან მიმართებაში;

(ბ) მეორე, ამისათვის დაცული უნდა იყოს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებსა და უფლების სათანადო გამოყენებას.

№14 ზოგადი კომენტარი განმარტავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას გასათვალისწინებელ შემდეგ ელემენტებს: ბავშვის მოსაზრებები, ბავშვის იდენტობა, ოჯახური გარემოსა და ურთიერთობების შენარჩუნება, ბავშვზე ზრუნვა, მისი დაცვა და უსაფრთხოება, დაუცველობა, ბავშვის უფლება – ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით და ბავშვის **განათლების უფლება**.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების სამი განზომილება (Child's best interests is a threefold concept) – გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** ზოგადი კომენტარის №14 „ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ" (პარა. 6) მიხედვით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნებას სამი განზომილება აქვს:

ა) **მატერიალური უფლება:** ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად, ბავშვის) უფლება მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. ესაა კონვენციით დადგენილი და სახელმწიფოს არსებითი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უნდა იყოს გამოყენებული და დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრდეს სასამართლოში.

ბ) **ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი:** თუ ეროვნულ კანონში სა-

მართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების საშუალებას, გამოყენებული უნდა იქნას ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც მოცემულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში.

გ) **საპროცესო ნორმა:** ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. უფრო მეტიც, ბავშვთან, ბავშვთა ჯგუფთან ან ზოგადად, ბავშვებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს ამ უფლების უპირატესად გათვალისწინების დასაბუთებას. კერძოდ, დასაბუთებაში უნდა იყოს განმარტებული, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა; და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ინტერესებსა და პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია მოგზაურობის და ტურიზმის კონტექსტში/ფარგლებში/სფეროში (Sexual exploitation of children in the context of travel and tourism) – ტერმინი „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია მოგზაურობის და ტურიზმის კონტექსტში/ფარგლებში/სფეროში“ ეხება ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციას, რომელიც მოიაზრება მოგზაურობის, ტურიზმის ან ორივე კონტექსტში. დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც უცხოელი ასევე, არაუცხოელი ტურისტების, მოგზაურების, გრძელვადიანი დროებით მცხოვრების მიერ. პრაქტიკაში იგი განისაზღვრა, როგორც „ადამიანები, რომლებიც მოგზაურობენ თავიანთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში ბავშვთა პროსტიტუციის მომსახურების მისაღებად“. მრავალი განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, „სექსტურიზმი“ არის „დასვენების დღეების ორგანიზება იმ მიზნით, რომ მიიღონ სარგებელი სხვადასხვა უცხო ქვეყანაში სექსუალურ აქტივობასა და პროსტიტუციაზე საკანონმდებლო შეზღუდვის ნაკლებობის ხარჯზე“ და „სხვა ქვეყანაში მოგზაურობა იმ მიზნით, რომ სექსუალურ აქტში, განსაკუთრებით, ბავშვებთან გადაიხადონ თანხა“. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, ასევე გვხვდება ქვეყნის შიდა მოგზაურთა, ტურისტებთან მიმართებითაც და არ არის შეზღუდული სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით.

2000 წელს, ბავშვის უფლებათა კონვენციის მიღებული დამატებითი ოქმი განსაზღვრავს ტერმინს „ბავშვთა სექსტურიზმი“. პრეამბულა და ოქმის მე-10 მუხლი ადგენს, რომ: „მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა გააძლიერონ საერთაშორისო თანამშრომლობა მრავალმხრივი, რეგიონული და ორმხრივი შეთანხმებებით, თავიდან აცილების, გამოვლენის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და იმ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირების დასჯის მიზნით, რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვთა ვაჭრობაში, ბავშვთა პროსტიტუციაში, ბავშვთა პორნოგრაფიასა და ბავშვთა სექსტურიზმში“. ასევე, მონაწილე მხარეებმა უნდა განავითარონ საერთაშორისო თანამშრომლობა ბავშვთა პროსტიტუციის, ბავშვთა პორნოგრაფიისა და **ბავშვთა სექსტურიზმის** ისეთი მიზეზების აღმოფვხრის მიზნით, როგორიცაა სიღარიბე და განვითარების დაბალი დონე.

„სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (ლანზაროტეს კონვენცია, 2007) მუხლი 9 (2) „მოგზაურობისა და ტურიზმის სექტორს“ მოიაზრებს, როგორც მთავარ სუბიექტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ისეთი

პოლიტიკისა თუ შიდა რეგულაციების შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს სექსუალური ექსპლოატაციისა თუ ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემთხვევებს.

„ადამიანებით ვაჭრობის **(ტრეფიკინგის)** წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ევროპის საბჭოს 2005 წლის კონვენციის მიზნებისთვის ბავშვი ნიშნავს თვრამეტ წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს და ტერმინში „ადამიანებით ვაჭრობა" განსაზღვრავს ექსპლოატაციის მიზნით, ბავშვის სამუშაოზე აყვანას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფრის მიცემას ან მიღებას.

ბავშვთა სიღარიბე (Child poverty)– 2015 წლის 25 სექტემბერს, გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით – „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის". დოკუმენტი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას, მათ შორის, ბავშთა სიღარიბის აღმოფხვრას.

გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით, საქართველოში პერიოდულად ტარდება ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობის მონიტორინგისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება. „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა" ოჯახების პანელური გამოკითხვაა, რომელიც ტარდება ორ წელიწადში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ბავშვთა მონობის თანამედროვე ფორმები (Contemporary forms of slavery/ child slavery) – ბავშვთა სექსუალური ესპლუატაციისა და ძალადობის შემთხვევები ხშირად, კლასიფიცირდება მონობად და წარმოადგენს მონობასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმების დარღვევას, თუმცა მონობის ცნება საკმაოდ ფართოა და მოიცავს ბავშვთა და ზრდასრულ ადამიანთა წინააღმდეგ განხორციელებულ სხვადასხვა დარღვევას. გარდა ამისა, მონობა არ დაიყვანება მხოლოდ სექსუალურ ძალადობაზე და მოიცავს იძულებით შრომასა და ტრეფიკინგს სექსუალური ექსპლუატაციისაგან განსხვავებული მიზნებისთვისაც.

უკანასკნელ წლებში, **იძულებითი შრომის, ტრეფიკინგისა** და მონობის წინააღმდეგ აქტიურობა გაძლიერდა გლობალურ დონეზე. მოცემული ტერმინები ხშირად სინონიმებად გამოიყენება და გამოიკვეთა ტენდენცია, რომ რომელიმე მათგანი გამოყენებულია ე. წ. ქოლგა ტერმინად და ფარავს სამართლებრივი ტერმინების ფართო სპექტრს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მსგავსებები და გადაფარვები ბავშვთა ტრეფიკინგს, მონობის თანამედროვე ფორმებსა და ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმების ცნებებს შორის, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აღნიშნული ტერმინები არაა იდენტური მნიშვნელობის და მათი სამართლებრივი განმარტებები შეიცავს მნიშვნელოვან განსხვავებებს. მაგალითად, ბავშვი შესაძლოა დაიბადოს იძულებითი შრომის, მათ შორის, სექსუალური ექსპლუატაცის პირობებში, თუმცა ისე, რომ თავად არ იყოს ტრეფიკინგის მსხვერპლი. გარდა ამისა, ბავშვთა სექსუალური ესპლუატაცია და ძალადობა ხშირად ისეთი ფორმით ხდება, რომელიც არ შეიცავს მონობისა თუ იძულებითი შრომის ელემენტებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სიტუაცია შესაძლოა ერთდროულად დაკვალიფიცირებული და დასჯადი იყოს, როგორც იძულებითი შრომა, **ტრეფიკინგი** ან მონობა, რაც გარკვეულ დაბნეულობას იწვევს ამ ტერმინთა განმარტებებისას.

მონობის ტრადიციული ფორმები მე-19 საუკუნიდანაა ცნობილი, თუმცა ტერმინმა „მონობა" უკანასკნელ წლებში, სხვა შინაარსი შეიძინა. გავრცელდა ისე-

თი ტერმინები, როგორიცაა „მონობის თანამედროვე ფორმები“ და „თანამედროვე მონობა“. შესაბამისად, დღეს მონობას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და მოიცავს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ხვადასხვა ფორმებს.

ძირითადად, ლექსიკონები მონობას განმარტავს, როგორც „სამართლებრივად სხვის საკუთრებაში ყოფნას ან სისტემას, სადაც ზოგიერთი ადამიანი სხვა ადამიანის საკუთრებაა„ (კლასიკური განმარტება), თუმცა მონობა ასევე განმარტებულია, როგორც „შესაბამისი ანაზღაურებისა თუ დაფასების გარეშე მძიმე სამუშაოს შესრულება“, რაც შეიძლება მოიცავდეს არაფორმალურ სისტემასა თუ სიტუაციებს. თანამედროვე მონობის ძირითადი ფორმები სწორედ ამ მეორე განმარტებაში თავსდება და მიჩნეულია არალეგალურად, მიუხედავად არსებობისა.

რაც შეეხება თანამედროვე მონობის ისეთ ფორმებს, რომლებიც უკავშირდება ბავშვებს, „ბავშვთა მონობა“ განმატებულია როგორც ბავშვების ისეთ მძიმე სიტუაციაში ყოფნა, როგორიცაა სხვის სასარგებლოდ შრომა, ხშირად მუქარისა და ძალადობის გამოყენებით, მაგალითად, ბავშვების გამოყენება პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში, იძულებითი მათხოვრობა, წვრილმანი ქურდობა, ბავშვთა იძულებითი შრომა ან შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩაბმა, ასევე, ოჯახში ბავშვთა შრომის გამოყენება.

სექსუალური მონობა არის მონობის სახე, სადაც ჩართულია როგორც ბავშვები, ისე ზრდასრული ადამიანები და მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის მიზნებისთვის ბავშვებით ტრეფიკინგსა და ვაჭრობას. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ **გაეროს** კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების **ტრეფიკინგის** თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმი (პალერმოს ოქმი) განსაზღვრავს, რომ ადამიანთა **ტრეფიკინგი** სწორედ ექსპლუატაციის, მონობის ან მონობის მსგავსი მოპყრობის მიზნებს ემსახურება, ხოლო სპეციალური წარმომადგენელი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგზე უსვამს ხაზს, რომ „**ტრეფიკინგი** წარმოადგენს ადამიანის რამდენიმე უფლების მძიმე დარღვევას, განსაკუთრებით თავისუფლების, მონობისაგან და იძულებითი შრომისაგან თავისუფლების უფლებებს“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად იყენებენ ტერმინს „თანამედროვე მონობა“, რაც სწორედ ტრეფიკინგს გულისხმობს. 2015 წელს, დიდმა ბრიტანეთმა მიიღო თანამედროვე მონობის აქტი იმ მიზნით, რომ „შემოიღო მონობასთან, მსახურებასთან, იძულებით და სავალდებულო შრომასთან და ადამიანთა ტრეფიკინგთან დაკავშირებული ნორმა – დაწესოს მონობის წინააღმდეგ დამოუკიდებელი კომისრის მანდატი; ასევე მონობის აკრძალვასთან დაკავშირებული სხვა მიზნებისათვის“. თანამედროვე მონობის აქტი შეიცავს კონკრეტულ ნორმას ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციაზეც.

ბავშვთა ქორწინება შესაძლოა ასევე, განხილული იყოს, როგორც მონობა ან მონობის მსგავსი მოპყრობა. დაქორწინებული ბავშვები ხშირად არიან იმ ხარისხის ტანჯვის, იძულებისა და კონტროლის მსხვერპლნი, რაც თავსდება მონობისა და მონობის მსგავსი მოპყრობის საერთაშორისო განმარტებებში.

1926 წლის „იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ“ კონვენციის თანახმად, „მონობა არის იმ პირის სტატუსი ან პირობები, რომელზეც საკუთრების რომელიმე ან ყველა უფლება ვრცელდება. მონებით ვაჭრობა მოიცავს ისეთ მოქმედე-

ბებს, როგორიცაა პირის შეპყრობა, დაუფლება ან განკარგვა, მონობაში მისი ჩართვის მიზნით; პირის დაუფლებისათვის განხორციელებული ყველა მოქმედება მისი გაყიდვის ან გაცვლის მიზნით; ყიდვის ან გაცვლის გზით მოპოვებული პირის განკარგვა გაყიდვის ან გაცვლის გზით და ზოგადად, მონებით ვაჭრობასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება".

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცის კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების შესახებ ექსპერტთა კომიტეტი მონობისა და მონობის მსგავს მოპყრობასთან დაკავშირებით იყენებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №29 კონვენციას იძულებითი შრომის შესახებ, თუმცა ეს კონვენცია არ შეიცავს მონობის, როგორც ტერმინის განმარტებას. კონვენციის თანახმად, იძულებითი შრომის (მუხლი 2) განმარტება – „ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომლის შესრულებაც პირს ევალება სასჯელის მუქარით და რომელსაც აღნიშნული პირი არ დასთანხმებია საკუთარი სურვილით" ვრცელდება მონობასა და მონობის მსგავს ექსპლუატაციაზე.

1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლი შეიცავს მონობის აკრძალვას: „არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში. ყველა სახის მონობა და მონათვაჭრობა აკრძალულია".

1956 წლის მონობის, მონობით ვაჭრობასა და მონობის მსგავსი მოპყრობის აკრძალვის შესახებ დამატებითი კონვენცია მონობასა და მონობის მსგავს მოპყრობას განმარტავს, როგორც:

„ა) ვალის კაბალას (ვალის ანაზღაურებას იძულებითი შრომის გზით) [...]

ბ) ბატონყმობას [...]

გ) ნებისმიერი სახის მოპყრობას, რომელიც მოიცავს: 1. ქალის დაქორწინებას მისი თანხმობის გარეშე, მისი მშობლების, მეურვის, ოჯახის, სხვა პირისა თუ ჯგუფისათვის ფულადი ან არაფულადი სიკეთის გადახდის სანაცვლოდ; 2. ქალის ქმრის, ოჯახის თუ გვარის უფლებას გადასცენ სხვა პირს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ან სხვაგვარად; 3. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, ქალის სამემკვიდრეო წესით გადაცემას სხვა პირზე;

დ) ისეთ მოპყრობას, როცა ბავშვს ან 18 წელს მიუღწეველ პირს მისი ბიოლოგიური მშობლები ან მეურვე გადასცემენ სხვა პირს, ბავშვის ან პირის ექსლუატაციის მიზნით, მიუხედავად იმისა, ანაზღაურდება თუ არა ბავშვის შრომა".

1999 წლის №182 კონვენციის მე-3 მუხლი განმარტავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ბავშვთა შრომის ყველაზე მძიმე ფორმებს, ბავშვთა მონობის ყველაზე მძიმე შემთხვევებს და მოიცავს: „ა) მონობასა და მონობის მსგავს ნებისმიერ მოპყრობას, როგორიცაა ბავშვებით ვაჭრობა და **ტრეფიკინგი**, ვალის კაბალა (ვალის ანაზღაურება იძულებითი შრომის გზით), ბატონყმობა და იძულებითი და სავალდებულო შრომა, რაც თავის მხრივ, მოიცავს შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა იძულებით და სავალდებულო ჩართვას".

ბავშვთა ნაადრევი ქორწინება (Child early marriage) – ბავშვთა ქორწინება და ნაადრევი ქორწინება არ არის პირდაპირ განსაზღვრული საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებში, თუმცა, ხშირად გამოიყენება „რბილ" სამართალში, სადაც ორივე ტერმინი სინონიმებად ან ერთმანეთთან კავშირში მოიხსენიება.

ბავშვთა ქორწინებაში სულ მცირე, ერთი

მხარე უნდა იყოს ბავშვი. ხშირად, ტერმინი მოიცავს ქორწინებას ბავშვებზე მეტწილად, არასრულწლოვან გოგონებზე თანხმობის ან თანხმობის არარსებობის პირობებში. იმის გამო, რომ დადგენილი არ არის ნაადრევი ქორწინების უნივერსალური იურიდიული განმარტება, არც ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული ცნება და ზღვრული ასაკი, რომლის მიღწევის დროიდან შეიძლება ქორწინებაში შესვლა, 18 წლამდე პირები შეიძლება მოხვდნენ ამ განსაზღვრების მიღმა, ეროვნული კანომდებლობით ქმედუნარიანობის შეძენის შემთხვევაში. გარდა ამისა, რამდენიმე ქვეყანაში 16-17 წლის პირებს შეუძლიათ დაქორწინდნენ მშობლების ან/და სახელმწიფოს თანხმობის შემთხვევაში. **ბავშვის უფლებათა კომიტეტი** მოზარდთა ჯანმრთელობის და განვითარების საკითხებში მოუწოდებს ქვეყნებს დაადგინონ ქორწინების მინიმალური ასაკი – 18 წელი, მშობლების თანხმობის ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში. **გაეროს ბავშვთა ფონდის** თანახმად, ნაადრევი ქორწინება მოიცავს არამხოლოდ 18 წლამდე პირის ფორმალურ ქორწინებას, არამედ არაფორმალურსაც.

„ნაადრევი ქორწინება“ შეიძლება განსხვავდებოდეს „ბავშვთა ქორწინებისგან“ რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში, როდესაც 18 წელს გადაცილებული პირი ჯერ კიდევ, არ ითვლება სრული ქმედუნარიანობის მქონედ. შესაბამისად, „ნაადრევი ქორწინება“ გაცილებით ფართო სპექტრს მოიცავს, ვიდრე „ბავშვთა ქორწინება“.

„ქორწინებაზე თანხმობის, მინიმალური ასაკისა და ქორწინების რეგისტრაციის შესახებ“ 1962 წლის გაეროს კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას განსაზღვრონ ქორწინების მინიმალური ასაკი.

„ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 1979 წლის გაეროს კონვენციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს ბავშვის ნიშნობას და ქორწინებას.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ 1989 წლის კონვენცია (CRC) არ მიუთითებს ქორწინების უფლების წარმოშობის კონკრეტულ ასაკს, თუმცა, აღნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყოვლისმომცველ ეფექტიან და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

1999 წლის „ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ“ აფრიკული ქარტია (ACRWC) არის ერთადერთი ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან დააწესონ 18 წელი მინიმალურ ასაკად, მეუღლეებისთვის (ქარტიის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლი).

ბავშვთა პერსონალური მონაცემების დაცვა (Protection of children's personal data) – ევროპის მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე (პარ. 8 და 57) განმარტავს, რომ სახელმწიფოს კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს სასამართლო ან სხვა სახის პროცესებში მონაწილე ბავშვთა პირადი ცხოვრების და პერსონალური მონაცემების დაცვა. კანონით უნდა იყოს გარანტირებული, რომ ბავშვთან დაკავშირებული ინფორმაცია ან პირადი მონაცემები არ იქნება ხელმისაწვდომი ან გამოქვეყნებული განსაკუთრებით, მედი-

ით. ამ ინფორმაციაში იგულისხმება ისეთი მონაცემი, რომელსაც შეუძლია გაამჟღავნოს ან არაპირდაპირ მიუთითოს ბავშვის ვინაობაზე, როგორიცაა გამოსახულება, ბავშვის ან ბავშვის ოჯახის დეტალური აღწერა, სახელები ან მისამართები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, ა. შ. მედიის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქება უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობით ან მედიის თვითრეგულირების მექანიზმით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვების პირად მონაცემთა შემცველ დოკუმენტებზე ან ჩანაწერებზე დაშვების შეზღუდვა. განსაკუთრებით ისეთი მონაცემები, რომლებიც უკავშირდება მაგალითად, დისციპლინურ ღონისძიებას **ანტისოციალური ქცევისთვის**, ძალადობის შემთხვევას, სამედიცინო ჩარევას, სპეციალურ განათლებას შშმ ბავშვისთვის ან ღარიბ ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამაში მონაწილეობას. თუ პირადი და სენსიტიური მონაცემების გადაცემა აუცილებელია, **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** გათვალისწინებით, ეს უნდა მოხდეს შესაბამისი მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მიხედვით. ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალი შებოჭილი უნდა იყოს კონფიდენციალობის დაცვის მკაცრი წესებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა ბავშვის დაზიანების რისკს ქმნის (მაგალითად, ესაა ბავშვის მოტაცების შემთხვევა, როდესაც ფაქტზე ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მის პოვნას).

ბავშვთა პორნოგრაფია (Child pornography) – „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, ბავშვის პორნოგრაფია არის „ნამდვილ ან იმიტირებულ, აშკარად სექსუალურ ქმედებაში მონაწილე ბავშვის ნებისმიერი ფორმით გამოჩენა ან ბავშვის ინტიმური ნაწილების გამოჩენა უმთავრესად სექსუალური მიზნებისთვის“. მე-3 მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოებისთვის, დისტრიბუციისთვის, გავრცელებისთვის, იმპორტისთვის, ექსპორტისთვის, შეთავაზებისთვის, გაყიდვის ან ფლობისთვის“. პორნოგრაფია შეიძლება განხორციელდეს ცოცხალი წარმოდგენის, ფოტოს, ფილმის, ვიდეო ჩანაწერებისა და ციფრული სურათების ჩაწერით ან გადაცემით. სიტყვა იმიტირებული ნიშნავს, რომ ბავშვის პორნოგრაფიული იმიჯის შექმნისას, გავრცელებისას და ა.შ. სინამდვილეში არ არის გამოყენებული ბავშვი, თუმცა მაინც დანაშაულია, ვინაიდან ბავშვს წარმოაჩენენ სექსუალური მიზნებისთვის ექსპლოატირებულ პირად.

2001 წლის ბუდაპეშტის კონვენცია შეიცავს ბავშვთა პორნოგრაფიის ცნებას: ვიზუალურად ასახული მასალა, არასრულწლოვანი ჩართული სექსუალურად აღმგზნებ ქმედებაში.

2007 წლის ლანზაროტეს კონვენციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი განმარტავს ბავშვის პორნოგრაფიას: ნებისმიერ მასალას, რომელიც ვიზუალურად ასახავს ბავშვის მონაწილეობას რეალურ ან დადგმულ სექსუალურად აღმგზნებ ქმედებაში ან ბავშვის სასქესო ორგანოს ნებისმიერ გამოსახულებას უპირატესად, სექსუალური ვნების დაკმაყოფილების მიზნით. ლანზაროტეს კონვენციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი კრძალავს ბავშვის პორნოგრაფიის წარმოებას; ბავშვის პორნოგრაფიის შეთავაზებას ან მის ხელმისაწვდომობაში დახმარებას; ბავშვის პორნოგრაფიის გავრცელებას ან გადაცემას; ბავშვის პორნოგრაფიის წარმოებას როგორც საკუთარი, ისე სხვისი სარგებლობის მიზნით; ბავშვის პორნოგრაფიის ამსახველი მასალების ფლობას; ბავ-

შვის პორნოგრაფიის მასალების შეგნებულად მოპოვებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.

2011 წლის ევროკავშირის 2011/93 დირექტივის მე-2 მუხლის თანახმად: პორნოგრაფიას წარმოადგენს (i) ნებისმიერი მასალა, რომელიც ვიზუალურად ასახავს ბავშვის მონაწილეობას რეალურ ან დადგმულ სექსუალურად აღმგზნებ ქმედებაში; (ii) ბავშვის სასქესო ორგანოს ნებისმიერ გამოსახულებას უპირატესად, სექსუალური ვნების დაკმაყოფილების მიზნით; (iii) ნებისმიერ მასალას, რომელიც ვიზუალურად ასახავს პირს, რომელსაც თავი მოაქვს ბავშვად, მონაწილეობს რეალურ ან დადგმულ სექსუალურად აღმგზნებ ქმედებაში ან პირს, რომელსაც თავი მოაქვს ბავშვად, სასქესო ორგანოს ნებისმიერ გამოსახულებას, უპირატესად სექსუალური ვნების დაკმაყოფილების მიზნით; (iv) ან სექსუალურად აღმგზნებ ქმედებაში მონაწილე ბავშვის რეალისტური გამოსახულება ან ორგანოს ნებისმიერ გამოსახულებას უპირატესად, სექსუალური ვნების დაკმაყოფილების მიზნით მონაწილე ბავშვის რეალისტური გამოსახულება.

ბავშვთა პროსტიტუცია (Prostitution of children) – „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის თანახმად, პროსტიტუცია არის „ბავშვის გამოყენება სექსუალურ საქმიანობაში ანაზღაურების ან სხვა ნებისმიერი სარგებლის სანაცვლოდ“. ხოლო მე-3 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოებმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დააწესონ „პროსტიტუციის მიზნით ბავშვის შეთავაზებაზე, შეძენაზე, შესყიდვასა ან მიწოდებაზე“. აღნიშნული მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ პროსტიტუცია ნიშნავს სექსუალური მომსახურების მიწოდებას ქონების, მომსახურების, სანაცვლო სარგებლის ან ფულის მიღების მიზნით, რაც მაგალითად, მოიცავს სექსუალური მომსახურების გაცვლას საკვებზე, თავშესაფარსა და წამლებზე.

ბავშვთა საერთაშორისო გატაცება (International Child Abduction) – 1980 წლის ჰაგის კონვენცია „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ იცავს ბავშვებს სამოქალაქო კანონმდებლობის ფარგლებში მათი არამართლზომიერი გადაადგილების ან დაკავების დროს. კონვენცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენა მისი სწრაფი დაბრუნება როგორც წესი, ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას, აგრეთვე ბავშვთან ურთიერთობის (ან კონტაქტის) უფლებით სარგებლობა. 1996 წლის ბავშვის დაცვის კონვენცია უფრო ფართო სპექტრისაა და გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში: ა) ბავშვზე მეურვეობის და კავშირის თაობაზე მშობლებს შორის სახელმწიფოთაშორისი დავისას; ბ) სიტუაციებში, როდესაც ლტოლვილი ან საერთაშორისო დონეზე გადაადგილებული ბავშვები საჭიროებენ დაცვას; გ) ბავშვის სახელმწიფოთაშორისი განთავსებისას და დ) ბავშვის საერთაშორისო გატაცებისას. კერძოდ, კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად, ბავშვის უკანონო გადაადგილების ან დაკავების შემთხვევაში, იმ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ორგანოები, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ ცხოვრობდა უშუალოდ გადაადგილებამდე ან დაკავებამდე, ინარჩუნებენ თავის იურისდიქციას, ვიდრე ბავშვი არ შეიძენს ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილს სხვა სახელმწიფოში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLII[2] თავი არეგულირებს არამართლზომიერად გადაადგილებული ან არამართლზომიერად დაკავებული ბავშვის დაბრუნებასთან ან ბავშვთან ურ-

თიერთობის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ საქმეთა განხილვის თავისებურებებს.

ბავშვზე სექსუალურად მოძალადე (Child sex offender) – ეს ტერმინი ყველაზე ხშირად გამოიყენება სექსუალური ხასიათის დანაშაულში ჩართული პირების გამოსაკვეთად და იყენებენ საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანოები. ტერმინი მოიცავს ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის სამართლებრივად დასჯადი ქმედების ყველა ჩამდენ პირს, მათ შორის ინტერნეტის საშუალებით განხორციელებულს.

ბავშვზე სექსუალური მოძალადის ალტერნატიული განმარტებაა „ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულების ჩამდენი პირი“ („Perpetrators of sexual crimes against children“).

ბავშვთა სექსტურიზმი (Child sex tourism) – მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი, **გაეროს** ფაკულტატური ოქმი, სტოკჰოლმის დეკლარაცია და სხვა სტანდარტები მოგვიწოდებენ ბავშვთა ორგანიზებული სექსტურიზმის პრევენციის მიზნით, სპეციალური სამართლებრივი ზომების მიღებას, ქცევის წესების შემუშავების ჩათვლით. ბავშვთა სექსტურიზმის თავიდან აცილებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ტურისტული სააგენტოების და რესტორნების ქსელების, სამგზავრო გადამყვანი კომპანიების და სხვა იურიდიული პირების ეფექტიან მუშაობასა და მათი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სათანადოდ ჩამოყალიბებას. ცალკე პრობლემატური საკითხია ინტერნეტის მეშვეობით ბავშთა სექსტურიზმის თავიდან აცილება.

1985 წლის სექტემბერში, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი იქნა მიღებული.

ტურიზმის ქარტიის მე-4 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს „აღკვეთონ პროსტიტუციის მიზნით სხვა პირთა ექსპლოატაციისათვის ტურიზმის გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა“; მე-8 მუხლის მიხედვით: „ტურიზმის სფეროს მუშაკები მოვალენი არიან არ დაუშვან სხვა პირთა ყოველგვარი ექსპლოატაციის მიზნით, ტურიზმის გამოყენების წაქეზება“. ტურისტის კოდექსის მე-11 მუხლი შეიცავს მოწოდებას ტურისტებისადმი: „არ დაუშვან სხვა პირთა ექსპლოატაცია პროსტიტუციის მიზნით“.

ბავშვთა სექსტურიზმით დაკავებული პირი (Child sex tourist) – „ბავშვთა სექსტურიზმის“ მსგავსად, „ბავშთა სექსტურისტი“ ხშირად გამოიყენება ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულების ჩამდენი მოგზაური პირის აღსანიშნად.

ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემცველი მასალა/ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის შემცველი მასალა (Child sexual abuse material/child sexual exploitation material) – ტერმინი სულ უფრო ხშირად გამოიყნება „ბავშვთა პორნოგრაფიის“ ნაცვლად. აღნიშნულის ჩანაცვლება აიხსნება იმით, რომ ტერმინი ახასიათებს პორნოგრაფიულ მასალებს, როგორც სექსუალური ძალადობის/ექსპლუატაციის შემცველს, რაც თავის მხრივ, მიუთითებს ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათზე.

2015 წლის 11 მარტის ევროპის პარლამენტის რეზოლუციაში „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ“ ხაზგასმულია სწორი ტერმინოლოგიის გამოყენების მნიშვნელობაზე, მათ შორის,

ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამოსახულებები და „ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემცველი მასალის“ გამოყენების მართებულობაზე „ბავშვთა პორნოგრაფიის“ ნაცვლად.

ბავშვთა სექსუალური ძალადობა მოიცავს უფრო ფართო სექსუალური ხასიათის ყველა სახის მასალას ბავშვების მონაწილეობით. მსგავს კონტექსტში ხანდახან გამოიყენება „ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემცველი გამოსახულება“ (child sexual abuse images), თუმცა, აღსანიშნავია, რომ შემადგენლობის „გამოსახულებამდე“ შეზღუდვამ, შეიძლება გამოიწვიოს მასალების სპექტრის შემცირება, როგორიც არის აუდიო მასალა, ჩანაწერის სხვადასხვა ფორმები. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამართალდამცავ ორგანოთა უმეტესობა იყენებს ტერმინს „მასალებს“ და არა „გამოსახულებას“. აუცილებელია „სექსუალურის“ (sexual) დამატება, რადგან ბავშვის მიმართ ძალადობა ცდება თემატიკას და შეიძლება ასევე, ძალადობრივი ქმედებების სხვა სახეობებზე მოუთითებდეს, მაგ., ცემა.

ბავშვზე სქესობრივი ძალადობის გაშუქება პირდაპირ ეთერში (Live streaming of child sexual abuse) – ბავშვზე სექსუალური ხასიათის ძალადობა ონლაინრეჟიმში ხშირად გადაიცემა მნახველებისთვის, ინტერნეტში „პირდაპირი გაშუქების“ გზით. რაც ნიშნავს, რომ მონაცემები მნახველს გადაეცემა მომენტალურად, ვისაც შეუძლია უყუროს ძალადობას და ჩაერთოს პროცესში. მნახველისთვის მნიშვნელოვანია, რომ „პირდაპირი ეთერის“ რეჟიმში ყურებისას, მოწყობილობაში კვალი არ რჩება, რადგან მასალის ჩამოტვირთვა არ ხდება, შესაბამისად, როდესაც წყდება „პირდაპირი ეთერის“ რეჟიმი, ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალაც ქრება თუ მოძალადემ ის სპეციალურად არ შეინახა. აღნიშნული ფაქტი ზრდის მოძალადის დაუსჯელობის რისკს და ქმნის უკვე მომხდარი ფაქტის გამოძიებისთვის დამატებით სპეციალურ გამოწვევას, კონკრეტულად, მტკიცებულების მოპოვებისა და მოძალადისა და მსხვერპლის იდენტიფიცირების პროცესში.

ბავშვთა სექსუალური ხასიათის მქონე სურათები/ბავშვთა ეროტიკა (Sexualised images of children/child erotica) – „ბავშვთა პორნოგრაფია“ მოიცავს ბავშვების სურათებს, სადაც ისინი პოზირებენ ნახევრადშიშველ ან შიშველ მდგომარეობაში, სადაც აქცენტი კეთდება ბავშვის სექსუალურობაზე და ზოგჯერ, მას „პოზირებულ სურათებს“ უწოდებენ. ეს პრაქტიკა გვხვდება სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ბავშვის პორნოგრაფიასთან დაკავშირებით კანონი არ არეგულირებს ან ცალსახად არ არეგულირებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას ბავშვის სურათების გავრცელებისათვის, როდესაც ბავშვი გამოსახულია მიუღებელ პოზაში და აქცენტი კეთდება ბავშვის შიშველი სხეულის სექსუალურ ნაწილებზე (მაგალითად, გენიტალიები დაფარულია ტანსაცმლის გარკვეული ფორმებით). ვინაიდან, ამგვარი სახის სურათების გავრცელება ყველგან არალეგალური არ არის, ისინი შესაძლოა საკმაოდ თავისუფლად გავრცელდეს და დაარწმუნოს გარკვეული პირები, რომ ბავშვის სექსუალიზაცია ნორმალურია. მსგავსი სახის სურათები ასევე, შეიძლება გავრცელდეს ვირტუალური საშუალებებით, პირთა იმ წრეში, რომლებსაც ბავშვების მიმართ სექსუალური ინტერესი აქვთ და ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ამგვარ ცირკულაციას შედეგად შეიძლება არ მოჰყვეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. არა ერთი გამოძიებისა თუ სასამართლო განხილვის ეტაპზე, ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასთან დაკავშირებით დამტკიცდა, რომ ვებგვერდე-

ბი, სადაც ქვეყნდება ბავშვთა პორნოგრაფია, ზოგჯერ გამოყენებულია როგორც პირველი ნაბიჯი და შეიძლება ხელს აფარებდეს ბავშვთა ექსპლუატაციას ან გამოყენებული იყოს სექსუალური ხასიათის მიზნების მისაღწევად, ბავშვის ნდობის მოპოვების პროცესში.

მიუხედავად იმისა, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს თუ არა ეროტიკული შინაარსის ბავშვის სურათებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ამგვარ ქმედებას, პრაქტიკაში, ხშირად ახლავს ბავშვისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება, როდესაც ეს სურათები წარმოდგენილია ონლაინსივრცეში. პოზირება როგორც ასეთი, შეიძლება არ იყოს კრიმინალიზებული, მაგრამ სურათების გავრცელებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი დარღვევა (ან მოგვიანებით, მოზარდი პირის).

სექსუალური ხასიათის სურათები არ არის აუცილებელი, რომ წარმოადგენდნენ ბავშვთა მიმართ ძალადობას. ასეთი გამოსახულებები შეიძლება იყოს, მაგალითად, პატარა ბავშვის ოჯახური სურათი საცურაო კოსტიუმში ან დედის მაღალქუსლიან ფეხსაცმელში. სექსუალიზაცია არ არის ყოველთვის ობიექტური კრიტერიუმი და ასეთი სიტუაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია პირის განზრახვა, მოახდინოს ბავშვის სექსუალიზაცია სურათის მეშვეობით ან გამოიყენოს სურათი სექსუალური მიზნებისთვის (მაგალითად, პირის სექსუალური აღგზნება ან დაკმაყოფილება). ცალკე შეფასების საგანია, თუ რა ხდება სურათების გაზიარების შემდეგ (ხშირ შემთხვევაში, ვირტუალურ სამყაროში), მოხდა თუ არა ამგვარი სურათების პორნოგრაფიულ ვებგვერდებზე მრავალჯერადი გამოქვეყნება თუ ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტის ვებგვერდების ან ფორუმების მეშვეობით, მხოლოდ იმ პირთათვის, ვისაც ბავშვებთან მიმართებით სექსუალური ინტერესი აქვთ. ასეთი ბრუნვა იწვევს პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან დარღვევას და განხილული უნდა იყოს როგორც დანაშაული, მიუხედავად იმისა, გამოსახულება პორნოგრაფიულია თუ არა. უფრო მეტიც, სურათის გავრცელება სექსუალური მიზნებისთვის, შეიძლება წარმოადგენდეს ბავშვთა პორნოგრაფიით დაკვალიფიცირებულ დანაშაულს და სურათზე გამოსახული პირი შეიძლება იყოს მსხვერპლი.

ბავშვის სექსუალური შევიწროება (Sexual harassment of a child) – „შევიწროება“ ეხება „ვინმეს ზეწოლის სახით ან მათთვის უსიამოვნო რამის თქმით ან გაკეთებით შეწუხების“ ქმედებას. სტამბოლის კონვენცია „სექსუალურ შევიწროებას“ განმარტავს, როგორც ნებისმიერი სახის არასასურველ ვერბალურ, არავერბალურ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც არის სექსუალური ხასიათის და აქვს მიზანი ან ეფექტი შელახოს პირის ღირსება, კერძოდ, როდესაც ქმნიან მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ ან შეურაცმყოფელ გარემოს (მუხლი 40).

სტამბოლის კონვენცია ახდენს „სექსუალური შევიწროების“ ერთადერთ სამართლებრივ განმარტებას, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედებები როგორც წესი, აღიარებულია, როგორც გენდერული ძალადობის ფორმა.

„არასასურველი სექსუალური სახის კომენტარები“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც სექსუალური შევიწროება. სექსუალური შევიწროების პროცესი შეიძლება შეიცავდეს ან შეიძლება დაიწყოს კიდეც, არასასურველი სექსუალური კომენტარებით, მაგალითად, თუ როგორ აცვია ბავშვს ან იყენებს მაკიაჟს ან მის ფიზიკურ სილამაზეზე, ამგვარად, იგი ბავშვს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მაშინ, როცა ასეთი კომენტარები

ყოველთვის არ არის სექსუალური შევიწროების ხასიათის, მათ მაინც შეიძლება ზიანი მიაყენონ ბავშვს და შეიძლება მიჩნეული იყოს უკონტაქტო შევიწროების ფორმად.

სექსუალური შევიწროების ცნება უფრო ხშირად მოზარდების კონტექსტში გამოიყენება, ვიდრე ბავშვების და ხშირად ისეთ სიტუაციებს ეხება, რომელიც ხდება სამუშაო ადგილზე ან სხვაგან, სახლის გარეთ (თუმცა, ეს შეიძლება მოხდეს ასევე, სახლში/ოჯახურ გარემოში). ბავშვის სექსუალური შევიწროება შეიძლება მოხდეს სკოლაში ან სხვა ადგილებში და ჩადენილი იყო მაგალითად, მასწავლებლების, მწვრთნელების ან სხვა თანამშრომლების მიერ, რომლებიც ყურადღებას აქცევენ ბავშვს.

ბავშვთან ურთიერთობის უფლება (Right to relationship with a child) – ბავშვის განსაზღვრული დროით წაყვანა ისეთ ადგილას, რომელიც არ არის მისი ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი.

ბავშვთა შრომა (Child labor) – ბავშვის შრომა ყოველთვის არ წარმოადგენს ექსპლოატაციას. ეს უკანასკნელი გხვდება მაშინ, როდესაც ბავშვს უწევს შრომა უკიდურესად მძიმე პირობებში: შესრულებული სამუშაოსთვის მინიმალური ხელფასით ან ანაზღაურების გარეშე შრომა, შრომითი დღის გადამეტებული ხანგრძლივობა ან არაჯანსაღი სამუშაო პირობები, როგორიცაა სახიფათო მოწყობილობის მართვა ან ქიმიური ნივთიერების გამოყენება. ვინაიდან უფროსებთან შედარებით, ბავშვებს ნაკლები გამძლეობა აქვთ, ისინი განსაკუთრებულად მოწყვლადები არიან შრომით ექსპლოატაციასთან მიმართებით. ექსპლოატაციის დონე მომუშავე ბავშვებთან მიმართებით, განსხვავებულია და იგი დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე, ჯანმრთელობაზე, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რეგიონის ტექნოლოგიური განვითარების დონესა და ბავშვზე ზრუნვის ზოგად ცოდნაზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის C138 კონვენცია, R146 რეკომენდაცია მინიმალური ასაკის შესახებ, განსაზღვრავს თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს, რათა 18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდა ადამიანების კანონიერი დასაქმების პირობები ყოველთვის დამაკმაყოფილებელ დონეზე იყოს შენარჩუნებული. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგი სამუშაო პირობების დაცვას: სამართლიან ანაზღაურებას, ზეგანაკვეთური სამუშაოს აკრძალვას, სულ მცირე, 12 საათის დასვენების შესაძლებლობას და მუდმივ დასვენების დღეებს კვირის განმავლობაში; ყოველწლიურ ანაზღაურებად შვებულებას სულ მცირ, 4 კვირით, განათლების მიღებისთვის საკმარისი დროის შესაძლებლობას. აღნიშნული კონვენცია განმარტავს „მსუბუქ სამუშაოს", როგორც სამუშაოს, რომელიც სავარაუდოდ, არ წარმოადგენს ახალგაზრდა ადამიანების ჯანმრთელობისთვის ან განვითარებისთვის საზიანოს და საქმიანობას, რომელიც „ხელს შეუშლის" სკოლაში სიარულს, პროფესიული განათლების პროგრამებში მონაწილეობას ან მიღებული განათლებიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. კონვენცია ასევე, განმარტავს საზიანო სამუშაოს ან საქმიანობის მახასიათებლებს, რომელთაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან ახალგაზრდების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან მორალს: მაგალითად, სახიფათო ნივთიერებებთან, აგენტებთან ან პროცესებთან (მაგ., რადიაციის იონიზაცია) დაკავშირებული სამუშაო, მძიმე საგნების აწევა, მიწისქვეშა სამუშაო ან ნებისმიერი სამუშაო, რომელიც აკრძალულია.

ბავშვის სამუშაოს ყველაზე უარესი ფორმები კონკრეტულად განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო C182 კონვენციით.

ევროპის სოციალური ქარტია (მუხლი 7) განსაზღვრავს ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებას დაცვაზე და ადგენს სხვადასხვა სახის სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს. ,,ქარტია მხარეებს ავალდებულებს უზრუნველყონ, რომ სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი შეადგენდეს 18 წელს, იმ საქმიანობის მიმართ, რომლებიც მიიჩნევიან სახიფათო ან არაჯანმრთელ სამუშაოებად.

საქართველოს შრომის კოდექსის (მუხლი 4) მიხედვით განისაზღვრება სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი **ქმედუნარიანობა** წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზისო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. ,,კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები (Worst forms of child labour) – 1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 32-ე მუხლი ადგენს: „წევრი სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას იყოს დაცული ეკონომიკური ექსპლოატაციისგან და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც შესაძლებელია იყოს საშიში ან ხელს უშლიდეს ბავშვის განათლებას ან საფრთხეს უქმნიდეს ბავშვის ჯანმრთელობას მის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ თუ სოციალურ განვითარებას".

1999 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის C182 (ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრის შესახებ) კონვენციის მე-3 მუხლი ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმებს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „(ა) მონობის ან მონობის მსგავსი პრაქტიკის ყველა ფორმას, როგორიცაა მაგალითად, ბავშვების გაყიდვა და ბავშვებით ვაჭრობა, სავალო კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება, აგრეთვე იძულებითი ან სავალდებულო შრომა მათ შორის, ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო დაქირავება შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი გამოყენების მიზნით; (ბ) ბავშვის გამოყენებას, შეთავაზებას ან დაქირავებას პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისათვის ან პორნოგრაფიული წარმოდგენისათვის; (გ) ბავშვის გამოყენებას, დაქირავებას ან შეთავაზებას მართალსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის კერძოდ, ნარკოტიკების წარმოებისა და გაყიდვისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში; (დ) სამუშაოს, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობებით, სადაც ის სრულდება, შეიძლება ზიანი მოუტანოს ბავშვების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას" (ხაზგასმით დამატებულია) უნდა იყოს აკრძალული 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე. მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოს სახეობები შეიძლება განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობითა და დებულებებით (მე-3 მუხლი (დ) და მე-4 მუხლი).

1999 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 190[334] რეკომენდაცია წარმოადგენს ბავშვთა შრომის უკიდურეს

ფორმებთან დაკავშირებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის C182 კონვენციის ერთგვარ დამატებას. რეკომენდაცია მოიცავს კონკრეტულად შესაბამის დებულებებს: კონვენციის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების სახეების განსაზღვრისას და მათი არსებობის დადგენისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული inter alia, (ა) სამუშაო, რომელიც წარმოადგენს ბავშვზე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ძალადობას.

„წევრმა სახელმწიფოებმა იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია ეროვნული კანონმდებლობით, საერთაშორისო ძალისხმევა დაუყონებლივ უნდა მიმართონ ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვასა და აღმოფხვრაზე: (ა) სისხლის სამართლის დანაშაულთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება-გაცვლით, მათ შორის, საერთაშორისო ქსელების მეშვეობით; (ბ) გამოავლინონ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ პირები, რომლებიც ჩართულნი არიან ბავშვებით ვაჭრობასა და ტრეფიკინში ან სთავაზობენ ან ქირაობენ ბავშვებს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებების შესასრულებლად, პროსტიტუციისთვის, პორნოგრაფიული პროდუქტის შექმნისა თუ პორნოგრაფიული წარმოდგენისთის; (გ) მსგავსი ტიპის სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეესტრის წარმოებით“.

„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შემდეგი სახის ბავშვთა შრომა წარმოადგენდეს სისხლის სამართლის დანაშაულს: (ა) მონობის ყველა ფორმა, როგორიცაა ბავშვებით ვაჭრობა ან **ტრეფიკინგი**, სავალო კაბალა, ბატონყმური დამოკიდებულება, იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის, შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების იძულებით რეკრუტირება; (ბ) გამოყენება, დაქირავება ან შეთავაზება ბავშვისთვის პროსტიტუციაში ჩართვაზე, პორნოგრაფიული პროდუქტის შექმნაზე ან პორნოგრაფიულ წარმოდგენაზე და (გ) ბავშვების გამოყენება, დაქირავება ან შეთავაზება კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის შესასრულებლად“.

ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და აღმოფხვრის სხვა ზომები უნდა მოიცავდეს შემდეგს: „(დ) უზრუნველყონ წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი მოქალაქის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმის დაუყონებლივ აღმოფხვრა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული დანაშაული ჩადენილია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე.

ბავშვთა უფლებები (Rights of the Child) – ბავშვების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობა აღიარებულ იქნა ჯერ კიდევ, 1924 წელს, „ბავშვის უფლებების შესახებ“ ჟენევის დეკლარაციით. ბავშვთა უფლებებს ეხება მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის: „ბავშვის უფლებების შესახებ“ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959), „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია (1989) და მისი სამი დამატებითი ოქმი: ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (2000); შეტყობინებების პროცედურების შესახებ (2011); ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ (2000); არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების **გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები, 1985),** არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005), თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები

(ჰავანას წესები, 1990), არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღანელო პრინციპები (ერრიადის პრინციპები, 1990), სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის კონვენცია (ლანზაროტის კონვენცია, 2007), ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები (2010), არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები (ევროპული წესები, 2008) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი (Committee on the Rights of the Child) – დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი ორგანო გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისში, რომელიც ზედამხედველობას უწევს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესრულებას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით.

გაეროს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მესამე დამატებითი ოქმის „შეტყობინებების პროცედურების შესახებ“ (2011) საფუძველზე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს შეტყობინება ბავშვის უფლებათა დარღვევის შესახებ: იმ ბავშვების (ინდივიდის ან ჯგუფის) კომუნიკაციიდან, რომელთა უფლებებიც დაირღვა კონვენციის თანახმად; სახელმწიფოთაშორისი საჩივრებიდან (სახელმწიფო მხარეებს შეაქვთ საჩივრები სხვა სახელმწიფო მხარეების წინააღმდეგ); საქმის შესწავლის პროცედურებიდან, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვის უფლებათა კომიტეტს წამოიწყოს მძიმე და სისტემური დარღვევების გამოძიება, მიუხედავად იმისა, მიიღო თუ არა გარედან შეტყობინება ამის შესახებ (საქართველოში ოქმი ძალაში შევიდა 2016 წლის 19 დეკემბერს).

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (Convention on the Rights of the Child) – 1989 წლის 20 ნოემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებების კონვენცია, რომელიც საქართველოსთან მიმართებით ძალაში შევიდა 2000 წლის 25 მაისს. კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას, საჯარო ან კერძო სოციალური კეთილდღეობის დაწესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს **ბავშვის საუკეთესო ინტერესები.** სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვთა კეთილდღეობაზე. ბავშვზე ზრუნვის ყველა საჯარო, კერძო და მოხალისეთა დაწესებულება და სერვისი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციით და კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. კონვენცია მიუთითებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების ვალდებულების შესახებ, ასევე, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება მშობლის ვალდებულებებს, ოჯახის გაერთიანებას, ბავშვის განცალკევებას მშობლებისგან, ოჯახური გარემოსგან მოშორებას და ალტერნატიული ზრუნვას, შვილად აყვანას.

ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (Optional Protocol on the Sale of Children, child Prostitution and Child Pornography) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირებით ხელშემკვრელი სახელმწიფოები სხვა ვალდებულებებთან ერთად, ასევე იღებენ ვალდებულე-

ბას, დაიცვან თითოეული ბავშვი ექსპლოატაციისგან ან ნებისმიერი სამუშაოსგან, რომელიც ბავშვის მიერ განათლების მიღებას ხელს შეუშლის ან შესაძლოა, ბავშვის ჯანმრთელობის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური ან სოციალური განვითარებისთვის საზიანო იყოს. ამგვარად, წევრმა სახელმწიფოებმა კონვენციის შესაბამისად, ბავშვების ნებისმიერი ფორმით ექსპლოატაციისგან დაცვას გაუსვეს ხაზი. ამასთან, სახელმწიფოები კიდევ უფრო წინ წავიდნენ და ხაზი გაუსვეს მუდმივად მზარდ რისკებს, რაც ძირითადად, პორნოგრაფიულ პროდუქტზე ინტერნეტისა და სხვა განვითარებადი ტექნოლოგიების მეშვეობით ადვილად ხელმისაწვდომობით არის განპირობებული. ოქმი განმარტავს ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და პორნოგრაფიას და ხელშემკვრელი სახელმწიფოებისგან ამგვარი ქმედებების სისხლის სამართლის წესით დასჯადად გამოცხადებასა და დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითხოვს. ამასთან, ოქმი ბავშვით ვაჭრობის, პროტიტუციისა და პორნოგრაფიის მსხვერპლ ბავშვებთან ჰუმანურ მოპყრობასა და მათი უფლებების დაცვას, მათ რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში მათი რესოციალიზაციის უზრუნველყოფას მოითხოვს.

ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ (Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on the involvement of children in armed conflict) – ოქმი მიღებულია 2000 წელს. ოქმმა სამხედრო ძალებში გაწვევის მინიმალური ასაკი თვრამეტ წლამდე ასწია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამაც, თავისი C182 კონვენციის მეშვეობით, აკრძალა ბავშვის შრომის განსაკუთრებული ფორმები, მათ შორის შეიარაღებულ კონფლიქტში იძულებითი ან სავალდებულო გაწვევა ექსპლოატაციის მიზნით. ბოლოს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტმა ბავშვების ჩართვა შეიარაღებულ მოქმედებებში ომის დანაშაულად გამოაცხადა. თუმცა, ამ ჭრილში მინიმალურ ასაკად კვლავ, 15 წელი დატოვა (რომის სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 (ბ) (xxvi) ნაწილი).

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ (Optional Protocol to the Convention on the Rights of the Child on a communications procedure) – **გაეროს** გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულია 2011 წლის 19 დეკემბერს. აღნიშნული ინსტრუმენტი ბავშვებს კონვენციისა და მისი ორი დამატებითი ოქმის ფარგლებში, მათი უფლებების დარღვევის თაობაზე განცხადების წარდგენის შესაძლებლობას აძლევს. ბავშვებისთვის მიცემული განაცხადის წარდგენის შესაძლებლობა შეესაბამება ბავშვის უფლებას – მოუსმინონ მას. ეს ნიშნავს, რომ ბავშვს, რომელსაც საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება შეუძლია, საკუთარი ასაკისა და მოწიფებულობის შესაბამისად, დამოუკიდებლად და მისი განვითარების შესაძლებლობების კვალდაკვალ მოქმედების საშუალება აქვს. კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებს უშუალოდ ბავშვის უფლებების კომიტეტის წინაშე გამოსვლის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ან უმცირესობის წევრები, მსგავს მდგომარეობაში არიან და არ არიან ვალდებულნი, სამართლებრივი წარმომადგენლის მეშვეობით იმოქმედონ.

ბავშვთა ფსიქიატრიული დახმარება (Children's psrychiatric care) – „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 16 წლამდე ბავშვის ფსიქიატრიული დახმარება მათ შორის, მკურნალობა, დასაშვებია მისი კა-

ნონიერი წარმომადგენლის თხოვნის ან/და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე (აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით). აქტიური ბიოლოგიური მეთოდებით (შოკური, კრუნჩხვითი და სხვა) მკურნალობა დასაშვებია კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით, მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის გადაწყვეტილებით. კანონის თანახმად, 16 წლამდე ბავშვის ნებაყოფლობითი მკურნალობისთვის სტაციონარში განთავსება ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნითა და ინფორმირებული თანხმობით, ხოლო ბავშვის მონაწილეობა აუცილებელია მისი ასაკისა და ფსიქიატრიული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ბავშვებით ვაჭრობა (The sale of children) – წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულს. მონობისა და მონობით ვაჭრობისაგან, რომელიც ასევე ამ სახის დანაშაულს წარმოადგენს, განსხვავდება იმით, რომ ამ შემთხვევაში, ვაჭრობის მიზანს არ წარმოადგენს პირის მონობის მდგომარეობაში ჩაყენება. პირველი კონვენცია, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეხებოდა, გაფორმდა 1910 წელს და მიზნად ისახავდა ქალებით ვაჭრობის აღკვეთას. 1921 წელს, ჟენევაში ამოქმედდა კონვენცია ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფოებს რეკომენდაცია ეძლეოდათ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცათ ის პირები, რომლებიც ეწევიან ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობას. 1949 წლის 2 დეკემბერს, ხელმოსაწერად გაიხსნა და 1951 წლის 25 ივლისს ძალაში შევიდა კონვენცია ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირთა მიერ პროსტიტუციის ექსპლოატაციასთან ბრძოლის შესახებ. აღნიშნულმა კონვენციამ ჩაანაცვლა მოცემული საკითხის მარეგულირებელი იმ დროისთვის ყველა მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულება. 1949 წლის კონვენციაში დადგენილ იქნა ყველა ქმედება, რომლის ჩადენისთვის პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში უნდა მიეცეს. ბავშვის უფლებების 1989 წლის კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, რომელიც 2002 წელს შევიდა ძალაში, ასევე ცალსახად კრძალავს ბავშვებით ვაჭრობას. ამასთან, აღნიშნული ოქმით ბავშვებით ვაჭრობა განმარტებულია, როგორც ქმედება ან გარიგება, რომლის შედეგადაც ბავშვი გადაეცემა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირს ან პირთა ჯგუფს ფულადი ან სხვა ანაზღაურების ფასად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლის მიხედვით, დასჯადია არასრულწლოვანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლოატაციის მიზნით.

ბავშვის შესაძლებლობების განვითარების პრინციპი (The principle of Child Development) – გულისხმობს ბავშვთა უფლებების მფლობელად აღიარებასა და მათი დაცვის ვალდებულებას დაცვას. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოები უნდა აღიარებდნენ მშობლების ან ადგილობრივი წესჩვეულებების შესაბამისად, გაფართოებული ოჯახის წევრთა ან თემის, კანონიერი წარმომადგენლების ან ბავშვზე პასუხისმგებელი სხვა პირების უფლებებს და მოვალეობებს შესაბამისად უხელმძღვანელონ ბავშვს, მისი განვითარებადი შესაძლებლობების შესაბამისად, აღ-

ნიშნული კონვენციით აღიარებული უფლებებით სარგებლობაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა შესაძლებლობების განვითარების და იდენტობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია.

ბავშვთა ცდუნება ვირტუალურ გარემოში (Online (sexual) enticement of children) – ტერმინი „გარყვნა“ ხშირად განისაზღვრება როგორც „ბავშვთა ცდუნება ვირტუალურ გარემოში“. „ცდუნება“ ნიშნავს ვიღაცის დაინტერესებას ან შეცდენას და წარმოადგენს „გარყვნის“ გავრცელებულ ფორმას მსხვერპლის სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით. ამერიკის მართლმსაჯულების დეპარტამენტი ტერმინს – „ცდუნება ვირტუალურ გარემოში“ იყენებს შემდეგი პრაქტიკის განსასაზღვრად: „ბავშვზე მონადირეები ხშირად ინტერნეტის მეშვეობით ახდენენ მსხვერპლის იდენტიფიცირებას ან იძულებას, მონაწილეობა მიიღოს უკანონო სექსუალური ხასიათის ქმედებაში. მსგავსი სახის დამნაშავეები თვალს ადევნებენ ბავშვებისა და თინეიჯერებისთვის პოპულარულ ონლაინპროგრამებს (online chat rooms/bulletin boat website). ისინი ცდილობენ ბავშვების ნდობის მოპოვებას და შემდეგ უკვე საუბარს აგრძელებენ სექსუალური ხასიათის საკითხებზე. ხშირად, დამნაშავეები ბავშვებს უგზავნიან მათი სექსუალური ხასიათის ფოტოებს ან სთხოვენ ბავშვებს გაუგზავნონ თავიანთი პორნოგრაფიული ფოტოები. ხშირად, ბრალდებულები გეგმავენ „პირისპირ“ კომუნიკაციას სექსუალური ხასიათის მოქმედებებში, მსხვერპლის ჩართვის მიზნით.

ბავშვთა ჯანმრთელობის და კაცობრიობის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის ოქმი (NICHD) – სტრუქტურირებული დაკითხვის ოქმი, რომელიც პირველად, 2000 წელს გამოქვეყნდა, იმისათვის, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დაკითხვის პროცესში, პრაქტიკაში ასახულიყო პროფესიული რეკომენდაციები. ოქმი ხელმძღვანელობას უწევს დაკითხვის მწარმოებელ პირს დაკითხვის ყველა ეტაპზე, ახდენს თავისუფალი აზროვნების ილუსტრირებას, რითაც ხდება დაკითხვის დროს მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული დოკუმენტი პირველად შეიქმნა იმ ბავშვების დაკითხვისთვის, რომლებიც სავარაუდოდ, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები იყვნენ, მაგრამ მისი სტრუქტურა და პრინციპები შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვის დასაკითხად.

ბიპოლარული აშლილობა (Bipolar disorder) – გუნება-განწყობილების ცვალებადობა და გადასვლა დეპრესიული პერიოდებიდან მანიაკალურ პერიოდებზე და პირიქით.

ბრალდების შესახებ ინფორმაცია (Information on the charges) – ყველა ბავშვს აქვს უფლება დაუყონებლივ და უშუალოდ იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში, მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით მიიღოს სამართლებრივი ან სხვა საჭირო დახმარება თავისი დაცვის მომზადებისას და განხორციელებისას.

გ

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UN)) – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როგორც ორგანიზაცია, რომელიც მტკიცედ დაიცავდა მშვიდობას და გადაარჩენდა მსოფლიოს ახალი სისხლისმღვრელი ომისაგან. ამ ეტაპის საერთაშორისო აქტები იყო: სსრკ-პოლონეთის 1941 წლის დეკემბრის დეკლარაცია, ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების (გაერთიანებული ერების) 1942 წლის 1-ლი იანვრის დეკლარაცია, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ჩინეთისა და სსრ კავშირის მოსკოვის დეკლარაცია (1943 წლის 30 ოქტომბერი), ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების პროექტი შემუშავდა 1944 წლის აგვისტო-ოქტომბერში აშშ-ის, სსრ კავშირის და დიდი ბრიტანეთის მიერ დუმბარტონ-ოქსში (აშშ); იალტის (1945 წლის თებერვალი) კონფერენციის გადაწყვეტილება სან-ფრანცისკოში, 25 აპრილს გაერთიანებული ერების კონფერენციის მოწვევის შესახებ. საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის მთავრობათა კონსულტაციებისა და თათბირების შედეგად 1945 წელს სან-ფრანცისკოში მოწვეულ იქნა 50 ქვეყნის კონფერენცია, რომელმაც საბოლოოდ შეიმუშავა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 25 ივნისს და იგი ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ეს დღე შევიდა ისტორიაში როგორც „გაერთიანებული ერების დღე“ და ყოველ წელს აღინიშნება. წესდება საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც დღეს, 190-მდე სახელმწიფოს მოიცავს და ჭეშმარიტად საყოველთაო უნივერსალურ საერთაშორისო ხასიათს ატარებს. საქართველო გაეროში გაწევრიანდა 1992 წლის 31 ივლისს.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ აღჭურვილია მანდატით, დაიცვას ბავშვთა უფლებები, დაეხმაროს ბავშვებს ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებასა და მათი შესაძლებლობების სრულად რეალიზაციაში.ჩგაეროს ბავშვთა ფონდი ახდენს პოლიტიკური ნებისა და მატერიალური რესურსების მობილიზებას ქვეყნების განსაკუთრებით, განვითარებადი ქვეყნების დასახმარებლად, რათა მათ ყურადღება გაამახვილონ ბავშვთა საკითხებზე და შეძლონ სათანადო პოლიტიკის შემუშავება და ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი მომსახურების მიწოდება.

გაეროს ბავშვთა ფონდი მოწოდებულია დაიცვას განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები – ომის, უკიდურესი სიღარიბის, ძალადობის ყველა ფორმისა და ექსპლოატაციის მსხვერპლი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. ორგანიზაცია რეაგირებას ახდენს საგანგებო სიტუაციებში ბავშვთა უფლებების დასაცავად. ეროვნული სამოქმედო პროგრამების მეშვეობით, გაეროს ბავშვთა ფონდი ცდილობს ხელი შეუწყოს ქალებისა და გოგონების თანაბარ უფლებებს და მხარი დაუჭიროს მათ სრულუფლებიან მონაწილეობას საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“) (UN Minimum Rules for Administration of Juvenile Justice – Beijing Rules) – 1985 წლის 29 ნოემბერს, **გაეროს** გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვან

სამართადამრღვევთა უფლებრივ გარანტიებს მართლმსაჯულების განხორციელებისას. ეს წესები ადგენენ ისეთ სამართლებრივ გარანტიებს, როგორიცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების გაცნობის უფლება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, ადვოკატის აყვანის უფლება, მშობლის ან მზრუნველის დასწრების უფლება, მოწმეებთან პირისპირ შეხვედრის უფლება, ზემდგომ ინსტანციაში აპელაციის უფლება და სხვა; განსაზღვრავენ გამოძიებისა და სასამართლოს წესით დადგენილ სამართლებრივ გარანტიებს, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის წესს, არასრულწლოვან სამართადარმღვევებთან მოპყრობ ის წესს, არასრულწლოვან სამართადამრღვევთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განვითარებას და სხვ. აღნიშნული წესები არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება მიუკერძოებლად და დისკრიმინაციის გარეშე. ამ წესებს სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, ისინი წარმოადგენენ რეკომენდაციებს და სახელმწიფო თავად განსაზღვრავს, მისცეს თუ არა ამ წესებს კანონის ძალა, თუმცა ყველა სახელმწიფო ცდილობს, სამართალდამცველი და მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობა ამ პრინციპების შესაბამისად წარმართოს.

განათლების უფლება (Right to education) – ადამიანის სოციალური უფლება, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება. განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. უფლება აღიარებულია: „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტით (მე-13 მუხლი), ევროპის ქარტიით (მე-10 მუხლი), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით (მე-2 მუხლი), ასევე, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით (28-ე მუხლი) და სხვა საერთშორისოსამართლებრივი დოკუმენტებით.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის თანახმად, განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული პრინციპების პატივისცემის გაღვივებისკენ და ასევე, მშობლებისადმი, საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის, ენისა და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვისკენ, ბავშვის იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობების პატივისცემის სულისკვეთებით აღსაზრდელად, სადაც ცხოვრობს თუ საიდანაც იგი არის წარმოშობით, საკუთარისგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი ბავშვის პატივისცემის გაღვივებისკენ. ასეთი განათლების მიღება ნიშნავს რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიისა და მსგავსი შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლას. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 29-ე მუხლის თანახმად, განათლება უნდა იყოს ბავშვზე ორიენტირებული, ბავშვისთვის ხელსაყრელი და უფლებამოსილების მიმნიჭებელი, სასწავლო პროცესი კი, უნდა ეფუძნებოდეს მათი გამოხატვის შესაძლებლობას. ბავშვზე ორიენტირებული განათლება გულისხმობს, რომ სწორედ ბავშვი იღებს აქტიურ მონაწილეობას სწავლების პროცესში და იგი არ არის პასიური მიმღები.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციის 24-ე მუხლი მოითხოვს წევრი სახელმწიფოსგან აღიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ შესაძლებლობებზე დაფუძნებული განათლების უფლება და ინკლუზიური განათლების სისტემის საშუალებით, ყველა დონეზე უზრუნველყოს: ა) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ინკლუ-

ზიური, ხარისხიანი და უფასო დაწყებითი და საშუალო განათლების სხვებთან თანასწორად ხელმისაწვდომობით მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; ბ) გონივრული მისადაგების მოთხოვნის გათვალისწინება; გ) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ზოგადი განათლების სისტემის ფარგლებში საჭირო დახმარების მიღებით, მათი ეფექტური განათლების ხელშეწყობის მიზნით; დ) ბრაილის, ალტერნატიული დამწერლობის, ჟესტების ენის სწავლება და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ენობრივი იდენტობის ხელშეწყობა; ე) პირებისთვის კერძოდ, ბრმა, ყრუ ან ერთდროულად ყრუ და ბრმა ბავშვებისთვის განათლების მიწოდება მათთვის ყველაზე შესაფერის ენაზე, რეჟიმში და ინდივიდუალური საკომუნიკაციო საშუალებებით; ვ) მასწავლებლები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მასწავლებლები, რომლებიც ფლობენ ჟესტების ენას და/ან ბრაილის – დასაქმებით და განათლების ყველა დონეზე მომუშავე პროფესიონალები და მუშაკები – გადამზადებით.

განრიდება (Diversion) – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლსსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** №10 ზოგადი კომენტარის (ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში) მიხედვით, განრიდება (ანუ იმ ბავშვებისათვის სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლა, რომლებმაც სავარაუდოდ, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომ ბავშვმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, ის სრულად და ძალდაუტანებლად აღიარებს პასუხისმგებლობას ჩადენილზე, აღიარებას საფუძვლად არ უდევს ზეწოლა ან იძულება, დაბოლოს, იმ შემთხვევაში, თუ ეს აღიარება არ გამოიყენება მის წინააღმდეგ დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი განხილვისას. **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** რეკომენდაციის თანახმად, ბავშვმა განრიდებაზე თანხმობა უნდა გამოხატოს წერილობითი ფორმით და ნებაყოფლობით. თანხმობა უნდა ეფუძნებოდეს ღონისძიების ხასიათის, შინაარსისა და ხანგრძლივობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას. მასში ნათლად უნდა იყოს გამოხატული, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თანამშრომლობაზე უარის თქმას და პირობების შეუსრულებლობას. მშობლების ჩართულობის გააქტიურების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა შეიძლება ასევე, საჭიროდ ცნონ მშობლების თანხმობაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვს ჯერ არ შესრულებია თექვსმეტი წელი. ამავე ზოგადი კომენტარის მიხედვით, განრიდებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას ბავშვის მიერ საქმის საბოლოო დახურვა უნდა მოჰყვეს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საქმის შენახვა ადმინისტრაციული ან გადასინჯვის მიზნებისთვის, ამგვარი საქმე არ უნდა განიხილებოდეს ნასამართლობის დამამტკიცებელ დოკუმენტად, ხოლო ბავშვის, რომელიც დაექვემდებარა განრიდებას, არ უნდა განიხილებოდეს ნასამართლობის მქონედ. თუ საქმე რეგისტრირებულია, მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე და **კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან** მომუშავე პირს უნდა ჰქონდეს მისი გამოყენების უფლება, ისიც შეზღუდული პერიოდისთვის, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მუხლები 38-42) დეტალურად განსაზღვრავს განრიდების ღონისძიებების, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოსა და განრიდების გამოყენების წინაპირობებს.

გასაჩივრების უფლება (Right to appeal) – „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის (მუხლი 40 (2) (ბ) (V)) მიხედვით, ბავშვს აქვს უფლება მოითხოვოს იმ გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა, რომლის მიხედვითაც იგი ცნეს დამნაშავედ მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში (ბრალდებებში). ხელახალი განხილვა უნდა აწარმოოს ზემდგომმა, კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანომ, რომელიც პასუხობს ყველა იმ სტანდარტსა და მოთხოვნას, რომელსაც პასუხობდა გადაწყვეტილების გამომტანი პირველი ორგანო. ეს გარანტია შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 15 (4) მუხლს და არ შემოიფარგლება მხოლოდ მძიმე ბრალდებებით.

გასაშვილებელი ბავშვი (Adoptee) – შვილად აყვანას ექვემდებარება ბავშვი, რომელსაც „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი და რომელიც რეგისტრირებულია რეესტრში. გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება ბავშვს: ა) რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა; ბ) რომელიც არის ობოლი; გ) რომელიც სასამართლომ მიტოვებულად აღიარა; დ) რომლის მშობელს (მშობლებს) სასამართლომ ჩამოართვა მშობლის უფლება; ე) რომლის ყველა **კანონიერი წარმომადგენელი** აცხადებს თანხმობას მის გაშვილებაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ბავშვს გასაშვილებელი ბავშვის სტატუსი ენიჭება მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილებით, რომლის საფუძველზედაც, გასაშვილებელი ბავშვი რეგისტრირდება რეესტრში.

გონივრული მისადაგება (Reasonable Accommodation) – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" კონვენციის მიხედვით, ტერმინი გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას.

გონივრული მისადაგება უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მათი უფლებებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობას (მაგალითად, ფიზიკურ გარემოზე სპეციალურად ადაპტირება, ინფორმაციის, საზოგადოებრივი ობიექტების, სკოლების ხელმისაწვდომობა), შესაბამისად, არის დისკრიმინაციისგან დაცვის განუყოფელი ნაწილი.

დ

დასვენების უფლება (Right to rest and leisure) – ყველა ბავშვს აქვს დასვენების უფლება, მათ შორის უფლება, მონაწილეობდეს თამაშებსა და გასართობ ღონისძიებებში, რომლებიც შეესაბამება მის ასაკს და თავისუფლად ჩაერთონ კულტურულ ცხოვრებაში. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 31-ე მუხლი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს პატივი სცენ და ხელი შეუწყონ ბავშვის უფლებას, ყოველმხრივ მონაწილეობდეს კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში, აგრთვე, მათ მიეცეთ თანასწორი შესაძლებლობანი კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისა და დასვენებისათვის.

დაცვა (Protection) – დაცვის მიზანია **კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების** დაცვა ადამიანის უფლებების დარღვევისგან. დაცვის განხორციელებისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული პირადი განვითარება, რათა თავიდან იქნას აცილებული დანაშაულის განმეორება, ხელი შეეწყოს რეაბილიტაციასა და ბავშვის საზოგადოებაში დაბრუნებას.

დასჯის სხვა მიუღებელი ფორმები (Other unacceptable forms of punishment) – საერთაშორისო სამართალში ზოგადი მოთხოვნა არსებობს, რომლის თანახმად, ბავშვები არასდროს არ შეიძლება დაექვემდებარონ სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა ან სასჯელს. სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის მრავალი ფორმა არსებობს.

ბავშვებისთვის თავისუფლების სამუდამო აღკვეთა მძიმე სასჯელს უტოლდება და შესაბამისად, საერთაშორისო სამართალი მას კრძალავს. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის დებულება ნათლად ადგენს, რომ ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა უზრუნველყონ „სამუდამო პატიმრობა გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე არ იყოს გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული 18 წლის ასაკის მიღწევამდე ჩაიდინეს“. სამწუხაროდ, ეს აკრძალვა სამუდამო პატიმრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეხება, როდესაც თავისუფლების უვადო აღკვეთას გათავისუფლების შესაძლებლობა არ ახლავს. **ბავშის უფლებათა კომიტეტი** №12 ზოგად კომენტარში მიუთითებს, რომ ბავშვების მიმართ გამოყენებულ ნებისმიერ სასჯელში გათავისუფლების შესაძლებლობა რეალური უნდა იყოს და რეგულარულად უნდა განიხილებოდეს. ამ თვალსაზრისით, **ბავშვის უფლებათა კომიტეტი** ბავშვის უფლებების კონვენციის 25-ე მუხლს ეყრდნობა, რომელიც აღიარებს მოვლის მიზნით სამეურვეოდ, დასაცავად ან სამკურნალოდ გამწესებული ყველა ბავშვის უფლებას, პერიოდულად ხდებოდეს მათი მდგომარეობის შეფასება. **ბავშვის უფლებათა კომიტეტი** კონვენციის იმ ხელშემკვრელ მხარეებს, რომლებიც ბავშვებს გათვისუფლების ან პირობით ვადამდე ადრე გათავისუფლების პირობით თავისუფლების უვადო აღკვეთას უსჯიან, შეახსენებს, რომ სასჯელი „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-40 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზანს სრულად უნდა შეესაბამებოდეს და მისი განხორციელებისკენ უნდა მიისწრაფოდეს.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა №8 ზოგად კომენტარში, რომელიც ბავშვის ფიზიკური დასჯისა და სხვა სასტიკი ან დამამცირებელი ფორმით დასჯისგან დაცვის უფლებას შეეხება, აღნიშნა შემდეგი: „ფიზიკური დასჯა და სხვა სასტიკი ან და-

მამცირებელი ფორმით დასჯა ძალადობის ფორმებია და სახელმწიფომ მათ აღმოსაფხვრელად ყველა შესაბამისი საკანონმდებლო, ადამინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიება უნდა განახორციელოს. აქვე აღნიშნულია შემდეგი: „ფიზიკური დასჯა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულასა და ორივე პაქტში განმტკიცებული ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს – პიროვნების ღირსებას არ შეესაბამება". არცერთ სახელმწიფო დაწესებულებას ან სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ დაწესებულებას, სადაც ბავშვები ცხოვრობენ ან დაკავებულნი არიან, ბავშვების ფიზიკური დასჯის უფლება არ აქვს, რადგან ეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯის ზოგად აკრძალვაში შედის.

ფიზიკური დასჯა და სასჯელის სხვა სასტიკი ან დამამცირებელი ფორმები ძალადობის ფორმებს წარმოადგენენ. ბავშვის უფლებების კომიტეტის №8 ზოგადი კომენტარი ფიზიკურ დასჯას სასჯელის სასტიკ და დამამცირებელ ფორმად კომენტარის სათაურშივე ნათლად წარმოაჩენს. ზოგადი კომენტარის თანახმად, „ოჯახში, სკოლებსა და სხვა გარემოში ბავშვთა ფიზიკური დასჯის ფართოდ გავრცელებული აღიარებისა ან შეწყნარების საკითხის მოგვარება არა მხოლოდ ვალდებულებაა", არამედ ასევე „საზოგადოებებში ყველა ფორმის ძალადობის შემცირებისა და თავიდან არიდების ძირითადი სტრატეგიაა". „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-19 მუხლი სახელმწიფოებისგან მოითხოვს „ყველა აუცილებელი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომის მიღებას იმ მიზნით, რომ ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეებისა ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლოატაციისგან სექსუალური შეურაცხყოფის ჩათვლით". ამდენად, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ განახორციელონ ყველა სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიება ძალადობის, მათ შორის ბავშვების ფიზიკური დასჯის აღმოსაფხვრელად.

დახმარების უფლება (Right to Care) – „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 23-ე მუხლი მოითხოვს სახელმწიფომ უზრუნველყოს, რომ გონებრივად ან ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვის მქონე ბავშვი სარგებლობდეს სრული და ღირსეული ცხოვრების პირობებით, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ღირსების დაცვას, საკუთარი თავის რწმენას და საზოგადოებაში ბავშვის აქტიურ მონაწილეობას. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისთვის განსაკუთრებული ზრუნვის უფლება და უზრუნველყონ: ა) ბავშვის მდგომარეობასა და მშობლების გარემოებებთან მისადაგებული საჭირო დახმარება; ბ) განათლების, ჯანდაცვის და სარეაბილიტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობა, დასაქმებისთვის მზადება, დასვენების შესაძლებლობები; გ) კულტურული და სულიერი განვითარების ხელმისაწვდომობა.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" კონვენციის 23.5 მუხლი არეგულირებს დახმარების უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოს, თუ ოჯახი ვერ ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვზე, მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს ალტერნატიული ზრუნვა

უფრო დიდი ოჯახის ფარგლებში და თუ ეს შეუძლებელია, ალტერნატიულ ოჯახურ გარემოში. ასევე, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი სარეაბილიტაციო მომსახურების და პროგრამების ორგანიზება, განმტკიცება და გაფართოება, კერძოდ, ჯანდაცვის, დასაქმების, განათლებისა და სოციალური მომსახურება. ეს პროგრამები უნდა დაიწყოს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე და უნდა ეფუძნებოდეს ინდივიდუალური საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების მულტიდისციპლინარულ შეფასებას. სახელმწიფო ვალდებულია: ა) უზრუნველყოს საზოგადოებაში მონაწილეობა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში ჩართულობა; ბ) ხელი შეუწყოს აბილიტაციისა და სარეაბილიტაციო სამსახურებში მომუშავე პროფესიონალისა და მუშაკთა საწყისი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფას; გ) ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, მათი აბილიტაციისა და რეაბილიტაციის მიზნით შექმნილი დამხმარე საშუალებებისა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას, ცოდნას და გამოყენებას (მუხლი 26). ამასთან, სახელმწიფო ვალდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უზრუნველყოს ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით და სოციალური დაცვით, უზრუნველყოფს რა: ა) სუფთა წყლის, მოწყობილობების და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული საჭიროებების და სხვა სახის დახმარების ხელმისაწვდომობას; ბ) სოციალური დაცვის, სიღარიბის დაძლევის პროგრამების ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ქალებისა და გოგონებისთვის; გ) შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ხარჯების, სწავლების, კონსულტაციის, ფინანსური დახმარების და ზრუნვის ხელმისაწვდომობას.

დევიაციური ქცევა (Deviative behavior) – ქცევა, რომელიც არღვევს სოციალური ქცევის ნორმებს და მიღებულ წესებს. დევიაციურ ქცევად შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ტრადიციების დარღვევა, ისე ნებისმიერი დანაშაული: ძარცვა, ქურდობა, გაუპატიურება, მკვლელობა და ა. შ. დევიაციური ქცევისას, მოზარდებს ახასიათებთ ნეგატივიზმი, რისკისკენ სწრაფვა, ფსიქიკური რიგიდულობა, ქცევის არაპროგნოზირება, მომატებული აგრესიულობა, მომატებული აღგზნებადობა, მძაფრი შთაბეჭდილებების მიღების მოთხოვნილება.

დემენცია (Dementia) – კოგნიტური ფუნქციების დეგრადირება ანუ აზროვნების უნარის დაქვეითება და შემდგომში მოშლა. ამ დროს ადამიანი ვერ აცნობიერებს საკუთარ ქმედებას. დემენციის მქონე ადამიანებს ახასიათებთ **აგრესია**, მაგრამ ისინი ვერ აცნობიერებენ თავიანთი ქმედების მართებულობას. დემენცია ძირითადად, ასაკობრივი დაავადებაა.

დელინკვენტობა (Delinquency) – ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ან **ანტისოციალური ქმედება** თუ ქცევა. ტერმინის ნეგატიური კონოტაციის გამო და ვინაიდან იგი იწვევს ბავშვის სტიგმატიზაციას, არასრულწლოვანებთან დაკავშირებით აღნიშნული ტერმინის გამოყენებისგან თავს იკავებენ. დელინკვენტური ქცევის ნიმუშად გამოდგება, როგორც მაღაზიის გაქურდვის ფაქტი, ისე საკრედიტო ბარათზე შესატანი თანხის დაგვიანებით შეტანა.

დესტრუქციული ქცევა (Destructive behavior) – გულისხმობს ნივთების ან გარემოს განადგურებას, აგრეთვე სხვა ადამიანებისთვის ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზიანის მიყენებას. გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს შიში, ბრაზი, შფოთვა და ა. შ.

დისკრიმინაცია (Discrimination) – ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ან შელახ-

ვა სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით და გვევლინება ინდივიდთა თანასწორობის უარყოფად, რაც შეუთავსებელია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებთან. „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლება. კონვენცია სახელმწიფოებისგან მოითხოვს სათანადო ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას ყველა ბავშვის ეფექტიანი თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. უთანასწორობის მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სახელმწიფოებს შესაძლოა დასჭირდეთ პოზიტიური ღონისძიებების გატარებაც. დამატებით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" კონვენციის მე-5 მუხლი მოუწოდებს სახელმწიფოებს აკრძალონ შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველზე ნებისმიერი **დისკრიმინაცია** და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი და ეფექტური სამართლებრივი დაცვა ნებისმიერი დისკრიმინაციისგან. თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით, კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა უზრუნველყონ გონივრული მისდაგების გათვალისწინება.

„ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი (მუხლი 13) კრძალავს **დისკრიმინაციას** სასწავლო პროცესში.

დიფუზური იდენტობა (Diffusion Identity) – გაურკვეველი, ბუნდოვანი და არამდგრადი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

ე

ევროკავშირი (EU) – ევროპის კავშირი (გაერთიანება), რომელიც შედგება სამი ორგანიზაციისაგან, ესენია: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის კომისია (ევრატომი). 1957 წლის რომის ხელშეკრულებით შეიქმნა „ევროპის გაერთიანება", სადაც სამივე ორგანიზაცია ავტონომიურობით სარგებლობდა, ხოლო 1967 წლიდან „ხელშეკრულებით შეწრყმის შესახებ" შეიქმნა ევროპის გაერთიანების ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოების სისტემა. მომდევნო წლებში ეს ერთიანობა უფრო გაძლიერდა. 1991 წლის 11 დეკემბერს, ქ. მაასტრიხტში (ნიდერლანდი) დაიდო ხელშეკრულება „პოლიტიკური კავშირების შესახებ", რომელიც აძლიერებს ევროკავშირის საქმიანობას საერთაშორისო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1993 წელს. 1997 წლის ივნისში, ხელი მოეწერა მაასტრიხტის ახალ ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან შესწორებას, რამაც საგრძნობლად გააძლიერა ევროკავშირის ერთიანობა საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის უზენაეს წარმომადგენლად. მაასტრიხტის შემდეგ, ევროგაერთიანება ევროპის კავშირის სახით გვევლინება.

ევროკავშირის ძირითადი ორგანოებია: კომისია, ევროპარლამენტი და მინისტრთა საბჭო.

ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წელს, ნიცის სამიტზე (მუხლები 24 და 31), ითვალისწინებს ევ-

როკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას ევროკავშირის კანონმდებლობის აღსრულებისას, დაიცვან ბავშვთა უფლებები.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებითა და ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზაციის ფარგლებში ფუნქციონირებს „უფლებების, თანასწორობისა და მოქალაქეობის" პროგრამა (2014-2020), რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთა და მათი უფლებების განმტკიცება.

ევროპის საბჭო (Council of Europe) – შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს, ლონდონში, დასავლეთი ევროპის ათი სახელმწიფოს (ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი) საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ამ ორგანიზაციის წესდებაზე ხელმოწერის შედეგად. 1949-1970 წლებში, ორგანიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთი ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო. 1990 წლამდე ევროპის საბჭო დასავლეთი ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად რჩებოდა. 1989 წელს, მან შემოიღო ქვეყნებისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეუწყო ამ ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარებას.

ევროპის საბჭო არის საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია, რომლის მიზანია: ადამიანის უფლებათა, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა; ევროპის თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების (ეროვნული უმცირესობის დაცვა, ბრძოლა ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, გარემოს დაუცველობის, ადამიანის კლონირების, შიდსის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და ა. შ.) გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიება; პოლიტიკური, საკანონმდებლო და სასამართლო რეფორმების მხარდაჭერის გზით, ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება. ორგანიზაცია განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, გარდა თავდაცვის საკითხებისა. მისი მოქმედების პროგრამა მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს, როგორიცაა: **ადამიანის უფლებები**, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ დარგში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა, ადგილობრივი დემოკრატია და საზღვრისპირა თანამშრომლობა, გარემოს დაცვა და რეგიონული დაგეგმარება.

ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავებულია „ბავშვთა უფლებების შესახებ" სტრატეგია (2016-2021). დოკუმენტი განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების გარანტირებისთვის გასატარებელ ღონისძიებებს ორგანიზაციის მიერ დასახული შემდეგი ხუთი პრიორიტეტული სფეროს მიხედვით: 1. თანაბარი შესაძლებლობები ყველა ბავშვისთვის, 2. ყველა ბავშვის ჩართულობა; 3. ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლე ყველა ბავშვისთვის; 4. ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემა ყველა ბავშვისთვის და 5. **ბავშვის უფლებები ციფრულ გარემოში.**

ელექტრონულად დამუშავებული მასალები ბავშვის სექსუალური ძალადობის შესახებ (Computer/digitally generated child sexual abuse material) – ელექტრონულად დამუშავებული მასალები ბავშვის სექსუალური ძალადობის შესა-

ხებ იქმნება მთლიანად ან ნაწილობრივ ხელოვნურად, ციფრული მედიის საშუალებით. სურათის დამუშავების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე, აღიქმება, რომ ბავშვი სექსუალურ მოქმედებებში ნამდვილად არის ჩართული. მსგავსი სტილის მასალას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ბავშვის ვირტუალურ პორნოგრაფიას“ ან „ბავშვის ფსევდოპორნოგრაფიას“. აღნიშნული მასალები ექცევა ბუდაპეშტის კონვენციის (მუხლი 9 (2) (c) და ევროკავშირის 2011/93 დირექტივის (მუხლი 2 (c) (IV)) ფარგლებში და სამართლებრივ დოკუმენტებში გვხვდება, როგორც „ბავშვის სექსუალურ მოქმედებებში ჩართულობის ამსახველი რეალისტური სურათი“. ელექტრონულად დამუშავებული მასალები ბავშვის სექსუალური ძალადობის შესახებ მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ფსევდოფოტოებით, მსახიობი-კომიკოსებით, ნახაზებით და ანიმაციებით, სადაც ასახულია ვირტუალურად სექსუალურ მოქმედებებში ჩართული ბავშვები. პრეფიქსის მიუხედავად, ტერმინში „ელექტრონულად დამუშავებული“ მოიაზრება ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის ხელოვნურად შექმნა, როგორც ციფრული მოწყობილობის მეშვეობით, აგრეთვე, ნახატის ხელით შესრულება. „ფსევდოფოტო“ არის სურათი, რომელიც შექმნილია კომპიუტერული გრაფიკით ან სხვაგვარად, რომელიც აღიქმება, როგორც ფოტო. მსგავსი ფოტოები, რომელსაც ზოგჯერ მოიხსენიებენ როგორც „ამორფული“ ან „გაბინდული“ ფოტოები, ხშირ შემთხვევაში, აერთიანებს რამდენიმე ფოტოს (უმეტესწილად, ბავშვების და მოზარდების), რომ შეიქმნას ინდივიდუალური გამოსახულება. ვიდრე კომპიუტერის მეშვეობით ფოტოების ცვლილების აპლიკაცია გახდებოდა ხელმისაწვდომი, დამნაშავეები მექანიკურად სხვა მოზარდის ან ბავშვის სხეულის ამსახველ სურათზე ათავსებდნენ სულ სხვა ბავშვის თავის გამოსახულებას.

არსებული პრაქტიკის თანახმად, მსგავსი სახის მასალებში სრულწლოვნები ჩაწერისას ან ფოტოს გადაღებისას, პოზირებენ ბავშვურ სტილში, რომ მოირგონ ახალგაზრდული გამომეტყველება. აღნიშნულს მოიხსენიებენ, როგორც „ფსევდოინფანტილური ფოტო“ ან „სტიმულირებული ფოტო“. იმისდა მიუხედავად, რომ საერთაშორისო სამართალი ცალსახად არ ეხება აღნიშნულ საკითხს, ბუდაპეშტის კონვენცია და ევროკავშირის 2001/93 დირექტივა ნათლად მოიცავს „ბავშვთა პორნოგრაფიის“ დეფიციინიაში „პირს, რომელიც წარმოსდგება, როგორც არასრულწლოვანი“. ბავშვის სექსუალური ძალადობის ამსახველი ელექტრონულად დამუშავებული მასალები გარდაუვლად არ ითხოვს ბავშვისთვის პირდაპირი ფიზიკური ზიანის მიყენებას მასალის შექმნის პროცესში, თუმცა, მაინც საფრთხის შემცველია, რადგან (i) ის გამოიყენება ექსპლოატაციის მიზნით, ბავშვის გასარყვნელად; (ii) ის აღვივებს რეალურ ფანტაზიებს, ზრდის მიდრეკილებას სექსუალურ მოძალადეში და ხელს უწყობს ბავშვთა სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალებით ვაჭრობას; (iii) ყალიბდება ბავშვთა სექსუალური ძალადობის მიმართ შემწყნარებლური კულტურა და გარკვეულწილად, მოთხოვნაც.

ეკონომიკური ძალადობა (Economic Violence) – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

ეკონომიკური ექსპლოატაციისგან დაცვის უფლება (Right to be protected from economic exploitation) – ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული ეკონომიკური ექ-

სპლოატაციისგან და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსგან, რომელიც შეიძლება საში-ში იყოს მისი ჯანმრთელობისათვის ან დაბრკოლებას უქმნიდეს მას განათლე-ბის მიღებაში ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას და ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ გან-ვითარებას. „ბავშვის უფლებების შესა-ხებ“ კონვენციის 32-ე მუხლის თანახმად, ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოებმა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბა-მისად უნდა უზრუნველყონ საკანონ-მდებლო და სოციალური ღონისძიებების გატარება აგრეთვე, განათლების სფერო-ში. კერძოდ, სახელმწიფოებმა უნდა: ა) დაადგინონ მინიმალური ასაკი სამუშა-ოზე მიღებისათვის; ბ) საჭირო მოთხოვ-ნები, სამუშაო დღის ხანგრძლივობა და შრომის პირობები; გ) გაითვალისწინონ შესაბამისი სახის სასჯელი ან სხვა სან-ქციები ამ მუხლის ეფექტიანი განხორ-ციელების უზრუნველსაყოფად.

ემოციური ინტელექტი (Emotional intelligence) – საკუთარი ემოციების აღქმის, ამოცნობის, გაანალიზების ადეკვატურ-ად გამოხატვის და მართვის უნარი, ისე-ვე როგორც სხვათა ემოციების ამოცნო-ბის, აღქმის, გაანალიზების და მათზე გავლენის მოხდენის უნარი.

ემპათია (Empathy) – მეორე ადამიანის გაგების და მისთვის თანაგრძნობის გა-მოხატვის გამოცდილება. ეს არის ადამი-ანის უნარი – „ჩაძვრეს სხვის ტყავში“ და განიცადოს და გაითავისოს სხვისი პრობ-ლემა. ემპათიის უნარი ადამიანს უყალი-ბებს და უვითარებს პროსოციალურ ქცე-ვას და სხვისი დახმარების უნარს. მეცნ-ერული კვლევის შედეგად აღმოჩენილ-ია ე. წ. „სარკისებური ნეირონები“, რომ-ელთა დახმარებითაც ადამიანი სხვის ემოციაზე ახდენს რეაგირებას.

ემპათიური მოსმენა (Empathetic hearing) – ე. წ. აქტიური მოსმენა, როდესაც თანაუგრძნობ მოსაუბრეს, რაც ხელს უწ-ყობს ურთიერთგაგებას და ნდობის ჩამო-ყალიბებას.

ეუთო (ევროპაში უშიშროებისა და თა-ნამშრომლობის ორგანიზაცია - OSCE) – უსაფრთხოების რეგიონული საერთა-შორისო ორგანიზაცია, რომლის წევრია 57 სახელმწიფო. იგი შეიქმნა **გაეროს** წესდების VIII თავის შესაბამისად, ევრო-პაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორიცაა: შეიარაღების კონტროლი, **გაეროს** პრევენციული დიპ-ლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, **ადამიანის უფლებე-ბი**, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომი-კური და გარემოს უსაფრთხოება. 1975 წლის 5 აგვისტოს, ჰელსინკის დასკვნით თათბირზე, აქტს ხელი მოაწერა 35-მა სა-ხელმწიფომ. თუმცა, ეს აქტი არ არის სა-ერთაშორისო ხელშერულება, იგი უდი-დესი მნიშვნელობის პოლიტიკური შე-თანხმებაა, რომლის მიზანი იყო, შეესუს-ტებინა „ცივი ომით“ გამოწვეული დაძა-ბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. 1990 წლამდე, ეუთო ფუნქციო-ნირებდა როგორც შეხვედრებისა და კონ-ფერენციების ფორუმი, რომელიც ადგენ-და სახელმწიფოთა და მოქალაქეთა მოქ-მედების წესებს და პერიოდულად მიმო-იხილავდა მათ შესრულებას (ამ დროს მი-სი სახელწოდება იყო ევროპაში უშიშრო-ებისა და თანამშრომლობის თათბირი). პარიზის 1990 წლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ეუთო ახალ კურსს დაად-გა. „პარიზის ქარტიაში ახალი ევროპი-სათვის“ ეუთო-ს ძირითად ამოცანებად მიჩნეულ იქნა ევროპაში მიმდინარე ის-ტორიული გარდაქმის წარმართვისა და „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ახალ მოთხოვნებზე რეაგირებისათვის ხელის შეწყობა. ამ ამოცანების შესრულების გა-საადვილებლად შეიქმნა ცალკეული ინ-სტიტუტები, შეხვედრებმა უფრო რეგუ-

ლარული ხასიათი მიიღო და მისი მუშაობა უფრო ორგანიზებული გახდა.

ეუთო აფასებს წევრი სახელმწიფოების მიერ ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებს. ორგანიზაციის ანტიტრეფიკინგის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბავშვებით ვაჭრობის აღკვეთასა და პრევენციას.

ეფექტური კომუნიკაცია (Effective Communication) – გულისხმობს მოსაუბრის პატივისცემას, მოსმენის უნარს და მისი ვერბალური (სიტყვიერი) გზავნილის გაგებისა და მოსაუბრის ფსიქოლოგიური განწყობილების მიხვედრა-ამოცნობას, მისი პრობლემების, მისწრაფებების და მოთხოვნილებების სწორად აღქმის უნარს.

ეკონომიკური ექპლოატაციისგან დაცვის უფლება (Right to be protected from economic exploitation) – ყველა ბავშვი დაცული უნდა იყოს ეკონომიკური ექსპლოატაციისაგან და ნებისმიერი ისეთი სამუშაოსგან, რომელიც შეიძლება საშიში იყოს მისი ჯანმრთელობისათვის ან დაბრკოლებას უქმნიდეს მას განათლების მიღებაში ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას და ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 32-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ საკანონმდებლო და სოციალური ღონისძიებები, აგრეთვე ღონისძიებები განათლების სფეროში, რათა უზრუნველყონ ამ უფლების შესრულება. კერძოდ, სახელმწიფოებმა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით, უნდა: ა) დაადგინონ სამუშაოზე მიღებისათვის მინიმალური ასაკი; ბ) დაადგინონ საჭირო მოთხოვნები სამუშაო დღის ხანგრძლივობისა და შრომის პირობების შესახებ და გ) გაითვალისწინონ შესაბამისი სასჯელი ან სხვა სანქციები კონვენციის ამ მუხლის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად.

ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში (Exploitation of children in/for prostitution) – 21-ე საუკუნეში მიღებულ საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტებში, ასევე მასობრივ მედია საშუალებებში ტერმინი „ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია პროსტიტუციისთვის“ ხშირად ეხება „ბავშვთა პროსტიტუციას“. ექსპლოატაციის ამგვარი ფორმა მოიცავს სექსუალური მოქმედების შესრულების სანაცვლოდ, ბავშვისთვის რაიმე საზღაურის (ფულის, თავშესაფრის, საკვების, ნარკოტიკული საშუალებების ან სხვა) შეთავაზებას ან დაპირებას. შესრულების სანაცვლოდ დაპირებული საზღაური შესაძლებელია მიიღოს არა ბავშვმა, არამედ მესამე პირმა. ასევე, არ არის აუცილებელი ის ფაქტიც, მოხდა თუ არა რეალურად დაპირებული საზღაურის გაცემა ან თუ რამდენად აკმაყოფილებდა პირს უბრალოდ დაპირება, რომელიც შეიძლება არც არასდროს შესრულებულიყო.

ზოგადად, ტერმინის – „ბავშვთა პროსტიტუცია“ გამოყენება მას შემდეგ დადგა ეჭვქვეშ, რაც ტერმინს ფართო სადავო ინტერპრეტაცია მიეცა, რომ პროსტიტუცია წარმოადგენს სექსსამუშაოს ლეგიტიმურ ფორმას ან ბავშვი პროსტიტუციაში ერთვება ინფორმირებული თანხმობის შედეგად. აღნიშნული მიზეზით, იმისათვის, რომ ხაზი გაესვას ექსპლოატაციაში ბავშვს, როგორც მსხვერპლს, ტერმინის მცირედ შეცვლამ „ბავშვთა პროსტიტუცია“ და ახალი ტერმინის შემოღებამ – „პროსტიტუცია ბავშვებით“ შესაძლებელია ხაზი გაუსვას პროსტიტუციაში ბავშვის იძულებით ჩართვას, ვიდრე მის ნებაყოფლობით მონაწილეო-

ბას.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ შესაბამისი ზომები „ბავშვის პროსტიტუციაში ექსპლოატაციის“ პრევენციისათვის. თუმცა, აღნიშნული მიდგომა დამატებით განსაზღვრული არ არის.

„ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ“ 1990 წლის აფრიკული ქარტიის 27-ე მუხლის „ბ“ პარაგრაფი ადგენს წევრი სახელმწიფოების პასუხისმგებლობას, მიიღონ პრევენციული ხასიათის ზომები „ბავშვების პროსტიტუციაში ან სხვა სექსუალურ პრაქტიკაში გამოყენების“ წინააღმდეგ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის კონვენციის (C182) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ეხება „ბავშვის გამოყენება, მოსყიდვა ან შეთავაზება პროსტიტუციაში მონაწილეობის მიღების მიზნით“, რომელიც განსაზღვრულია, როგორც „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმა“.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 2000 წლის დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი იყენებს ტერმინს „ბავშვთა პროსტიტუცია“ და განმარტავს შემდეგნაირად: „[ბ] ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად“. დამატებით, მე-3 მუხლი (ბ) მოითხოვს წევრმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ მოქმედი სისხლის სამართალთან შესაბამისობა შემდეგი სახის ქმედებების – „ბავშვის შეთავაზება, მიღება, მიწოდება ან ბავშვებით უზრუნველყოფა პროსტიტუციის მიზნით“.

„სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (ლანზაროტეს კონვენცია, 2007) მე-19 (2) მუხლში იყენებს ტერმინს „ბავშვთა პროსტიტუცია“ და განსაზღვრავს როგორც: „ბავშვის სექსუალური ურთიერთობისათვის გამოყენების ფაქტს, როდესაც ამის სანაცვლოდ იძლევიან ან ჰპირდებიან ფულს ან ანაზღაურების სხვა ფორმას ან რაიმე საზღაურს, იმისდა მიუხედავად, ეს გადასახადი, დაპირება ან საზღაური განსაზღვრულია თავად ბავშვისათვის თუ მესამე პირისთვის“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (მუხლი 254) მიხედვით, დასჯადია პირის (მათ შორის, არასრულწლოვნის) დაყოლიება ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პირის პროსტიტუციაში მონაწილეობას.

ექსტრავერსია (Extraversion) – პიროვნების ერთ-ერთი ბაზისური ტიპი. ექსტრავერტირებული პიროვნება ხასიათდება სოციალური კონტაქტების სიყვარულით, გულღიაა, ადვილად ამყარებს ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, ენერგიული, ხალისიანი და საკუთარ თავში დარწმუნებულია.

3

ვადები და მშობლების/წარმომადგენლების მონაწილეობა (Terms and Participation of parents/representatives) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-40 მუხლი განმარტავს ბავშვის უფლებას: იყოს ინფორმირებული დაუყონებლივ და უშუალოდ მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების შესახებ და თუ საჭიროა, მშობლების ან წარმომადგენლის საშუალებით. **გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის** №10 ზოგადი კომენტარის თანახმად, „დაუყონებლივ“ ნიშნავს, რაც შეიძლება სწრაფად და ეს არის დრო, როდესაც პროკურორი ან მოსამართლე ახორციელებს პირველ საპროცესო მოქმედებებს ბავშვის წინააღმდეგ. ხოლო „უშუალოდ“ ნიშნავს, რომ ბავშვი უნდა იყოს ინფორმირებული პირადად და იმ ენაზე, რომელიც მას ესმის. აღნიშნულში კი, შეიძლება იგულისხმებოდეს ოფიციალური სამართლებრივი ტერმინების ბავშვებისთვის გასაგებ ენაზე გადმოცემა. პასუხისმგებელი ორგანოების ვალდებულებაა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა სრულყოფილად გაიგოს მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება. ბავშვისთვის ოფიციალური დოკუმენტის გადაცემა არ არის საკმარისი, როგორც წესი, აუცილებელია სიტყვიერი განმარტება. საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც ბავშვი და მშობლები ან წარმომადგენელი იღებენ ინფორმაციას ისე, რომ წაყენებული ბრალდებები და შესაძლო შედეგები ყველასთვის თანაბრად გასაგებია (ზოგადი კომენტარი №10, პარ. 47-8).

პეკინის წესები (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ) განსაზღვრავს, რომ მშობელი ან მეურვე უნდა იყოს უფლებამოსილი, მონაწილეობა მიიღოს პროცედურებში და ასევე შესაძლოა დაესწროს მათ, თუ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესში შედის. მშობლისა და მზრუნველის უფლება, მონაწილეობა მიიღს პროცესში, განხილული უნდა იყოს როგორც ზოგადი „ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერა“. წესების თანახმად, მშობლების ან მეურვის დასწრებამ პროცედურებზე შეიძლება უარყოფითი გავლენაც იქონიოს, მაგალითად, თუ ისინი ამჟღავნებენ მტრულ დამოკიდებულებას ბავშვის მიმართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს მათი ჩამოცილება პროცედურებიდან.

ვირტუალურ გარემოში ბავშვზე სექსუალური ძალადობა (Live online child sexual abuse) – ვირტუალურ გარემოში ბავშვზე სექსუალური ძალადობის პრაქტიკა როგორც ბავშვზე სექსუალური ექსპლოატაციასა და სექსუალური ხასიათის წარმოდგენებთან, ასევე, ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის შექმნასთან დაკავშირებით, თანდათან იზრდება. ამგვარი სახის დანაშაულების სათანადო განსაზღვრების არარსებობის პირობებში, სფეროს აკლია ადეკვატური კრიმინალიზაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვირტუალურ გარემოში ბავშვზე სექსუალური ძალადობა ექცევა ბავშვის სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობის მარეგულირებელ დებულებებში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბავშვის უფლებათა დაცვის ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებში მსგავსი მიდგომა ცალსახად არ არის მითითებული. შესაბამისად, პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ბავშვის გამოყენება და რეკრუტირება, ონლაინ ან კავშირის გარეშე რეჟიმში, აუცილებლად უნდა იყოს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის (მუხლი 34 (გ)), „ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ“ აფრიკის ქარტიის (მუხლი 27 (გ)), შრომის საერთაშორი-

სო ორგანიზაციის კონვენციის (C182, მუხლი 3 (ბ)) და ლანზაროტეს კონვენციის (მუხლი 21) მიხედვით, სისხლის სამართლის წესით დასჯადი. უფრო მეტიც, მსგავსი ქმედება უნდა მოექცეს „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმის დეფინიციის – „ბავშვთა პროსტიტუცია“ ფარგლებში: „ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად“ (მუხლი 2 (ბ)), როდესაც ვირტუალურ გარემოში ბავშვზე სექსუალური ძალადობის ჩაწერა ან დარეგისტრირება ხდება, აღნიშნული მიიჩნევა ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის შექმნად და შესაბამისად, ექცევა ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებით ყველა ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტის დებულებების ფარგლებში.

ვირტუალურ გარემოში ბავშვზე სექსუალურ ძალადობა ხშირად, ბავშვზე ორმაგ ძალადობას წარმოადგენს. როდესაც პირს აიძულებენ მონაწილეობა მიიღოს სექსუალური ხასიათის წარმოდგენაში, მარტო ან სხვა პირებთან ერთად – აღნიშნული ქმედება უკვე წარმოადგენს სექსუალურ ძალადობას. სექსუალური ხასიათის ქმედება ერთდროულად, ვრცელდება „პირდაპირი გაშუქების“ რეჟიმში საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების მეშვეობით, რომელსაც მნახველი უყურებს დისტანციურად. ხშირად, პირი, რომელიც დისტანციურად უყურებს სექსუალური ხასიათის მასალას, არის სწორედ ამგვარი მასალის დამკვეთი კერძოდ, პირი კარნახობს თუ როგორ უნდა წარიმართოს მოქმედება და შესაძლებელია, რომ აღნიშნულის სანაცვლოდ პირმა გადაიხადოს თანხა. ვირტუალურ გარემოში ბავშვზე სექსუალურ ძალადობას პრაქტიკიდან გამომდინარე, აქვს როგორც კომერციული, აგრეთვე, არაკომერციული ფორმა და არსებობს შემთხვევები, როდესაც ბავშვის სექსუალურ ექსპლოატაციაში ჩართვა ხდება ბიზნესინტერესით.

1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 34-ე მუხლში აღნიშნულია „ექსპლოატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში“ ონლაინ და კავშირის გარეშე რეჟიმის სპეციალური მითითების გარეშე.

„ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ“ 1999 წლის აფრიკის ქარტიის 34-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ეხება „პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში ბავშვების გამოყენებას“. კონვენციის მსგავსად, დოკუმენტი არ აზუსტებს თუ როგორ ხორციელდება შესაბამისი მოქმედებები ონლაინ თუ კავშირის გარეშე რეჟიმში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის კონვენციის (C182) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი კრძალავს „ბავშვის გამოყენებას, შეთავაზებას ან დაქირავებას პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისათვის ან პორნოგრაფიული წარმოდგენისათვის“.

ლანზაროტის 2007 წლის კონვენცია განსაზღვრავს ბავშვთა „გამოყენების“ სხვადასხვა ფორმებს და მოითხოვს წევრმა სახელმწიფოებმა კრიმინალიზაცია მოახდინონ პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ბავშვების მონაწილეობასთან დაკავშირებული დანაშაულების, როგორიცაა ბავშვის რეკრუტირება პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად ან ბავშვის იძულება ჩაერთოს მსგავს წარმოდგენაში; ბავშვის ექსპლოატაციის მიზნით სარგებლის მიღება და ბავშვის მონაწილეობით სექსუალური ხასიათის წარმოდგენაზე განზრახ დასწრება. ევროკავშირის 2011/93 დირექტივა ტერმინში „პორნოგრაფიული წარმოდგენა“ (მუხლი 2 (ე)) მოიცავს „საინფორმაციო

ტექნოლოგიების საშუალებებით აუდიტორიისთვის ონლაინ რეჟიმში გამოფენას: (i) ბავშვის, რომელიც ჩართულია რეალურად ან სიმულაციურად სექსუალური ხასიათის მოქმედებაში; ან (ii) სექსუალური მიზნებისთვის ბავშვების სექსუალური ორგანოების.

ვიქტიმიზაცია (Victimization) – ტერმინი „ვიქტიმიზაცია" ეხება ქმედებას, რის შედეგადაც სხვა ადამიანი ხდება მსხვერპლი. პიროვნების ამორჩევა ბოროტი ან არასამართლიანი მოპყრობისთვის. ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია და სექსუალური ძალადობა წარმოადგენს ვიქტიმიზაციის ფორმას, რა დროსაც ბავშვი ხდება მოძალადის/ექსპლოატატორის მსხვერპლი.

ზ

ზეადაპტაცია (Superficiality) – ადაპტაციის, ანუ გარემოსთან მორგების და შეგუების პროცესის ძალიან სწრაფად გავლა და ყველანაირ სიტუაციასთან შეგუების უნარი.

ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება (Right to compensate for injury and damage and the right to claim compensation) – განაჩენის გამოცხადების შემდეგ, სასამართლო არასრულწლოვან ბრალდებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს საქმის სასამართლოში განხილვის შედეგებს და განუმარტავს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

ზნეობა (მორალი) (Morality) – ზნეობრივი განვითარების პროცესში გამოიყოფა სამი ძირითადი დონე: 1) ბავშვი ემორჩილება მიღებულ წესებს ეგოისტური მოსაზრებების გამო; 2) კონვენციური ზნეობა, რომელიც ორიენტირებულია ქცევის გარეგანი გამოხატულების ნორმებზე ანუ „კარგი ადამიანის" მოდელზე და 3) ავტონომიური ზნეობა, რომელიც გულისხმობს შიდა ავტონომიური პრინციპების სისტემაზე ორიენტაციას.

ზღვრული ასაკი, რომლის ქვემოთაც, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების თანახმად, აკრძალულია ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება (Age of sexual consent) – ტერმინის სამართლებრივი განმარტება ასახულია ლანზაროტეს კონვენციის მე-18 მუხლში, რომელიც სახელმწიფოებს უტოვებს შესაძლებლობას მიუთითონ ასაკი, რომლის ქვემოთაც აკრძალულია სექსუალური ურთიერთობის დამყარება. ლანზაროტეს კონვენცია და ბევრი კანონმდებლობა განასხვავებს სქესობრივ კავშირს თანატოლებს შორის სქესობრივ კავშირისგან ბავშვსა და ზრდასრულს შორის. კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს ქმედების კრიმინალიზაციას, რომელიც ითვალისწინებს იმ პირთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, რომელსაც არ მიუღწევია კანონმდებლობით ამგვარი ურთიერთობისთვის დაშვებული ასაკისთვის (მე-18 მუხლის 1 პუნქტი; 23-ე მუხლი). კონვენციის 22-ე მუხლი მოიცავს ქმედების კრიმინალიზაციას, რომლის მეშვეობით ბავშვი გახდა სექსუალური ძალადობის ან აქტივობის მოწმე იმ შემთხვევაში, თუ მას არ მიუღწევია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ასაკისთვის, ხოლო მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს პორნოგრაფიული მასალების წარმოებასა და ფლობას ბავშვის თანხმობით, რომელმაც მიაღწია

ეროვნული კანონმდებლობით ზღვრულს ასაკს, თუ მასალები მხოლოდ კერძო მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. შესაბამისად, ქმედების დასჯადობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ასაკს დაადგენს სახელმწიფო, რომლის ქვემოთაც აკრძალულია ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება.

არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს სექსუალური აქტივობის ზღვრულ ასაკს. ბავშვის უფლებათა კონვენცია, ფაკულტატური ოქმი ან/და „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ" კონვენცია ასევე, ანიჭებენ სახელმწიფოებს შესაძლებლობას თავად განსაზღვრონ ზღვრული ასაკი.

თ

თავისუფლების აღკვეთა (Restraint of liberty) – სასამართლოს (მოსამართლის), ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანებით პირის დაპატიმრება თავისუფლების აღკვეთა ან ისეთ საჯარო თუ კერძო საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსება, რომლის დატოვების უფლება საკუთარი სურვილისამებრ ამ პირს არ ექნება.

„ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენცია ბავშვის თავისუფლების აღკვეთის მარეგულირებელი პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 37-ე მუხლი კრძალავს ბავშვის უკანონო ან თვითნებურ თავისუფლების აღკვეთას. ბავშვის თავისუფლების აღკვეთა, დატუსაღება, დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად უნდა განხორციელდეს და შეიძლება „მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის მაქსიმალურად მოკლე პერიოდში იყოს გამოყენებული". 1990 წელს, **გაერომ** მიიღო თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები, რომელიც არა მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დაწესებულებებს, არამედ ბავშვების სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებსაც ეხება. თავისუფლების აღკვეთა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დაპატიმრება, დაკავება ან პატიმრობა. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესები რამდენიმე ზოგად პრინციპს ეფუძნება: თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს ზომად და მინიმალური ხანგრძლივობით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად უნდა იყოს გამოყენებული ბავშვის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და განათლებისთვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებაში, რომელიც ბავშვის საზოგადოებაში რეინტეგრაციას ხელს შეუწყობს. დაკავების ადგილები ბავშის ოჯახის წევრებთან კავშირისთვის ღია უნდა იყოს; დაწესებულებებში შესაბამისი მომსახურება უნდა იყოს უზრუნველყოფილი და მათი მომსახურე პერსონალი ბავშვის უფლებებში კარგად გარკვეული უნდა იყოს. თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის წესებში განსაკუთრებული ყურადღება სისხლის სამართლის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ბავშვების მდგომარეობას ენიჭება.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგად კომენტარში თავისუფლების აღკვეთას, მათ შორის წინასწარ პატიმრობასა და სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდეგ სასჯელის მოხდას ერთი ნაწილი ეთმობა. **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** თანახმად, „ბავშის უფლებების

კონვენციის 37-ე მუხლი თავისუფლების აღკვეთისას, თავისუფლებააღკვეთილი ყველა ბავშვისთვის პროცედურული უფლებების გარანტირებისა და ამ ბავშვებთან მოპყრობისა და მათთვის შესაქმნელი პირობების უზრუნველყოფისას გამოსაყენებელ ყველა ძირითად პრინციპს მოიცავს". იგი თავისუფლების აღკვეთის გამოყენებასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებსაც აყალიბებს, საპროცესო უფლებებს ჩამოთვლის და იმ დაწესებულებებში მისაღებ მოპყრობასა და პირობებს განმარტავს, რომლებიც ბავშვთა დაკავებისთვის გამოიყენება.

თავისუფალი დრო, დასვენება და კულტურული აქტივობები (Spare time, recreation and culutural activities) – „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციაში დასვენების დროისა და რეკრეაციის უფლება მოხსენიებულია არა მხოლოდ იმ ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც მუშაობენ ან შრომითი ექსპლოატაციის მსხვერპლნი არიან, არამედ ეს უფლება გამოიყენება განათლების კონტექსტშიც, ვინაიდან ზოგიერთი სისტემა ისეა ორგანიზებული, რომ ბავშვს მხოლოდ სწავლის დრო რჩება.

თავისუფალი დროისა და რეკრეაციის უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის თამაშის უფლებასთან. **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** №4 ზოგადი კომენტარი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ რეკრეაციის ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოს სასკოლო და რეკრეაციული შენობა-ნაგებობი. „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტში თამაშის უფლება პირდაპირაა მითითებული.

თანაზომიერების პრინციპი (Proportionality) – კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.

თარჯიმნისა და სხვა მომსახურება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში (Interpreter and other services in juvenile justice procedure) – არასრულწლოვანს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა ანდა მას არ შეუძლია ისაუბროს ამ ენაზე (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა). არასრულწლოვანს უფლება აქვს სასამართლო სხდომამდე ან საპროცესო მოქმედებამდე შეხვდეს თარჯიმანს, რათა დადგინდეს, ესმით თუ არა მათ ერთმანეთის. გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** ზოგადი კომენტარი №10 (მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ) მიხედვით, თარჯიმნის დახმარება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლო პროცესებით – ასევე, ის გულისხმობს, დახმარებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ნებისმიერ ეტაპზე. საჭიროა თარჯიმანი სპეციალურად იყოს მომზადებული ბავშვებთან სამუშაოდ, რადგან მათი ენა და აღქმის უნარი, განსხვავება უფროსების მეტყველებისაგან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს ყველა იმ მომსახურებით, რომლებიც მას საქმის გასაცნობად და სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის ესაჭიროება.

თვითდესტრუქციული ქცევა (Self-destructive behavior) – ადამიანისთვის საზიანო გადაწყვეტილების მიღება, პესიმისტური აზრები, მოქმედების განხორ-

ციელების უუნარობა, ზომაზე მეტი საკვების მიღება, საკვებზე უარის თქმა, ადამიანებისგან გაუცხოება, დახმარებაზე უარის თქმა, საკუთარი ჯანმრთელობის უგულებელყოფა, თვითმკვლელობა.

ი

იდენტობა (Identity) – ადამიანის წარმოდგენა იმაზე, თუ რომელ სოციალურ, ეკონომიკურ, პროფესიულ, ენობრივ, პოლიტიკურ, რელიგიურ, რასობრივ თუ სხვა ჯგუფს მიაკუთვნებს თავს.

იდენტობის უფლება (Right to Identity) – იდენტობა ინდივიდს სხვებისგან განსხვავებულ, კონკრეტულ პიროვნებად ცხოვრების შესაძლებლობას აძლევს. თითოეულ ადამიანს აქვს იდენტობა, თუმცა პიროვნება სამართლებრივი იდენტობის – პიროვნების დადასტურების გარეშე როგორც სამართლისთვის, ისე საზოგადოებისთვის შეუმჩნეველია. ბავშვი იდენტობას ოჯახური კავშირების, სახელისა და ეროვნების მიხედვით იძენს. იდენტობის განსაზღვრისთვის რასა, გენდერი და რელიგიაც ასევე, მნიშვნელოვანია. ბავშვის იდენტობა ლეგიტიმური მხოლოდ მონაცემების შესაბამის რეესტრში შეტანის შემდეგ ხდება. ბავშვის უფლება, რომ იყოს მისი პიროვნება დადასტურებული, რამდენიმე უფლებას მოიცავს, როგორიცაა: დაბადების რეგისტრაცია, სახელის ქონის უფლების ჩათვლით, უფლება, იცოდეს ვინ არიან მისი მშობლები და მიიღოს მათგან ზრუნვა, მოქალაქეობის შეძენის უფლება და იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული უფლებები (ეთნიკურობა, სახელი და ოჯახური კავშირები).

იმპერატიული ნორმები (Jus Cogens) – საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის განსაზღვრებით, ხელშეკრულება, რომელიც იმპერატიულ ნორმას (jus cogens) გადაუხვევს, ბათილად ჩაითვლება. იმპერატიული ნორმა არის ქცევის წესი, „რომელიც შექმნილია და აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მთლიანობაში როგორც ნორმა, რომლისაგან გადახვევა დაუშვებელია და რომლის შეცვლა შეიძლება მხოლოდ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმავე ხასიათის მქონე მომდევნო ნორმით“. იმპერატიული ნორმისაგან გადახვევისათვის საერთაშორისო სამართალი იურიდიულ პასუხისმგებლობას აკისრებს ხელშეკრულების მხარეებს; ასეთი ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება მისი დადების მომენტიდან, რადგან სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა თავის კოლექტიურ ნებას უპირისპირებს ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს სახელშეკრულებო ნებას და გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს მას. ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძვლებს, რომლებიც შემუშავებულია ცივილიზაციის განვითარების დღევანდელი საფეხურის ყველაზე მნიშვნელოვან მორალურ ფასეულობებზე დაყრდნობით და რომელთა გარეშე შეუძლებელია კაციობრიობის შემდგომი განვითარება.

ასეთ ნორმებად გვევლინება დავათა მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარების მოთხოვნა. ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა, კაბალურ, არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა უკანონობა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვა, ადამიანის უფლება-

თა ხელშეუხებლობა, რომლებიც ადამიანის ღირსებას იცავენ მისი რასის, ეროვნების, სქესის, ენისა თუ რელიგიის განურჩევლად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით აკრძალულია ადამიანის მიმართ ულმობელი, მტანჯველ ქმედებათა გამოყენება, როგორიცაა: წამება, მონობა, მონათვაჭრობა, ვაჭრობა ქალებითა და ბავშვებით, აპარტეიდი, გენოციდი, ეთნიკური წმენდა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა სხვა ფორმა. დისპოზიციური ნორმებისაგან განსხვავებით, რომელიც არ ზღუდავს ხელშეკრულების დამდები მხარეების ნების თავისუფლებას და აძლევს მათ უფლებას, გადაუხვიონ არსებულ ქცევის წესს (მაგ., სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოუხსნან ელჩებს იმუნიტეტი), იმპერატიული ნომრები გამორიცხავენ ასეთ გადახვევას მაგ., მხარეები ხელშეკრულებით ვერ დააკანონებენ იმის უფლებას, რომ მათ შორის წამოჭრილი დავები ძალის გამოყენებით იქნას გადაწყვეტილი: ასეთი ხელშეკრულება რეგისტრაციას ვერ გაივლის გაეროს გენერალურ მდივანთან, ხოლო თუ ერთ-ერთი მხარე ძალას გამოიყენებს, საერთაშორისო თანამეგობრობა უფლებამოსილი ხდება, გამოიყენოს აგრესორის მიმართ კოლექტიური ზომები, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს დაზარალებულ მხარეს. როგორც იმპერატიული, ასევე დისპოზიციური ნორმები ამკრძალველი ხასიათისაა – სუბიექტების მიერ მათი ცალმხრივად დარღვევა საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, რადგან ლახავს დადგენილი ნორმით სხვა სუბიექტებისათვის მინიჭებულ უფლებებს. საერთაშორისო სამართლის ნორმათა ამ ორ სხვადასხვა ტიპს შორის პრინციპული განსხვავება მათი იურიდიული ძალის აბსოლუტურობის ხარისხშია: იმპერატიული ნორმისგან გადახვევა ურთიერთშეთანხმებითაც კი არ შეიძლება, რაც სავსებით დასაშვებია დისპოზიციური ნორმის შემთხვევაში. საერთაშორისო სამართლის ნორმათა უმრავლებოსა დისპოზიციური ხასიათისაა, ხოლო იმპერატიული ქცევის წესები (პრინციპები და ნორმები) მთელი საერთაშორისო სამართლის სისტემის ხერხემალს შეადგენს.

იმპულსური ქცევა (Impulsive behavior) – დაუფიქრებელი, გაუკონტროლებელი, ხშირად ალოგიკური, უეცრად წარმოქმნილი მოტორული და მეტყველებითი აქტივობა. იმპულსური ქცევა არ ითვალისწინებს შედეგებს და დაუგეგმავი და არაპროგნოზირებადია.

იმპულსური ქცევის სიმპტომებია:

- კონტროლის დაბალი დონე;
- პროკრასტინაცია ანუ საქმის სამომავლოდ გადადება;
- ახალი შთაბეჭდილებების და თავგადასავლების მუდმივი ძიება.

ინტროვერსია (Introversion) – პიროვნების ერთ-ერთი ბაზისური ტიპი. ინტროვერტირებული ადამიანები გულჩათხრობილები და თავშეკავებულები არიან. ისინი გაურბიან ხშირ კონტაქტებს, უპირატესობას ანიჭებენ განმარტოებას.

ინფანტილიზმი (Infantilism) – ზრდასრული ადამიანის მიერ ბავშვისთვის დამახასიათებელი თვისებების გამოვლენა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (Access to Information) – ყველა ბავშვს აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროების ინფორმაციასა და მასალებზე, განსაკუთრებით, ისეთ ინფორმაციასა და მასალებზე, რომლებიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს ბავშვის სოციალურ, სულიერ და მორალურ კეთილდღეობას, აგრეთვე ჯანსაღ ფსიქიკურ და ფიზიკურ განვითარებას. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-17 მუხლი

ადგენს წევრი სახელმწიფოების მიმართ კონკრეტული აქტივობების განხორციელების ვალდებულებას.

ინცესტი, სისხლის აღრევა (Incest) – ინცესტი გულისხმობს ორ ადამიანს შორის დამყარებულ სქესობრივ კავშირს, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები ან ოჯახის წევრები არიან. მაგალითად, დედმამიშვილებს შორის ან მშობელსა და შვილს შორის დამყარებული სქესობრივი კავშირი. თუ ინცესტი დაკავშირებულია ბავშვთან, მაშინ იგი განიხილება, როგორც სექსუალური ძალადობა. ზოგიერთი ეროვნული სამართლებრივი სისტემა საჭიროდ მიიჩნევს სისხლით ნათესავებს შორის სქესობრივ კავშირს, ასეთი ქმედების ინცესტად დასაკვალიფიცირებლად, ხოლო სხვა სამართლებრივი სისტემების მიხედვით, ტერმინი ინცესტი უფრო ფართო მნიშვნელობას მოიცავს. კერძოდ, სქესობრივ კავშირს ოჯახის იმ წევრებს შორის, რომლებიც ერთმანეთის სისხლით ნათესავები არ არიან (მაგალითად, დედინაცვალსა და მამინაცვალს შორის). ზოგჯერ, ინცესტი განიმარტება როგორც „დანაშაული, რომელიც მოიცავს სქესობრივ კავშირს მშობელს, ბავშვს, დედმამიშვილს ან შვილიშვილს შორის“.

ირიბი დისკრიმინაცია (Indirect discrimination) – ნიშნავს შემთხვევას, როდესაც ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: სამართლებრივი ნორმები, კრიტერიუმები და პრაქტიკა, ერთი შეხედვით, არ არის შემზღუდველი რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, მოქალაქოების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, არახელსაყრელ პირობებში აყენებს ზემოხსენებული ნიშნების საფუძველზე გამოყოფილ პირებს ან პირთა ჯგუფებს. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის დაუშვებლობა. კონვენცია სახელმწიფოებისგან მოითხოვს სათანადო ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას ყველა ბავშვის ეფექტიანი, თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. უთანასწორობის მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სახელმწიფოებს შესაძლოა დასჭირდეთ პოზიტიური ღონისძიებების გატარებაც.

იუვენილური დელინკვენტობა (Juvenile delinquents) – ჩვეულებრივ, 10-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანის უკანონო ქცევა. იუვენილი დელინკვენტი აგრეთვე, ეწოდება მოზარდს, რომელიც მუდმივად ცუდი ყოფაქცევით და ანტისოციალური ქცევით გამოირჩევა და არ ემორჩილება მშობლების კონტროლს. იუვენილური დელინკვენტობის სინონიმია არასრულწლოვანთა დანაშაული. დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში **არასრულწლოვანის** მიერ ჩადენილ დანაშაულს დელინკვენტურ ქმედებას უწოდებენ.

იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა (Legal counsel and representation) – ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე განმარტავს (პარ. 37-43), რომ კანონით ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება უფასო იურიდიულ დახმარებასა და საკუთარი სახელით წარმომადგენლობაზე. ბავშვთან მომუშავე ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზებული ბავშვთა საკითხებზე და პროცესში წარმოადგენდნენ უშუალოდ ბავშვის მოსაზრებას, მიაწოდოს მას ყველა საჭირო ინფორმაცია და განმარტება. რაც შეეხება წარმომადგენლობას, როდესაც ბავშვსა და მის მშობლებს შორის ინტერესთა კონფლიქტია, კომპეტენტურმა ორგანომ უნდა დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი (guardian ad litem) ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენელი. კანონით გარანტირებული უნდა იყოს ბავშვის უფლება წარმომადგენლობაზე, მშობლებისგან დამოუკი-

დებლად, განსაკუთრებით ისეთ პროცესში, როდესაც მშობლები სავარაუდო დამრღვევები არიან.

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 4[1]) მიხედვით, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე **არასრულწლოვანი** ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარების უფლებით თუ საქმეში არ მონაწილეობს ამ არასრულწლოვნის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით). სისხლის სამართლის საქმისწარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან გამოსაკითხ პირს/მოწმეს შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

იძულება (Coercion) – ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება მის ნება-სურვილს, როგორიცაა იძულებითი ქორწინება, ნივთიერებათა ავად მოხმარება, მოწყალების თხოვნა, ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა/თანამონაწილეობა, ბავშვის მიერ მისთვის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ღირსებისათვის საზიანო საქმის შესრულება.

იძულებითი აღიარებისგან გათავისუფლება (Right not to be compelled to give testimony or to confess guilt) – „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-14 (3) (ზ) მუხლის გათვალისწინებით, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია განმარტავს, რომ დაუშვებელია ბავშვზე განხორციელდეს ზეწოლა ბრალის აღიარების მიზნით. ეს უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს, რომ ბავშვის წამება, სასტიკი და არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობა აღიარების მოპოვების მიზნით, წარმოადგენს კონვენციის 37-ე (ა) მუხლით გათვალისწინებული უფლებების უხეშ დარღვევას და სრულიად მიუღებელია. ამგვარი საშუალებებით მიღებული ინფორმაცია ან აღიარება არ ჩაითვლება მტკიცებულებად (კონვენცია „წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ“, მუხლი 15).

არსებობს უამრავი ნაკლებად ძალადობრივი საშუალება ბავშვისგან აღიარების მისაღებად. ტერმინს „იძულება“ აქვს ფართო მნიშვნელობა და ის არ უნდა იყოს განმარტებელი მხოლოდ როგორც ფიზიკური ზეწოლა ან **ადამიანის უფლებების** უხეში დარღვევა გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** ზოგადი კომენტარის (№10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ) მიხედვით, ბავშვის ასაკი, მისი განვითარების დონე, დაკითხვის ხანგრძლივობა, აღქმის უნარი, გაურკვეველი შედეგების შიში ან დაპატიმრების შესაძლო საფრთხე, ხშირად აიძულებს მას აღიაროს ის, რაც არ ჩაუდენია. ეს საშიშროება კიდევ უფრო რეალურია, თუ მას ჰპირდებიან, მაგალითად, „როგორც კი სიმართლეს გვეტყვი, სახლში გაგიშვებთ“ ან როდესაც მას აიმედებენ შემსუბუქებული სასჯელით ან გათავისუფლებით.

დაკითხვაზე მყოფ ბავშვს უნდა შეეძლოს იურიდიული ან სხვა სახის შესაბამისი დახმარების გამოყენება. მას აგრეთვე, უფლება აქვს, მის დაკითხვას დაესწროს ერთ-ერთი ან ორივე მშობელი.

იძულებითი გაუჩინარება (Forced disappearance) – იძულებითი გაუჩინარება სიცოცხლის უფლების, ფიზიკური ხელშეუვალობის, სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და კანონის წინაშე აღიარების დარღვევის კომბინაციაა. აღნიშნული ზოგჯერ გამოწვეულია პირდაპირ ან არა-

პირდაპირ, სახელმწიფოს ქმედებით ან უმოქმედობით და იმ ფიზიკურ პირთა ან ადამიანთა ჯგუფის ქმედებით, რომლებიც ზოგჯერ მთავრობასთან შეთანხმებით მოქმედებენ. ბავშვის ამგვარი გაუჩინარებისგან დაცვა ბავშვის სხვა უფლებებთან კავშირში განიხილება, როგორიცაა შრომის ყველაზე უარესი ფორმებისგან დაცვის, ბავშვების სექსუალური ან სხვა ფორმის ექსპლოატაციისგან, ისე გაყიდვისა და ბავშვთა ტრეფიკინგისგან დაცვის უფლება. 1993 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ყველა პირის იძულებითი გაჩინარებისგან დაცვის დეკლარაცია მიიღო, სადაც აღნიშნა, რომ იძულებით გაუჩინარების ნებისმიერი აქტი ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. დეკლარაცია იმ ბავშვების მოტაცების პრევენციას მოიაზრებს, რომელთა მშობლები იძულებით გაუჩინარებას დაექვემდებარნენ და რომლებიც დედების იძულებითი გაუჩინარებისას დაიბადნენ.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია იძულებით გაუჩინარებას პირდაპირ არ ეხება, თუმცა მისი დებულებები კრძალავს მოტაცებისას ძალადობის გამოყენებას ან ნებისმიერ მსგავს ქმედებას, რაც შედეგად გაუჩინარებას იწვევს. ამასთან, კონვენციის მე-9 მუხლი მშობლებისგან იძულებით განცალკავებას კრძალავს და ადგენს, რომ როდესაც ბავშვების მშობლებისგან განცალკევება „კონვენციის ხელშემკვრელი მხარის ინიცირებული რომელიმე ქმედებიდან გამომდინარეობს, როგორიცაა ბავშვის ერთი ან ორივე მშობლის დაკავება, პატიმრობა, გადასახლება, დეპორტაცია ან გარდაცვალება (მათ შორის, სახელმწიფოს მიერ პირის დაკავების პერიოდში ნებისმიერი მიზეზით), კონვენციის ხელშემკვრელმა ამ სახელმწიფომ მოთხოვნისამებრ მშობლებს, ბავშვს ან თუ საჭიროა, ოჯახის სხვა წევრს უნდა მიაწოდოს არსებითი ინფორმაცია გაუჩინარებული ოჯახის წევრების ადგილსამყოფელის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ ინფორმაციის მიწოდება ბავშვის კეთილდღეობას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. კონვენციის ხელშემკვრელმა მხარეებმა ასევე, უნდა უზრუნველყონ, რომ ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნის წარდგენამ თავად არ გამოიწვიოს შესაბამისი პირებისთვის უარყოფითი შედეგები„.

იძულებითი ქორწინება (Forced marriage) – იძულებითი ქორწინება არის ქორწინება, სადაც ერთ-ერთი ან ორივე მეუღლე არ აძლევენ თავისუფალ ან მთლიან თანხმობას ან არ შეუძლიათ თავისი მომწიფების/ქმედუნარიანობის ნაკლებობის გამო განაცხადონ გააზრებული თანხმობა. განსხვავება ბავშვთა ქორწინებასა და იძულებით ქორწინებას შორის ეყრდნობა იმას, რომ პირველი ამახვილებს ყურადღებას 18 წლამდე პირების ქორწინებაზე, ხოლო მეორე განიხილავს იძულებითი ქორწინების ფორმებს და იძულების ხარისხს როგორც სრულწლოვნების, ასევე არასრულწლოვნების შემთხვევაში. ხშირად, ტერმინების გაიგივება ხდება იმ საფუძველზე, რომ ბავშვებს არ შესწევთ უნარი განაცხადონ გააზრებული თანხმობა ქორწინებაზე.

ბავშვის ნაადრევი და იძულებითი ქორწინება შეიძლება იყოს ბავშვის სექსუალური ძალადობის ან/და ექსპლუატაციის ფორმა ან ხელის შემწყობი ფაქტორი. ხშირ შემთხვევებში, ბავშვის ოჯახის წევრები აქორწინებენ ბავშვს სარგებლის/ნამატის მიღების მიზნით ან მზითვის გამო. ხშირად ოჯახი ძალით აქორწინებს გაუპატიურებულ ბავშვს მოძალადეზე, რათა „ლეგიტიმიზაცია შესძინონ“ სექსუალურ ძალადობას. ბავშვის ქორწინება ასევე, შეიძლება განხორციელდეს **ტრეფიკინგის** ან სექსუალური მონობის მიზნით.

2011 წლის სტამბოლის კონვენციის 37-ე მუხლის მიხედვით: ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მუქარის განზრახ გამოყენების აქტი, რომელიც ჩადენილია იმ მიზნით, რომ ზრდასრული ადამიანი ან ბავშვი აიძულონ შევიდეს ქორწინებაში, არის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 150[1]) ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებული) იძულებისთვის. პასუხისმგებლობის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ამგვარი იძულების განხორციელება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

კ

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი (Juvenile in conflict with law) – თითოეული ის ბავშვი, რომელმაც როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად. **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** განცხადებით, ყველა პირს, რომელსაც სავარაუდო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, უნდა მოეპყრონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ფრაზა „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები" ეხება 18 წლამდე ასაკის პირებს, განურჩევლად იმისა, თუ რა ასაკი ითვლება სრულწლოვანების მიღწევის ასაკად ამა თუ იმ სახელმწიფოში.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, **კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნად** ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც:

ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩიადინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული;

ბ) შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს სამართალდაღვევათა კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

გ) გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან ამ ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.

არასრულწლოვანი ბრალდებულის საპროცესო უფლებები განმტკიცებულია „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-40 მუხლით აგრეთვე, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-15 მუხლით.

კანონიერი წარმომადგენელი (Legal Representative) – არასრულწლოვნის **ახლო ნათესავი**, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.

კოგნიტური განვითარება (Cognitive

Development) – აზროვნების უნარის ჩამოყალიბება. ხშირად, კოგნიტურ განვითარებას ინტელექტუალურ განვითარებასაც უწოდებენ. კოგნიტური განვითარება მოიცავს ინფორმაციის დამუშავების უნარს, აღქმას, ენის დასწავლის უნარს და თავის ტვინის განვითარების სხვა ასპექტებს როგორიცაა, მეხსიერება, ცნების ჩამოყალიბება, ამოცანის დასახვა და ამოხსნა, წარმოსახვა, ლოგიკა.

კომერციული მიზნებით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია (Commercial sexual exploitation of children) – საერთაშორისო სამართალი ტერმინის – „კომერციული მიზნებით ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის" (CSEC) დეფინიცირებას არ ახდენს. შესაბამისად, მას ხშირად, „ბავშვის სექსუალური ექსპლოატაცია" – ტერმინის სახით, ალტერნატიულად იყენებენ. აღნიშნულს მოწმობს მსოფლიო კონგრესის მიერ ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მიღებული სამი დოკუმენტი. ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მსოფლიო კონგრესის მიერ 1996 წელს მიღებული ე. წ. სტოკჰოლმის დეკლარაცია და სამოქმედო გეგმა, კომერციული მიზნით სექსუალურ ექსპლოატაციას შემდეგნაირად განმარტავს: „სრულწლოვანის მიერ ჩადენილ სექსუალურ ძალადობას ბავშვისთვის ან სხვა მესამე პირისთვის, სანაცვლოდ თანხის გადახდის გზით. ბავშვი განიხილება, როგორც სექსუალური ობიექტი და კომერციული ობიექტი. კომერციული მიზნებით ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაცია წარმოადგენს ბავშვთა წინააღმდეგ იძულებისა და ძალადობის ფორმას და მიიჩნევა, როგორც იძულებითი შრომა და მონობის თანამედროვე ფორმა".

მეორე მსოფლიო კონგრესი კომერციული მიზნით ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ გაიმართა იოკოჰამაში, 2001 წელს. მეორე დოკუმენტი ასახავს მკაფიო ტენდენციას, რომლის მიხედვითაც, ტერმინი „კომერციული" ამოღებული იქნა ბავშვის სექსუალური ექსპლოატაციის ყველა ფორმისგან დაცვასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, ტერმინი კვლავ რჩება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ფარგლებში, როგორც კომერციული მიზნებით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ „ბრძოლისა" და „აღმოფხვრის" ნაწილი.

2008 წელს, რიო-დე-ჟანეიროში მესამე მსოფლიო კონგრესის შეხვედრის სახელწოდება ცნობილია როგორც „ბავშვთა და მოზარდთა სექსუალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მსოფლიო კონგრესი". სახელწოდებაში ტერმინი „კომერციული" ამოღებულია. აღნიშნული გადაწყდა მონაწილე ორგანიზაციებისა და კონგრესის ორგანოზატორთა შეთანხმებით, რომლის თანახმადაც, ტერმინი „კომერციული" ბავშვთა სექსუალურ ექსპლოატაციის ცნებას დამატებით განსაკუთრებულად არ ცვლის და შესაბამისად, არის „ზედმეტი". რიოს დეკლარაცია ტერმინს „კომერციული" არ მოიხსენიებს, გარდა 59-ე პარაგრაფისა, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფოებმა: „უნდა უზრუნველყონ როგორც ეროვნულ ასევე, საერთაშორისო დონეზე, კოორდინირებული ზომების გატარება, ბავშვთა კომერციული მიზნით სექსუალური ექსპლოატაციის ორგანიზებული დანაშაულების (ფიზიკური თუ იურიდიული პირების მხრიდან) შეჩერებისა და აღმოფხვრის მიზნით. აქედან გამომდინარე, ტერმინი „კომერციული" მოაზრება მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების ფარგლებში – მოცემულ შემთხვევაში ორგანიზებული დანაშაულის წევრებთან მიმართებით.

ევროკავშირის 2011/93 დირექტივა ტერმინის – „სექსუალური ექსპლოატაცია" ფარგლებში მოიცავს კომერციულ ას-

პექტს, მითითებით, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის აღმოსაფხვრელად სრულად უნდა გამოიყენონ „არსებული ინსტრუმენტები დანაშაულის აღსაკვეთად და ჩასახშობად". უფრო მეტიც, „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის დამატებითი ოქმის მე-7 მუხლი მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა გაატარონ შესაბამისი ზომები დანაშაულის ჩადენისას ან ხელშესაწყობად გამოყენებული ნივთების კონფისკაციისა და დანაშაულიდან გამომდინარე პროცედურების აღმოსაფხვრელად.

კომუნიკაცია (Communication) – ინფორმაციის აღქმის და გადაცემის, ადამიანების ურთიერთქმედების და მოსაუბრეთა ურთიერთობის პროცესი. კომუნიკაციის ფორმებია: საქმიანი მიმოწერა, ზოგადად, ნებისმიერი ეპისტოლარული ფორმა, მოლაპარაკება და ა. შ. კომუნიკაცია შეიძლება დამყარდეს როგორც ორ ადამიანს, ისე ადამიანების ჯგუფებს შორის, შესაძლოა საჯარო, მასობრივი, პოლიტიკური კომუნიკაციაც. არსებობს კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმები.

ლ

ლატენტური (Latent) – დაფარული ან არსებული, მაგრამ ჯერ გამოუმჟღავნებელი.

ლტოლვილი ბავშვები (Refugee Children) – საერთაშორისო სამართლისა და **ადამიანის უფლებების** სამართლის შესაბამისად, ლტოლვილ ბავშვებს უფლება აქვთ მიიღონ სათანადო დახმარება. „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ქმედითი სისტემა და კანონმდებლობა ლტოლვილი ბავშვების დასაცავად (ზოგადი კომენტარი №6, 64-ე პუნქტი). მონაწილე სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ის ფაქტი, რომ მათ უნდა დაიცვან არა მხოლოდ შესაბამისი საერთაშორისო სამართლის ნორმები, არამედ ლტოლვილ ბავშვებს აქვთ „უფლება ისარგებლონ ყველა ადამიანის უფლებით, რომელიც მინიჭებული აქვთ ამ იურისდიქციის ფარგლებში მყოფ ბავშვებს მათ შორის, ისეთი უფლებებით, რომელთა განსახორციელებლად აუცილებელია ამ ტერიტორიაზე კანონიერი ყოფნა" (ზოგადი კომენტარი №6, 76-ე პუნქტი).

ბავშვის უფლებათა კომიტეტის თანახმად, ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის მიზნით, ინტერვიუ ან პროცესი უნდა ჩატარდეს ბავშვისთვის კეთილგანწყობილ გარემოში და შესაძლებელი უნდა იყოს გადაწყვეტილების გასაჩივრება. მეურვე ან მრჩეველი ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, იურისტები ან თარჯიმნები უნდა დაინიშნონ, რათა ყველა გადაწყვეტილება **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** დაცვით იყოს მიღებული.

„ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად, როდესაც ბავშვი მიიღებს ლტოლვილის სტატუსს, მას აქვს უფლება „ისარგებლოს სათანადო დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით". კომიტეტი ასევე აღნიშნავს წარმოშობისა და ტრანზიტული სახელმწიფოების პასუხისმგებლობასაც.

„ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ეხება ლტოლვილთა ოჯახის გაერთიანებას, კერძოდ: კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ ნებისმი-

ერი ლტოლვილი ბავშვის მშობლებისა თუ ოჯახის სხვა წევრების მოძებნას, მისი ოჯახთან შეერთების აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად. ასევე, №6 ზოგადი კომენტარის თანახმად, ოჯახის გაერთიანება უმნიშვნელოვანესია ლტოლვილი ბავშის პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის. თუმცა, მე-9 მუხლის თანახმად, ზოგ შემთხვევაში, **ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან** გამომდინარე, შეიძლება აუცილებელი გახდეს მშობლებთან განშორება. თუ შეუძლებელია ბავშვის მშობლის ან ოჯახის წევრების პოვნა, მას უფლება აქვს მიიღოს ისეთივე დაცვა, რომელიც გათვალისწინებულია იმ ბავშვებისთვის, ვისაც დროებით ან მუდმივად არ აქვთ ოჯახურ გარემოში ყოფნის საშუალება. შესაბამისად, ლტოლვილ და თავშესაფრის მაძიებელ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლება დაცვის მიღებაზე, როგორც ბავშვებს, რომელთაც არ აქვთ ოჯახურ გარემოში ყოფნის საშუალება.

კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა შეუძლია ყველა ბავშვს, თუ საწინააღმდეგო არ არის პირდაპირ აღნიშნული. ლტოლვილი ბავშვების რთული მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია მათი სპეციალური დაცვა და დახმარება.

ლტოლვილი ბავშვების უფლებების განხილვისას, მიზანშეწონილია კონვენციის ზოგადი პრინციპების გამოყენებაც. დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამოყენებას ბავშვის ლტოლვილის სტატუსის საფუძველზე. **ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი** მოითხოვს, მოხდეს ყველა ლტოლვილი ბავშვის მდგომარეობის ძირეული შესწავლა საუკეთესო გადაწყვეტილებების მისაღებად. სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება ითვალისწინებს ძალადობისა და ექსპლოატაციისგან დაცვას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ლტოლვილი ბავშვები განსაკუთრებით მაღალი რისკჯგუფს წარმოადგენენ მათ ცხოვრებაზე ნეგატიური გავლენის, განვითარებისა და გადარჩენის საფრთხეების მიმართ, როგორიცაა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვა და **ტრეფიკინგი**.

რაც შეეხება მიგრანტ ბავშვებს, უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მიგრაციის უფლება per se; შესაბამისად, ამ საკითხის რეგულირება ძირითადად, ეროვნული იურისდიქციის ქვეშ ხვდება. თუმცა, ვინაიდან კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ეხება ყველა ბავშვს, იგი გამოიყენება იმ ბავშვების მიმართაც, რომლებიც მშობლებთან ან მათ გარეშე არიან მიგრაციაში.

„საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 12) მიხედვით, არასრულწლოვანთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, სახელმწიფო უწყებებმა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ოჯახის ერთიანობის პრინციპს, არასრულწლოვნის კეთილდღეობას, სოციალურ განვითარებას, უსაფრთხოებას და არასრულწლოვნის მოსაზრებას, მისი ასაკისა და უნარების (მათ შორის, განვითარების დონის, აღქმისა და კომუნიკაციის უნარების) გათვალისწინებით.

მ

მავნე გავლენა (Harmful effect) – იმ ფილმების ჩვენებით, ნაბეჭდი პროდუქციის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს მოხმარება-გასაღებით, აზარტულ თამაშში მონაწილეობით მიღებული ზემოქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვნის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯამრთელობას, მის მორალურ და სოციალურ განვითარებას.

არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე გავლენისგან, რომელიც დაკავშირებულია ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშებში მონაწილეობასთან – რეგულირდება „მავნე გავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით.

მაუწყებლობაში არასრულწლოვანთა მავნე გავლენისაგან დაცვის საკითხები რეგულირდება „მაუწყებლის შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლით განსაზღვრული ქცევის კოდექსით.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს თამბაქოს მოხმარების შეზღუდვას 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებსა და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებზე.

მავნე ტრადიციული პრაქტიკა (Harmful practices) – საერთაშორისო სამართალი მკაფიოდ კრძალავს მავნე ტრადიციული პრაქტიკის ყველა ფორმას და ავალდებულებს სახელმწიფოებს შესაბამისი ზომების მიღებას. მავნე პრაქტიკა ხშირად დაკავშირებულია ნაადრევ ან იძულებით ქორწინებასთან. თუმცა, ასევე მოიცავს სხვა ფორმებს, როგორიც არის ფიზიკური დასჯა და ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯება. ეროვნულ დონეზე ზოგჯერ, შეინიშნება მცდელობები, გაამართლონ მსგავსი პრაქტიკა ისტორიული ან კულტურული ფაქტორით.

ქალის სასქესო ორგანოების დამახინჯებას მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს სექსუალურ ცხოვრებაზე და მიზნად ისახავდეს სექსუალური ცხოვრების კონტროლს. ის შეიძლება მოიცავდეს სასქესო ორგანოს ნაწილობრივ ან მთლიან ამოკვეთას, სხვა სახის ტრავმის მიყენებას. ეს ყველაფერი როგორც წესი, ხორციელდება ტრადიციების და სოციალურ-რელიგიური ნორმების თანხვედრით, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, მიიჩნევა საზიანო ქმედებად და წარმოადგენს გენდერული ნიშნით **დისკრიმინაციას.** მავნე პრაქტიკის სხვა მაგალითებია: მკერდის გაბრტყელება, ქალიშვილობის შემოწმება, იძულებითი აბორტი, სტერილიზაცია სხვ.

1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის (CRC) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყოველგვარ ეფექტურ და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

1999 წლის „ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის შესახებ" აფრიკული ქარტიის (ACRWC) 21-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ზომებს მავნე სოციალური და კულტურული პრაქტიკის გამოსარიცხად.

2000 წელს მიღებული „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის ფაკულტატური ოქმი „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრა-

ფიის შესახებ“ (OPSC) პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მავნე ტრადიციული პრაქტიკა არის ბავშვთა ვაჭრობის, პროსტიტუციის, ბავშვთა პორნოგრაფიის ხელშემწყობი ფაქტორი.

2011 წლის სტამბოლის კონვენციის 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყველა საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა კონვენციის ფარგლებით მოცულ რომელიმე დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოებისას არ მოხდეს მსგავსი ქმედების გამართლება ტრადიციით, ადათ-წესებით, რელიგიით, ე. წ. „ღირსებით“.

2014 წლის **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** (CRC Committee) და ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW Committee) მიერ მიიღეს ერთობლივი ზოგადი კომენტარი 31 მავნე ტრადიციულ პრაქტიკაზე.

მავნე შინაარსის მქონე მასალების ხელმისაწვდომობა (Exposure to harmful content) – ბავშვებისთვის ასაკის შეუსაბამო სექსუალური ან ძალადობრივი ხასიათის მასალების ხელმისაწვდომობა, რომელიც ზიანს აყენებს მათ შემდგომ განვითარებას. მავნე შინაარსის მასალები მოიცავს გაცილებით ფართო სპექტრს, ვიდრე ბავშვთა პორნოგრაფია, მათ შორის ზრდასრულთა პორნოგრაფია, ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემცველი მასალები და ასევე ძალადობის შემცველი ვიდეო თამაშები ან/და ვებგვერდები, რომლებიც აღვივებენ სიძულვილს.

„მავნე შინაარსის მასალების ხელმწისაწვდომობა“, რომელიც პორნოგრაფიულია, ხანდახან გულისხმობს **ბავშვთა გარყვნას** ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზრდასრული გამიზნულად აწვდის ბავშვს ან მისი თანდასწრებით უყურებს პორნოგრაფიას. მსგავსი შემთხვევა განეკუთვნება უკონტაქტო სექსუალურ ძალადობას.

აღსანიშნავია, რომ მავნე შინაარსის მასალების ხელმისაწვდომობა ბავშვებისთვის მეტად საზიანო შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც მოზარდებზე შესაძლოა არ იქონიოს უკიდურესად ნეგატიური ეფექტი, თუმცა გახდეს სექსუალური ცხოვრების შემეცნების მიზეზი.

მანიაკალური ეპიზოდი (Manic episode) – ბიპოლარული აშლილობის კომპონენტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია უკიდურესი აღგზნების პერიოდები, ეიფორია და საკუთარ უნარებზე არარეალისტური და გაზვიდებული წარმოდგენა.

მარტოხელა მშობელი (Single parent) – არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი. მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე, პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. მარტოხელა მამა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი აღნიშვნა ბავშვის დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

მარტოხელა მშობლის სტატუსის გაუქმების საფუძველია ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მეორე მშობლის შესახებ ჩანაწერის შეტანა, შვილის (შვილად აყვანილი პირის) მიერ 18 წლის ასაკის მიღ-

წევა, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება, რომელიც გამორიცხავს მარტოხელა მშობლის სტატუსის ქონას.

მარჩენალდაკარგული (Without Guardian) – ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი (შვილები) 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

მედიაცია (Mediation) – კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე, არასრულწლოვნის **კანონიერი წარმომადგენელი**, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში, ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო მედიაციას ექვემდებარება: საოჯახოსამართლებრივი დავები, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილობისა, მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევისა; სამემკვიდრეო დავა; სამეზობლო დავა; ნებისმიერი დავა, თუ მხარეები თანახმა არიან. სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით.

მედიატორი (Mediator) – მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.

მეთვალყურეობაში გადაცემა (Transfer for supervision) – არასრულწლოვანი მეთვალყურეობაში შეიძლება გადაეცეს მის მშობელს, ახლო ნათესავს, მეურვეს, მზრუნველს ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციას. პირმა ან ადმინისტრაციამ, რომელსაც **არასრულწლოვანი** გადაეცემა მეთვალყურეობაში, უნდა უზრუნველყოს, რომ იგი შეასრულებს სათანადო ქცევის ვალდებულებას. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 61-ე მუხლი არეგულირებს მეთვალყურეობაში გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მეიდენტობა (Identity) – ბავშვობაში ჩამოყალიბებული შედარებით მყარი წარმოდგენა საკუთარ თავზე, თვისებებზე, უნარებზე, სოციალურ ღირებულებებზე და ა. შ.

მენტალური მოდელი (Mental Model) – მენტალური მოდელი აყალიბებს ადამიანის ქცევას და მიდგომას პრობლემების მოგვარებისა და ამოცანების შესრულებისადმი და წარმოადგენს კონკრეტული ადამიანის მიერ აღქმულ გარემოს ან სამყაროს მოდელს და ამ სამყაროს სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის ურთიერთქმედებას ანუ ე. წ. პერსონალურ ალგორითმს (ინსტრუქციების ერთობლიობა, რომლებიც აღწერენ კონკრეტულ ქცევათა თანმიმდევრობას, რომელიც საჭიროა დასახული ამოცანის განსახორციელებლად და შედეგის მისაღწევად).

მეორეული ვიქტიმიზაცია (Secondary Victimisation) – არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის/არასრულწლოვანი მოწმისათვის შესაძლო ზიანის მიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მისი მონაწილეობის შედეგად.

ტერმინი „მეორეული ვიქტიმიზაცია“ ეხება თავდაპირველი (სექსუალური)

ვიქტიმიზაციის შედეგად დამატებით ვიქტიმიზაციას. აღნიშნული განისაზღვრება როგორც „მსხვერპლის დამადანაშაულებელ მოპყრობას, ქცევას ან პრაქტიკას, სადაც ჩართულია საზოგადოებრივი მომსახურების მიმწოდებელი და რომელიც დამატებით ტრამვას აყენებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლს“ ან ნეგატიური სოციალური ან საზოგადოებრივი რეაქცია ან თანმდევი შედეგი პირველადი ვიქტიმიზაციის შემდეგ, რის გამოც მსხვერპლს დამატებით მიადგა ზიანი. ამდენად, ბავშვთა მეორეული ვიქტიმიზაცია შესაძლებელია იყოს ინდივიდების ან ინსტიტუტების მხრიდან მსხვერპლის მიმართ არასათანადო (მცდარი) მოპყრობის შედეგი, როგორიცაა მსხვერპლისთვის დამადანაშაულებელი ან შეუფერებელი ლექსიკა სამედიცინო/იურიდიული სფეროს ან სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებთანაც მსხვერპლს აქვს სექსუალური ძალადობის/ექსპლოატაციის შემდეგ კონტაქტი, არასათანადო მოპყრობა. აღნიშნული შედეგი ასევე, შესაძლებელია უკავშირდებოდეს მართლმსაჯულების პრინციპებს, რომელიც არ არის ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მორგებული, როგორიცაა მაგალითად, საქმის განმეორებით განხილვა საგამოძიებო ორგანოში თუ სასამართლოში, განმეორებითი სამედიცინო შემოწმება და ა. შ. სამართალწარმოების პროცესში მრავალი პირის მონაწილოებით.

აღნიშნულ ცნებაში არ უნდა მოვიაზროთ „პირდაპირი“ მსხვერპლის მახლობლად მყოფი სხვა პირები ან თვითონ მოძალადე, რომლებმაც შესაძლოა თავი იგრძნონ დაზარალებულად. ამ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი „ირიბი“ დაზარალებული.

მეურვეობა (Guardianship) – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც 7 წლის ასაკისათვის არ მიუღწევია.

მეურვეობის უფლება (The Right to Guardianship) – უფლება, რომელიც ეხება ბავშვზე მზრუნველობას და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. თავის ამ მიზნებისათვის ჩაითვლება, რომ პირი ან ორგანო ახორციელებს მეურვეობას თუ ბავშვი ჩვეულებრივ, ცხოვრობდა საქართველოში ან კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოში მის არამართლზომიერ გადაადგილებამდე ან არამართლზომიერ დაკავებამდე და ეს პირი ან ორგანო ახორციელებდა მეურვეობას ერთობლივად ან ინდივიდუალურად, საქართველოს ან კონვენციის ხელშემკვრელი იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ბავშვი ჩვეულებრივ, ცხოვრობდა გადაადგილებამდე ან დაკავებამდე.

მეურვეობის, მზრუნველობისა და მხარდაჭერის ცნებები (The concept of guardianship, custodianship and support) – არასრულწლოვან ბავშვს, რომლიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩა მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მათი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უწესდება მეურვეობა და მზრუნველობა აღსაზრდელად, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე, იმ სრულწლოვნის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები. მხარდაჭერის მიმღებს უწესდება მხარდაჭერა.

მეურვის, მზრუნველისა და მხარდამჭერის დანიშვნის წესს, აგრეთვე, მათ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (კარი მესამე).

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები (Guardianship and Custodianship body) – ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ან/და ამ სისტემაში შემავალი უფლებამოსილი დაწესებულება (ორგანიზაცია), აგრეთვე მათი ტერიტორიული ორგანოები.

მინდობით აღზრდა (Foster Care) – ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მოვლისა და აღზრდის მიზნით, სახელმწიფოსა და დედობილ-მამობილს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის განხორციელებითაც სახელმწიფო იღებს ვალდებულებას დაიცვას და უზრუნველყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის კანონიერი უფლება.

„შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“ კანონის თანახმად, ბავშვის მინდობით აღზრდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, უფლებამოსილი სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის საჭიროებებისა და მინდობით აღზრდის მსურველ პირთა შესახებ მომზადებული დასკვნის საფუძველზე, შემდეგი პრინციპების დაცვით: მინდობით აღმზრდელის სურვილი ბავშვის ასაკის, სქესის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; ბავშვის განთავსება შეძლებისდაგვარად შესაბამის ეთნიკურ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში; მინდობით ოჯახში ბავშვთა რაოდენობა არაუმეტეს შვიდისა; 10 წელს მიღწეული ბავშვის თანხმობა; და-ძმების ერთად განთავსება; ასაკობრივი სხვაობა 16 წელი.

მიუსაფარი ბავშვი (Homeless child) – ქუჩაში მცხოვრები **არასრულწლოვანი** ან/და ქუჩაში მომუშავე **არასრულწლოვანი**, რომელიც ასეთად იდენტიფიცირებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სოციალური მუშაკის მიერ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად.

მოდუს ოპერანდი (Modus Operendi) – დამნაშავის ქცევის სტილი დანაშაულის ჩადენისას.

მოზარდი (Adolescent) – ლექსიკონთა უმეტესობა ტერმინს განმარტავს, როგორც „ახალგაზრდა პირების გარდამავალი (გარდატეხის) პერიოდი ბავშვობასა და ზრდასრულობის შორის“. **გაეროს** დაწესებულებები „მოზარდს“ განმარტავენ (ინგლისურად და ესპანურად), როგორც 19 წლამდე პირს, ხოლო მოზარდულ ასაკს, როგორც ადამიანის განვითარების პერიოდს – ბავშვობის შემდგომ ზრდასრულობამდე, 10-დან 19 წლამდე. შესაბამისად, მოზარდები (18 წლამდე ჯერ კიდევ არასრულწლოვნები) არიან ჩამოყალიბების ფაზაში, რა დროსაც მთლიანად ან ნაწილობრივ აგებენ პასუხს გარკვეულ ქმედებებზე (მაგ. შრომის რეგულირებული უფლება, სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობა), თუმცა არ შესწევთ შესაძლებლობა იტვირთონ მთლიანი პასუხისგებლობა სხვა ქმედებებზე, როგორც არის მაგალითად, თანხმობა ექსპლუატაციაზე ან ძალადობაზე. აღსანიშნავია, რომ „მოზარდი“ არ არის სამართლებრივ დოკუმენტაციაში გამოყენებული დეფინიცია, კერძოდ, არ მოიხსენიება ბავშვის უფლებათა კონვენციაში ან/და ფაკულტატურ ოქმში.

მოსმენის უფლება (Child's right to be heard) – გაეროს „ბავშვის უფლებების შე-

სახებ“ კონვენცია (მუხ. 12) მოითხოვს, სახელმწიფომ უზრუნველყოს ბავშვის მიერ მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, როდესაც ბავშვს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვის მონაწილეობის უფლების აღსრულება მისი მოსმენით და მისი მოსაზრებებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით, რაც გარანტირებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით. ყველა პროცესი, სადაც ბავშვები მონაწილეობენ და ხდება მათი მოსმენა, აუცილებლად უნდა იყოს: ინფორმაციული, ნებაყოფლობითი, პატივისცემით განწყობილი, ბავშვზე მორგებული, ინკლუზიური, ბავშვის საკითხებზე გადამზადებული პროფესიონალების მიერ, უსაფრთხო, ბავშვისადმი ანგარიშვალდებული.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ“ მიხედვით (პარ. 44-47), მოსამართლეებმა უნდა დაიცვან ბავშვის მოსმენის უფლება ყველა საკითხზე, რომელიც მას ეხება. მოსმენის დროს გამოყენებული უნდა იყოს ბავშვის აღქმის დონისა და კომუნიკაციის შესაძლებლობებთან შესაბამისი საშუალებები საქმის გარემოებების გათვალისწინებით. ბავშვებს უნდა ჰკითხონ, თუ რა ფორმით ურჩევნიათ ამ უფლების განხორციელება. ბავშვის მოსაზრებებს და შეხედულებას უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად; მხოლოდ ასაკის გამო ბავშვს არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა მოუსმინონ. როდესაც ბავშვი გამოიჩენს ინიციატივას მოუსმინონ მას, მასთან დაკავშირებულ საქმეზე, მოსამართლემ არ უნდა უარყოს და უნდა მოუსმინოს მის მოსაზრებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები ან მზრუნველები. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი **კანონიერი წარმომადგენელი**. სასამართლო უფლებამოსილია მცირეწლოვანიც ჩააბას პროცესში. არამართლზომიერად გადაადგილებული ან დაკავებული ბავშვის საქმეზე სასამართლომ უნდა მოუსმინოს ბავშვს თუ მისი ასაკი, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა. ბავშვის მოსმენა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლი 351[13])და მას უნდა დაესწროს ექსპერტი ან/და სოციალური მუშაკი.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენცია მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოები იღებდნენ ყველა აუცილებელ ზომას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების **ადამიანის უფლებებითა** და ფუნდამენტური თავისუფლებებით სრულად უზრუნველყოფის მიზნით, სხვა ბავშვებთან თანასწორობის საფუძველზე. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძ-

ლებლობების მქონე ბავშვებს ჰქონდეთ უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი შეხედულებები მათთვის საინტერესო საკითხებზე, სათანადო ყურადღება დაეთმოს მათ მოსაზრებებს მათი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად, სხვა ბავშვებთან თანაბარ საფუძველზე, და ამ უფლების გამოყენების მიზნით მიეწოდოთ ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისი დახმარება. აღნიშნული კონვენცია (მუხლი 30.5 „დ") მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოს უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს გააჩნდეთ თამაშში, რეკრეაციულ აქტივობებში, დასვენებისა და სპორტულ ღონისძიებებში, მათ შორის, სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის სხვა ბავშვების თანაბარი ხელმისაწვდომობა.

მოტორული სფეროს დარღვევა (ADHD) – ამ სფეროს განუვითარებლობა გამოიხატება მოძრაობის კოორდინაციის დარღვევაში, მოძრაობის არასაკმარის სისხარტესა და სისწრაფეში. განსაკუთრებული სირთულე ვლინდება ვერბალური ინსტრუქციის მიხედვით მოძრაობის შესრულებაში.

მოქალაქეობის უფლება (Right to Nationality) – აღნიშნული უფლება ბავშვის იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. მოქალაქეობის უფლება საერთაშორისო სამართალში წინააღმდეგობრივ საკითხად რჩება. ზოგადი შეთანხმება იმის შესახებ, რომ ყველას უნდა ჰქონდეს მოქალაქეობა – არსებობს; თუმცა, სახელმწიფოები ხშირად მიიჩნევენ, რომ მოქალაქეობა, რაც სახელმწიფოსა და ადამიანს შორის ურთიერთობას ნიშნავს, პიროვნების უფლება არ შეიძლება იყოს. სახელმწიფოები მოქალაქეობას ექსკლუზიურად სახელმწიფოს გამგებლობას დაქვემდებარებულ საკითხად მიიჩნევენ და თანხმდებიან, რომ ადამიანს მოქალაქეობის მხოლოდ შეძენის უფლება აქვს. სახელმწიფოებს მოქალაქეობის შეძენისთვის ყოველთვის განსხვავებული პირობები ჰქონდათ დადგენილი. ზოგ ქვეყანაში მოქალაქეობის შეძენა დაბადებით ხდება, სხვაგან კი, ეს მშობლების მოქალაქეობაზეა დამოკიდებული, იუს სანგუინი (Jus sanguinis) პრინციპის შესაბამისად. მოქალაქეობის მოპოვება თითოეულ ქვეყანაში საამისოდ დადგენილი წესების შესაბამისად, ნატურალიზაციითაც შესაძლებელია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-15 მუხლი) ადგენს: „ყველას აქვს მოქალაქეობის უფლება" და „არავის შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან მოქალაქეობის შეცვლის უფლებაზე უარი ეთქვას". სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის (24.3 მუხლი) დებულება ადგენს შემდეგს: „ყველა ბავშვს აქვს მოქალაქეობის შეძენის უფლება". შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს (..) მოქალაქეობის შეძენის უფლება აქვთ".

კონვენცია „ბავშვის უფლებების შესახებ" აღიარებს, რომ „ბავშვს დაბადებიდანვე უნდა ჰქონდეს სახელისა და მოქალაქეობის ქონის უფლება". ბავშვის უფლებების კონვენცია სახელმწიფოსგან ბავშვისთვის „მოქალაქეობის შეძენის უფლების" უზრუნველყოფას მოითხოვს (...) და ასევე ადგენს, რომ „კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა ამ უფლებების საკუთარ ეროვნულ კანონმდებლობასა და ამ სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განხორციელება უნდა უზრუნველყონ განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სხვაგვარად ბავშვი მოქალაქეობის არმქონე პირად დარჩება". (მუხლი 7.1 მე-2 პუნქტი). იდენტობის დაცვის მოთხოვნა ბავშვის მოქალაქეობაზეც ვრცელდება (მე-8 მუხლი).

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 32), საქართველოს მოქალაქეო-

ბა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. **არასრულწლოვანი** პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ან მოქალაქეობის შეცვლის საკითხს არეგულირებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

არასრულწლოვანზე პასპორტის გაცემის წესი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 8 აგვისტოს №160 ბრძანებით, „არასრულწლოვანსა ან მხარდაჭერის მიმღებზე პასპორტის გაცემაზე თანხმობის ფორმების დამტკიცების თაობაზე“.

მზრუნველობა (Custodianship) – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე. მზრუნველობა აგრეთვე, წესდება სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობანი.

მსხვერპლის იდენტიფიკაცია (Victim Identification) – ტერმინი „მსხვერპლის იდენტიფიკაცია“ ეხება საგამოძიებო პროცესში ექსპერტთა მიერ ბავშვზე სექსუალური ძალადობის/ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციის მასალების ანალიზს სექსუალური ძალადობისა თუ სექსუალური ექსპლოატაციის მსხვერპლთა დასადგენად. ანალიზი მოიცავს სხვადასხვა მეთოდოლოგიას განსაკუთრებით, მასალის (შინაარსი და ტექნიკური ინფორმაცია) ფარგლებში ან მის გარეთ, პოტენციური ლოკაციის მიმთითებელი ნიშნისა თუ მონაცემის მოძიებას, მათ შეფასებას არსებულ თუ სხვა შესაბამის ინფორმაციასთან ერთობლიობაში. აღნიშნული პროცესის მიზანს წარმოადგენს ძალადობის ადგილის, მსხვერპლისა და მოძალადის გამოვლენა და ბავშვის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა სისხლის სამართლის დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების დაცვით.

„მსხვერპლის იდენტიფიკაცია“ პოლიტიკის დაგეგმვის ფარგლებში, არის მსხვერპლზე ორიენტირებული დისციპლინა და წარმოადგენს ბავშვის ექსპლოატაციის ნებისმიერი გამოძიებისას აუცილებლად გასათვალისწინებელ მიდგომას. აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს ბავშვის უსაფრთხოებისთვის ნებისმიერი სტრატეგიული სქემისა თუ ინიცირებული პრაქტიკის მთავარ ორიენტირს. მაგალითად, ინტერნეტ პროვაიდერებმა, რომლებიც აწესებენ მასალის დაბლოკვისა თუ წაშლის პოლიტიკას, უნდა გაითვალისწინონ, რომ სურათი ან ვიდეო, სადაც ასახულია ნამდვილ ბავშვზე ძალადობა ან ექსპლოატაცია, მსხვერპლს ზიანის მიყენების გარეშე, მათი წაშლის შესაძლებლობა ჰქონდეს.

უმეტეს ქვეყნებში, მსხვერპლის იდენტიფიკაცია უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს სამართალდამცავთა ამოცანას და ხორციელდება ინტერპოლის (AG-2011-RES-08) რეზოლუციის „ბავშვზე ძალადობის შემცველი მასალის მსხვერპლზე ორიენტირებული მენეჯმენტის უზრუნველყოფა ეროვნულ დონეზე“ შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს ბავშვზე სექსუალური ძალადობის ლოკალურ ხასიათს მასალის გავრცელების გლობალური ხასიათის გათვალისწინებით. უფრო მეტიც, ევროკავშირის 2011/93 დირექტივის მე-15 მუხლი ადგენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ვალდებულებას, გაატარონ შესაბამისი ზომები, რომ საგამოძიებო ორგანოებმა შეეცადონ მე-3-7 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია, კონკრეტულად კი, ბავშვის პორნოგრაფიული მასალის ანალიზით, რომელშიც შედის ფოტოგრაფებისა და

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გადაცემისა თუ ხელმისაწვდობის დადგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის უმეტესობა მოიპოვება დამნაშავის წინააღმდეგ პოლიციის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მათი შეგროვება ხდება პროაქტიულადაც ონლაინ რეჟიმში და საზოგადოების წარმომადგენლების მოხსენებების/შეტყობინებების ფარგლებში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სამართალდამცავ ორგანოში პირდაპირ არ შევიდა შეტყობინება, მსგავსი შეტყობინებები ინახება სხვადასხვა ქვეყნის INHOPE-ის ქსელის წევრი ცხელი ხაზების მეშვეობით, სადაც ხარისხდება და დამატებითი ანალიზისათვის ეგზავნება სამართალდამცავ უწყებებს და იგზავნება ბავშვის სექსუალური ექსპლოატაციის საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში (ICSE).

ბავშვის სექსუალური ექსპლოატაციის საერთაშორისო მონაცემთა ბაზა მნიშვნელოვან როლს ასრულებს არაიდენტიფიცირებული მსხვერპლის ძალადობის ახალი მასალის მონაცემებში დამატების თვალსაზრისით, როდესაც ერთ ქვეყანაში მოპოვებული მასალა შესაძლებელია შეიცავდეს საჭირო ინფორმაციას ან მითითებას სხვა ქვეყნისთვის მსხვერპლის გამოსავლენად. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვზე სექსუალური ძალადობის მასალა იშვიათად არის მხოლოდ ერთი სურათი ან ფილმი და ზოგადად, ძალადობის ჩაწერა ხდება სხვადასხვა სერიებად, ყველა მასალა ჯგუფდება მსხვერპლის ან მსხვერპლთა მიხედვით.

ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალის დაყოფა ხდება კატეგორიებად: „იდენტიფიცირებული", „არაიდენტიფიცირებული" და „გაუვრცელებელი". „იდენტიფიცირებულია„ მასალა, სადაც მსხვერპლი იდენტიფიცირებულია და წაიშალა ზიანის მიყენების გარეშე. „არაიდენტიფიცირებული" არის მასალა, რომელიც ვრცელდება ონლაინ რეჟიმში და არ არის იდენტიფიცირებული, „გაუვრცელებელი" არის მასალა, რომლიც უცნობია გავრცელდა თუ არა ონლაინ ან ონლაინ კავშირის (Offline) გარეშე რეჟიმში.

მულტიდისციპლინური მიდგომა (Multidisciplinary approach) – სხვადასხვა სპეციალისტების მონაწილეობით **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** განსაზღვრა გადაწყვეტილების მისაღებად (განსაკუთრებით, დაზარალებულ და მოწმე ბავშვებთან მიმართებაში).

მშვილებელი (Adoptive Parents) – მშვილებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ" საქართველოს კანონით (მუხლი 3 (ვ)) დადგენილ მოთხოვნებს და აღრიცხულია გასაშვილებელ ბავშვთა და მშვილებელთა რეესტრში.

მშობლებისგან/ოჯახისგან განცალკევება (Separation from parents/family) – ბავშვის მშობლებისგან და ოჯახისგან განცალკევების ბევრი მიზეზი არსებობს, მათ შორის შემდეგი ქმედებები ან ღონისძიებები:

– მშობლების ან ბავშვების წინააღმდეგ სახელმწიფო ღონისძიებების (დაპატიმრება, გაუჩინარება, გაძევება, გასახლება, დაკავება, მშობლის უფლების ჩამორთმევა, ბავშვის სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებაში ან საპატიმროში გადაყვანა) გამოყენება;

– მშობლის/**ოჯახის** ქმედებები (მშობლის მიერ შვილის მოტაცება, უკანონო გაშვილება, გაყრა, ეკონომიკური ემიგრაცია, უფლებამოსილების ბო-

როტად გამოყენება ან უგულებელყოფა, ბავშვის სკოლა-ინერნატში ან მსგავს დაწესებულებაში განთავსება, მშობლის დანაშაულებრივი ქმედება, მაგალითად, ბავშვის გაყიდვა);

– სახლის დატოვების თაობაზე ბავშვის გადაწყვეტილება;

– ბუნებრივი მოვლენები (სიკვდილი, ბუნებრივი კატაკლიზმების გამო განშორება);

– გარე მიზეზები (შეიარაღებული კონფლიქტი, პოლიტიკური არასტაბილურობა ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებები).

მშობლებისა და ბავშვის დაცილება შეიძლება დროებითი იყოს. განცალკევების ობიექტური გარემოებებით გამოწვევისა და დროებითი ხასიათის შემთხვევაშიც, სამართლებრივი დაცვის მექანიზმები მაინც გამოიყენება თუნდაც, ისინი დროებითი და არა მუდმივი ხასიათის იყოს.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-9 მუხლით განმტკიცებული პრინციპის თანახმად, ბავშვის მშობლებისგან განცალკევება არ შეიძლება. თუმცა, კონვენციის შესაბამისად, **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** დასაცავად მშობლებისგან განცალკევება შესაძლებელია. ეს მუხლი პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მოსაზრების გამოხატვის შესაძლებლობას ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს, რაც ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა განხილვაში ბავშვის მონაწილეობა უნდა უზრუნველყოს. ერთი ან ორივე მშობლისგან განცალკევებისას, ბავშვი ორივე მშობელთან რეგულარული პირადი ურთიერთობისა და პირადი კონტაქტის უფლებას ინარჩუნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. თუ ბავშვი სახელმწიფო ღონისძიებების შედეგად, როგორიცაა დაპატიმრება, დაკავება, გადახალისება, დეპორტაცია ან სიკვდილი, განცალკევდება მშობლისგან, სახელმწიფოს ბავშვისთვის, მშობლისა და ოჯახის წევრებისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება.

მშობლებისა და ოჯახისგან განცალკევების აკრძალვის პრინციპი სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტშიც არის განმტკიცებული. **გაეროს** დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ „ბავშვის სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის“ „სიყვარულისა და გაგების“ მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავს. შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ბავშვი მშობლის ზრუნვისა და პასუხისმგებლობის გარემოში უნდა აღიზარდოს. რაც შეეხება ბავშვის მშობლისაგან განცალკევებას, დეკლარაცია თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, შეზღუდულია: „მცირე ასაკის ბავშვი, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, დედისგან არ უნდა განცალკევდეს“.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენცია, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-9 მუხლის მსგავსად, აღიარებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის უფლებას, იცხოვროს მშობლებთან და განშორების აკრძალვის პრინციპს განამტკიცებს.

მშობელთა უფლება-მოვალეობანი (Rights and duties of parents) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია (მუხ. 5) აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა აღიაროს მშობელთა ვალდებულება ბავშვს, მისი მზარდი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიაწოდოს სათანადო მითითებები და რჩევა-დარიგება საკუთარი უფლებების თავადვე განხორციელების შესახებ. ბავშვის აღზრდა-განვითარებისას, მშობელთა ძირითადი საზრუნავი უნ-

და იყოს **ბავშვის საუკეთესო ინტერესები.** საუკეთესო ინტერესების განმარტება უნდა შეესაბამებოდეს კონვენციას მთლიანობაში, მათ შორის, ძალადობისგან ბავშვის დაცვის და ბავშვის მოსაზრებების მოსმენის კუთხით. საუკეთესო ინტერესებით არ შეიძლება გამართლდეს ფიზიკური დასჯის პრაქტიკა ან სხვა სახის სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელი, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის ღირსებას და ფიზიკურ მთლიანობას. გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** ზოგადი კომენტარის №12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე" მიხედვით (პარ. 90-96), სახელმწიფოს კანონმდებლობა და პოლიტიკის დოკუმენტები უნდა ითვალისწინებდეს მშობლების, მეურვეებისა და მზრუნველების მიერ ბავშვის მოსმენას და მათი მოსაზრებებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე. მშობლებს უნდა გაეწიოთ შესაბამისი კონსულტაცია, რათა ბავშვებს მხარი დაუჭირონ მოსმენის და მოსაზრებების გათვალისწინების უფლების განხორციელებაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხ. 1197 და 1198.) მიხედვით, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. დაუშვებელია **არასრულწლოვანი** ბავშვის აღზრდისას მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ტანჯვას იწვევს.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვა (Limiting the rights and duties of parents) – მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისგან დამოუკიდებლად. მეურვეობა ან მზრუნველობა დგინდება იმ ბავშვის მიმართ, რომლის ორივე მშობელს შეეზღუდა მშობლის უფლება ან მოვალეობა. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მშობელს უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება, როცა მშობლის უფლება შეზღუდულია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საალიმენტო მოვალეობების შესაბამისად.

მშობლების უფლებებისა და მოვალეობების შეჩერება (Suspending the rights and duties of parents) – სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს მშობლების უფლება, იყვნენ ბავშვის წარმომადგენლები სასამართლო წარმოების განმავლობაში, დავის გადაწყვეტამდე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 1205[1]) თანახმად, თუ ნაპოვნია ბავშვი, რომლის ვინაობა, მშობლის (მშობლების) ვინაობა ან ადგილსამყოფელი უცნობია, მისი მშობლის (მშობლების) უფლებები და მოვალეობები შეჩერებულად ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ვიდრე:

ა) დადგინდება ბავშვის ან მისი მშობლის (მშობლების) ვინაობა და ის დაუბრუნდება თავის ოჯახს;

ბ) დადგინდება ბავშვის მშობლის (მშობლების) ვინაობა, რომელიც (რომლებიც) თავს არიდებს (არიდებენ) მშობლის მოვალეობების შესრულებას და უფლებების განხორციელებას და სასამართლო შეუზღუდავს მას (მათ) მშობლის უფლება-მოვალეობებს ან აღიარებს ბავშვს მიტოვებულად. ამ შემთხვევაში, ბავშვის მიტოვებულად აღიარებასთან ერთად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მშობლის უფლებების ჩამორთმევის თაობაზე;

გ) ბავშვი აღიარებული იქნება მიტოვებულად.

მშობლის უფლება-მოვალეობები შეჩერებულად ითვლება მშობლის (მშობლების) მიერ საკუთარი ქმედებით ან უმოქმედობით გამოხატული ბავშვის მიტოვებისას, როდესაც ბავშვი განთავსებულია 24-საათიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ. ამ შემთხვევაში, მშობლის უფლება-მოვალეობების შეჩერება მოქმედებს შეჩერების საფუძვლების არსებობის ვადით. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, როდესაც მშობლის მიმართ შემაკავებელი ან დამცავი ორდერი მოქმედებს, აგრეთვე სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მშობლის წარმომადგენლობითი უფლება ან/და მშობლის უფლება, განსაზღვროს, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვრობს ბავშვმა, შემაკავებელი ან დამცავი ორდერის ან ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების მოქმედების ვადით, შეჩერებულად ითვლება. მშობლის მიერ ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს ამ გადაწყვეტილების მოქმედებას.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა (Deprivation of parental rights and duties) – მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევა უკანასკნელი ზომაა, რის შესახებაც გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით. მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობების შესრულებას და არაჯეროვნად იყენებს მშობლის უფლებებს – ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ან ბავშვი ჩააბა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (მათ შორის, მათხოვრობა, მაწანწალობა) ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა (Reinstatement of parental rights and duties) – მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით, ბავშვის, ერთ-ერთი მშობლის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ინიციატივით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 1209) თანახმად, მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს. პირისათვის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენისას, სასამართლო ბავშვის სურვილსაც ითვალისწინებს, თუ მას შეუსრულდა ათი წელი. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა არ დაიშვება იმ ბავშვის მიმართ, რომელიც სხვამ იშვილა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შვილად აყვანა ბათილად იქნა ცნობილი. მშობლის უფლებები და მოვალეობები ავტომატურად აღდგება შეჩერების ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა გარემოება არ არსებობს.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა (Transfer of parental rights and duties) – ბავშვის ქონების მართვის უფლება კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაეცეს ქონების მეურვეს მშობლების მიერ ნოტარიალურად ან თუ ნოტარიუსი ხელმისაწვდომი არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დამოწმებული დოკუმენტის საფუძველზე. ბავშვის ქონების მართვის უფლება კონკრეტულ ქონებასთან დაკავშირებით, შეიძლება გადაეცეს ქონების მეურვეს ანდერძის საფუძველზე.

ნ

ნასამართლობა (Previous conviction) – არის სასამართლოს განაჩენით დამნაშავის მსჯავრდების სამართლებრივი შედეგი, რომელიც მსჯავრდებულის ზოგიერთი უფლების შეზღუდვაში გამოიხატება (მაგალითად, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების შეზღუდვა). არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მუხლი 12) ამომწურავად ადგენს თუ არასრულწლოვანმა განმეორებით ჩაიდინა დანაშაული, ნასამართლობის გაქარწყლების შემთხვევებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (Jury trial) – თუ ბრალდებულს ბრალი წაუყენეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი დანაშაულის ჩადენისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226.1 მუხლი განსაზღვრავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულებს), მოსამართლე ვალდებულია ბრალდებულს განუმარტოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებები და მასთან დაკავშირებული უფლებები. ამის შემდეგ მოსამართლე არკვევს, თანახმაა თუ არა ბრალდებული, რომ მისი საქმე ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილოს. თუ ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარს არ განაცხადებს, მოსამართლე ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის თარიღს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 12 მსაჯულისაგან და 2 სათადარიგო მსაჯულისგან. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი (Verdict of the Jury) – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი. შესაბამისად, არსებობს ვერდიქტის ორი ფორმა, გამამართლებელი და გამამტყუნებელი ვერდიქტი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ნაფიც მსაჯულთა მიერ ვერდიქტის მიღების პირობებს.

ნეგატივიზმი (Negativism) – წინააღმდეგობის გაწევა ნებისმიერი ფორმის გავლენისთვის. თავდაპირველად გამოიყენებოდა პათოლოგიური ფსიქიატრიული მდგომარეობის აღსანიშნავად, თუმცა თანდათანობით ტერმინმა გადაინაცვლა ქცევითი თავისებურებების კონტექსტში, ნორმალური ფსიქიკური სტატუსის პირობაში.

ო

ოქმი (Protocol) – ოფიციალური დოკუმენტი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის შესახებ, რომელიც ხშირად, თანდართულია ძირითად საერთაშორისო ხელშეკრულებაზე, თუმცა იგი შეიძლება დამოუკიდებელ საერთაშორისო ხელშეკრულებასაც წარმოადგენდეს.

ოჯახი (Family) – ოჯახი ბავშვის ჩვეული გარემოა, სადაც როგორც წესი, იგი ცხოვრობს და სადაც მისი უფლებების განხორციელება უნდა მოხდეს. ოჯახს, როგორც სტრუქტურულ ერთეულს, ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური განზომილებები აქვს. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ოჯახი საზოგადოების ძირითადი ერთეული და ბავშვის კეთილდღეობისთვის ბუნებრივი გარემოა. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის თანახმად, ოჯახურ გარემოში ბავშვის უფლებების განხორციელებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა ოჯახს აკისრია; თუმცა, კონვენცია სახელმწიფოს ვალდებულებასაც ითვალისწინებს, დაეხმაროს მშობლებს, როდესაც მათ დაკისრებული მოვალეობების შესრულება არ შეუძლიათ. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ბავშვზე პასუხისმგებლობა მხოლოდ ოჯახს არ აკისრია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას პრობლემები აქვს. იმპერატიული საერთაშორისო სამართალი, განსაკუთრებით კი კონვენცია, რადიკალურ გადაწყვეტილებებს შორის ბალანსის დადგენასა და ოჯახის ტრადიციული სტრუქტურისა და ურთიერთობების გათვალისწინებას ცდილობს. თუმცა, საერთაშორისო სამართალი მშობლის უფლების ბოროტად გამოყენებას ან უგულებელყოფას გმობს, განსაკუთრებით, როდესაც ამას ბავშვისთვის ზიანი მოაქვს. ასევე, აღიარებულია სახელმწიფოს უფლება, ჩაერიოს ოჯახის საქმეებში სხვადასხვა ფორმით მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების ან უგულებელყოფის განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში, ასეთ დროს სახელმწიფოს ბავშვის ოჯახური გარემოსგან განცალკევების უფლებამოსილებაც კი აქვს. თუ ბავშვს ოჯახი არ ჰყავს, სახელმწიფო ვალდებულია, მას ალტერნატიული ზრუნვა შესთავაზოს, რაც შესაძლოა, მიმღებ ოჯახს, გაშვილებას ან შესაბამის დაწესებულებაში განთავსებას გულისხმობდეს. სახელმწიფო ვალდებულია, ალტერნატიული ზრუნვის ამ ფორმების სისტემატური გადახედვა აწარმოოს. საერთაშორისო სამართალი ასევე აწესრიგებს ბავშვის გაშვილებას სხვა სახელმწიფოში, თუმცა ბავშვის კულტურისა და იდენტობის შენარჩუნების მიზნით, პრიორიტეტი ქვეყნის შიგნით გაშვილებას ენიჭება.

საერთაშორისო სამართალი იცნობს ბავშვის განმარტებას, თუმცა არ არსებობს ოჯახის ზუსტი და ცალსახა განმარტება, აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ ოჯახი არის ცვალებადი ცნება, რომელიც ისტორიულ, სოციოლოგიურ, ეკონომიკურ, მორალურ და სამართლებრივ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ოჯახში ან ოჯახთან ურთიერთობების აღსანიშნავად, საერთაშორისო სამართალში რამდენიმე ტერმინი გვხვდება: ოჯახი, ოჯახური ცხოვრება და ოჯახური გარემო. ტერმინი „ოჯახი“ თითქმის ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებაშია გამოყენებული. ფრაზა „ოჯახური ცხოვრება“ გვხვდება **ადამიანის უფლებებისა** და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპულ კონვენციაში; თუმცა, ამ უკანასკნელის მე-8 მუხლი არა თავად ოჯახს, არამედ ოჯახური ცხოვრების უფლებას იცავს. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციასა და „ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ“

აფრიკულ ქარტიაში ტერმინი „ოჯახური გარემო“ გამოიყენება. **გაეროს** გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ინსტრუქცია ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის შესახებ, ოჯახს განმარტავს, როგორც „საზოგადოების ძირითად ერთეულს და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივ გარემოს“. მართალია, რეზოლუცია სავალდებულო ხასიათის დოკუმენტი არ არის, თუმცა **გაერო** მოუწოდებს სახელმწიფოებს, „ინსტრუქცია მხედველობაში მიიღონ და იგი შესაბამის აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოებს, ადამიანის უფლებების დამცველებსა და იურისტებს, მედიასა და მთლიანად საზოგადოებას გააცნონ“. რეზოლუცია ძირითადად, ბავშვზე ალტერნატიულ ზრუნვას ეხება, თუმცა, მისი მთავარი მიზანი ოჯახური ცხოვრების ხელშეწყობა და ბავშვის ოჯახისგან განცალკევების აღკვეთაა.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის შემდეგ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ოჯახსა და მის განმარტებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციის შესაბამისად, თუ უნარშეზღუდული ბავშვის უშუალო ოჯახს მისი მოვლის ძალა არ შესწევს, 23 (5)-ე მუხლი სახელმწიფოს ბავშვისავე გაფართოებული ოჯახის ან საზოგადოების ფარგლებში, მაგრამ ოჯახურ გარემოში, ალტერნატიული ზრუნვის უზრუნველსაყოფად ყველა ღონისძიების გატარების ვალდებულებას აკისრებს.

განსხვავებული ოჯახური სტრუქტურები და ბავშვებთან განსხვავებული ურთიერთობები ბავშვის დაცვის საკითხის საერთაშორისო დონეზე ერთგვაროვან გადაწყვეტას ართულებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლთან მიმართებით, ადამიანის უფლებების კომიტეტმა აღნიშნა, რომ ტერმინი „ოჯახი“ საკმარისად ფართოდ უნდა განიმარტოს, რათა მოიცვას „ყველა ის ადამიანი, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოს საზოგადოების აღქმაში ოჯახის წევრს წარმოადგენს“.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ოჯახური ცხოვრება არა მხოლოდ მშობლებს, არამედ ახლო ნათესავებსაც მოიცავს, როგორიცაა ბებია და პაპა“. (იხ. საქმე მარქსი ბელგიის წინააღმდეგ, Marckx v. Belgium, seriesA, N31, ECHR1979)

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-18 მუხლი ადგენს, რომ ბავშვის აღზრდა და განვითარება ორივე მშობლის ერთობლივი პასუხისმგებლობაა. კერძოდ, „ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრება“, ხოლო ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ორივე მშობლის ერთობლივი პასუხისმგებლობის აღიარებისთვის ყველა ღონე იხმარონ.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით (მუხლი 30), ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

ოჯახის გაერთიანება (Family reunion) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს, რომ თხოვნა ოჯახის გაერთიანების თაობაზე სახელმწიფოებმა პოზიტიური, ჰუმანური მიდგომითა და სწრაფად უნდა განიხილონ, ამასთან ბავშვებს, ორივე, მათ შორის, საზღვარგარეთ მცხოვრებ მშობელთან პირდაპირი ურთიერთობის შენარჩუნების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. კონვენციის ამ მუხლის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება ეხება ბავშვისა და

მშობლების უფლებას, დატოვონ ნებისმიერი, მათ შორის მოქალაქეობის, სახელმწიფო, და ასევე, მოქალაქეობის სახელმწიფოში დაბრუნდნენ. 2005 წელს, ბავშვის უფლებების კომიტეტმა მიიღო ზოგადი კომენტარი №5 „წარმოშობის სახელმწიფოს გარეთ სრულწლოვანის თანხლების გარეშე მყოფი ან განცალკევებული ბავშვების მოპყრობის შესახებ". აღნიშნული დოკუმენტი განიხილავს ოჯახის გაერთიანებას, დაბრუნებასა და გრძელვადიანი გადაწყვეტის სხვა ფორმებს. ზოგადი კომენტარი დეტალურად მიმოიხილავს, როგორ უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ოჯახის გაერთიანება (შესაძლო რისკების გათვალისწინებით), დააბრუნოს პირი წარმოშობის სახელმწიფოში და, როგორც ალტერნატიული ღონისძიება, პირის ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრირება უზრუნველყოს. როდესაც დაბრუნება შეუძლებელია, ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ინტეგრირება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სრულად ისარგებლოს ყველა იმ ბავშვმა, რომელიც დარჩა სახელმწიფოში მიუხედავად იმისა, იგი აღიარებულია ლტოლვილად, არსებობდა დაბრუნების დამაბრკოლებელი სხვა გარემოებები თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესებმა ყველა სხვა მოსაზრება გადაწონა. არსებობს სხვა გამოსავალიც, მაგალითად, მესამე სახელმწიფოში დასახლება. ასეთი შესაძლებლობა შეიძლება გრძელვადიანი გადაწყვეტილება იყოს სრულწლოვნის თანხლების გარეშე მყოფი ან განცალკევებული ბავშვებისთვის, თუ მათ წარმოშობის ქვეყანაში დაბრუნება არ შეუძლიათ და ადგილსამყოფელ სახელმწიფოში საკითხის სათანადოდ გადაწყვეტა შეუძლებელია.

ოჯახურ მზრუნველობამოკლებული ბავშვები (Children without family care) – ბავშვის ოჯახისგან დროებით ან მუდმივად განცალკევებისას, ამგვარი განცალკევების მიზეზის მიუხედავად, მას სპეციალური დაცვა ესაჭიროება. დაცვის ღონისძიებების გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში, უპირველეს ყოვლისა, საქმის გარემოებებზეა დამოკიდებული. „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-20 მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფოების ვალებულებას, სათანადო დახმარება გაუწიონ საკუთარ ოჯახურ გარემოცვას მოშორებულ ბავშვს და ალტერნატიული ზრუნვის ოთხ საშუალებას ითვალისწინებს; თუმცა, სახელმწიფოს უფლება აქვს, გამოიყენოს სხვა ფორმებიც, ასეთებია: აღსაზრდელად გადაცემა, შვილად აყვანა ან ბავშვთა მოვლის შესაბამის დაწესებულებებში მოთავსება. ალტერნატიული ზრუნვის ფორმის არჩევისას, სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბავშვის აღზრდის გაგრძელების აუცილებლობა, ასევე მისი ეთნიკური, კულტურული და ლინგვისტური კუთვნილება. კონვენციის მე-9 მუხლისგან განსხვავებით, რომელიც მშობლებისგან განცალკევებას შეეხება, მე-20 მუხლი ოჯახზე მიუთითებს. ეს განსხვავება ძალზედ მნიშვნელოვანია და განამტკიცებს მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, უპირატესობა ბავშვის ფართო (სრულყოფილ) ოჯახში დატოვებას უნდა მიენიჭოს, **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** გათვალისწინებით.

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ" კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად: „თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის უშუალო ოჯახს მასზე ზრუნვა არ შეუძლია, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები მისთვის გაფართოებულ ოჯახში ალტერნატიული ზრუნვის ან თუ ეს შეუძლებელია, ოჯახური გარემოს მსგავს გარემოში ზრუნვის შეთავაზებისთვის ყველა ღონეს იხმარენ".

ბავშვის უფლებათა კომიტეტის თითქმის ყველა ზოგადი კომენტარი ეხება ოჯახურ ზრუნვას მოკლებული ბავშვის

განთავსების ან მასთან მოპყრობის რომელიმე ასპექტს. მაგალითად, №3 ზოგად კომენტარში, რომელიც აივ/შიდსის ვირუსსა და ბავშვის უფლებებს შეეხება, ბავშვის ინსტიტუციაში განთავსებისა და მკურნალობის თაობაზე წუხილს გამოთქვამს. დაობლებულ ბავშვებთან დაკავშირებით, აღნიშნული დოკუმენტი აცხადებს, რომ „ობოლი ბავშვის საუკეთესო დაცვა ხდება ნათესავების ან ოჯახის წევრების, ... გაფართოებული ოჯახის, ...ოჯახური ტიპის ალტერნატიული ზრუნვის, მაგალითად, მიმღებ ოჯახში ზრუნვისას. კომიტეტი აღნიშნავს, რომ დაწესებულებაში ბავშვზე ზრუნვამ შესაძლოა, მასზე უარყოფითი გავლენა იქონიოს; შესაბამისად, ამგვარ დაწესებულებებში ზრუნვის სპეციფიკური სტანდარტებისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად მკაცრი ღონისძიებების გატარებაა საჭირო. ზოგადი კომენტარი №4 (არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის შესახებ) შეეხება მსგავს დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ძალადობას და აღნიშნავს, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე ბავშვის „განთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში აუცილებლობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს მისი **საუკეთესო ინტერესების** დაცვის პრინციპის საფუძველზე“ და „პაციენტს [ბავშვის უფლებების შესახებ] კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლებით, მათ შორის, განათლებასა და სარეკრეაციო საქმიანობაზე ხელმისაწვდომობის უფლებით, სარგებლობისთვის ხელი მაქსიმალურად უნდა შეუწყონ“.

2009 წელს, **გაეროს** გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის შესახებ ინსტრუქციას მხარდაჭერა გამოუცხადა. ინსტრუქციის მიზანი ბავშვის უფლებების კონვენციისა და ადამიანის უფლებების შესახებ სხვა საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებების შესრულების ხელშეწყობაა ალტერნატიული ზრუნვის საჭიროების მქონე ან რისკჯგუფში მყოფი ბავშვების დასაცავად და მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ ბავშვები საჭიროების გარეშე ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში არ განათავსონ და ოჯახის მიღმა ბავშვზე ზრუნვა **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** დაცვით განხორციელდეს.

ოჯახში ძალადობა (Domestic violence) – გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს თუ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით.

ოჯახის წევრი (Family member) – სისხლის სამართალში ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე, **არასრულწლოვანი** შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი).

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ოჯახის წევრთა წრე უფრო ფართოა და მოიცავს შემდეგ პირებს: დედა, მამა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილობილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას (საქართველოს სსიხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლის შენიშვნა)

პ

პატიმრობა (Detention) – დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დაიშვება მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნას გამოყენებული.

პარანოია (Paranoia) – დევნისა და განდიდების მანია, მწვავე ფსიქიკური დაავადება, როდესაც ადამიანს ჰგონია, რომ მას გარშემომყოფები ერჩიან და სდევნიან. პარანოია ზოგიერთ შემთხევაში, შეიძლება გამოწვეული იყოს ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის დიდი დოზით მიღებით.

პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლება (Right to protect privacy, family, home or correspondence from unlawful interference) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-16 მუხლის მიხედვით, არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს მისი პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლების განხორციელებაში ნებისმიერი ან უკანონო ჩარევის ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვის ობიექტი. ბავშვს უფლება აქვს კანონით იყოს დაცული ასეთი ჩარევისგან ან ხელყოფისგან.

არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღებასთან, აღრიცხვასთან, გადაყვანასთან და გათავსუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიზანია **არასრულწლოვანი** ბრალდებულის/მსჯავრდებულის თაობაზე ინფორმაციის თავმოყრა, მისი სისტემატიზაცია, მონაცემთა სრული და ერთიანი ბაზის შექმნა, სტატისტიკური ანალიზისა და მონიტორინგის განხორციელების უზრუნველყოფა განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №180 ბრძანებით.

პირობითი მსჯავრი (Conditional sentence) – თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა და ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს.

პიროვნული აშლილობა (Personal disorder) – აღქმის, აზროვნების და ქცევის ქრონიკული არაადეკვატური მოდელი, რომელიც აზიანებს ინდივიდის უნარს სრულყოფილად მოერგოს სოციალურ გარემოს.

პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი (Minimum Age of Responsibility) – საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მინიმალური ასაკი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის არის 14 წელი, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის – 16 წელი.

პედოფილი (Pedophile) – პედოფილია სამედიცინო ცნებათა კატეგორიას განეკუთვნება და პედოფილი ეწოდება იმ ზრდასრულ ადამიანს, რომელსაც გარკვეული ინდივიდუალური ფსიქიური და ფიზიოლოგიური რღვევების გამო, სექსუალური ინტერესი მხოლოდ ბავშვებისადმი გააჩნია. პედოფილთა ნაწილი მხოლოდ განსაზღვრული სქესის ბავშვებზეა ფოკუსირებული, ნაწილს კი, გამოკვეთილი გენდერული ინტერესი არ აქვს.

განსხვავებულია პედოფილთა ქცევითი თვისებებიც: ზოგიერთი მათგანი საკუთარი სექსუალური ლტოლვის დაკმაყოფილებას ფანტაზიის დონეზე ახდენს და ასეთ კატეგორიას ძირითადად, ბავშვთა პორნოგრაფიის შემცველი პროდუქციის მომხმარებლები განეკუთვნებიან; ზოგი კი. ე. წ. „არაკონტაქტურ სექსუალურ კავშირს“ ამჯობინებს, რაც გამოიხატება გენიტალიური ორგანოების ჩვენებით, ბავშვთან საუბრით სექსუალურ თემებზე, პორნოგრაფიული ნიმუშების დათვალიერების ჩათვლით, ინტერნეტის მეშვეობით ბავშვებთან ე. წ. „ვირტუალური სექსუალური კონტაქტის“ დამყარებით და ა. შ. ყველაზე „კრიმინალიზებულ“ პედოფილებს შეადგენენ ისინი, ვინც ახდენენ ბავშვთა პირდაპირ სექსუალურ ექსპლოატაციას კონტაქტური პენეტრაციის გზით. საერთაშორისო პრაქტიკაში პასიურ პედოფილებს ძირითადად, სამედიცინო სუბიექტებად განიხილავენ და მათ წინააღმდეგ ბრძოლას სამკურნალო-პროფილაქტიკური მეთოდებით ეწევიან. თუმცა, ეს არ გამორიცხავს მათ დაქვემდებარებას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისადმი თუნდაც, ბავშვთა ბეჭდვითი ან ელექტრონული (ინტერნეტით) პორნოგრაფიული ნიმუშების მოხმარების შემთხვევაში.

პენიტენციური სტრესი (Penitentiary stress) – პენიტენციური გარემოთი გამოწვეული სტრესი, რომლის ფონზეც ინდივიდი შეიძლება გახდეს უფრო მეტად კონფლიქტური, განუვითარდეს სხვადასხვა ტიპის ფსიქიკური აშლილობა, ჰქონდეს თვითმკვლელობის მცდელობა, თავი მოიკლას ან ჩაიდინოს ახალი დანაშაული.

პიაჟე ჟან (Jean Piaget) – შვეიცარელი ფსიქოლოგი, რომელმაც სახელი გაითქვა კოგნიტური განვითარების თეორიის შექმნით. კოგნიტური განვითარების თეორია ხსნის, თუ როგორ ახდენს ბავშვი სამყაროს მენტალური მოდელის აგებას. პიაჟემ გამოყო ინტელექტუალური ანუ კოგნიტური განვითარების ოთხი საფეხური:

- სენსომოტორული – დაბადებიდან 18-24 თვემდე.
- პრეოპერაციული – 18-24 თვიდან 7 წლამდე
- კონკრეტული ოპერაციული – 7 წლიდან 12 წლამდე.
- ფორმალური ოპერაციული – მოზარდობიდან ზრდასრულობამდე.

პირდაპირი დისკრიმინაცია (Direct discrimination) – პირდაპირი დისკრიმინაცია ნიშნავს ისეთ მოპყრობას ან პირობების შექმნას, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის საფუძველზე, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. პირდაპირი დისკრიმინაცია შეიძლება იქნას გამართლებული თუ ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივ წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული სა-

შუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად („დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 2.2)

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლება. კონვენცია სახელმწიფოებისგან მოითხოვს სათანადო ქმედითი ღონისძებების განხორციელებას ყველა ბავშვის ეფექტიანი თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. უთანასწორობის მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სახელმწიფოებს შესაძლოა დასჭირდეთ პოზიტიური ღონისძიებების გატარებაც.

პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა (PTSD) – ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, რომელიც ზოგიერთ ადამიანს უჩნდება სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი შემთხვევის გადატანისას, როგორიცაა ომი, ახლობლების დაკარგვა, ბუნებრივი კატასტროფა (მიწისძვრა, წყალდიდობა), საგზაო შემთხვევა, **გაუპატიურება**, თავდასხმა და ა. შ. ამის შემდგომ ადამიანს უჭირს ყოველდღიური ცხოვრების რიტმში ჩართვა, სკოლაში ან სამსახურში სიარული, მეცადინეობა, მუშაობა, დაძინება. როგორც წესი, რამდენიმე თვეში არსებული მდგომარეობა სწორდება და ადამიანი უბრუნდება ჩვეულ რიტმს. როდესაც ზემოთ დასახელებული მდგომარეობა ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ საქმე გვაქვს პოსტტრავმატულ სტრესულ აშლილობასთან, რომელსაც სწრაფი რეაგირება და ექიმის, ხშირად ფსიქიატრის დახმარება სჭირდება. პოსტტრავმატული სტრესი შეიძლება განვითარდეს ტრავმული შემთხვევიდან მყისიერად, რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგ ან თავი იჩინოს რამდენიმე თვის ან წლის მერეც კი.

პრეფერენციული ექსპლოატატორი (Preferential Exploiter) – ბავშვთა პრეფერენციული ექსპლოატატორი გულისხმობს იმ ზრდასრულ პირთა კატეგორიას, რომლებიც პედოფილთა მსგავსად, თავიანთი ქცევითი ნორმებიდან (modus operandi) გამომდინარე, ადამიანთა ჰომოგენურ ჯგუფს არ მიეკუთვნებიან და სექსუალურ კავშირს ბავშვებთან ამჯობინებენ. თუმცა, მათ პედოფილებისგან განსხვავებით, ნორმალური სექსუალური ცხოვრებაც შეუძლიათ. მკვლევართა აზრით, ეს კატეგორია სამ ტიპად უნდა დაიყოს:

- „სედუქტიური“ (მაცდუნებელთა) მოდელური ჯგუფი, რომელთა ქმედებაც ძირითადად, თავისებური ნარცისიზმით მოტივირდება. ე. ი. ისინი გარკვეულწილად, საკუთრ თავს ხედავენ „უცოდველ“ ბავშვში და მასთან განსაკუთრებულ ემოციურ თვითიდენტიფიკაციას ახდენენ სექსუალური კავშირის გზით. ამ ტიპის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელია მანიპულატორობის ბრწყინვალე უნარი, რათა სხვადასხვა მეთოდებით, განსაკუთრებული ყურადღების გამოხატვითა და საჩუქრებით მიიზიდონ ბავშვი, თავი შეაჩვიონ მას და ეტაპობრივად „შეამზადოს“ იგი საკუთარი ზრახვების განსახორციელებლად;

- „ინტროვერტთა“ მოდელური ჯგუფი, რომელთაც არ გააჩნიათ წინა ჯგუფისათვის მახასიათებელი სედუქტიური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები და ცდილობენ მინიმალური სიტყვიერი კომუნაკიციის შემდეგ მოახდინონ მსხვერპლი ბავშვის ექსპლოატაცია. ამ ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობენ ძირითადად, უცნობ ბავშვებთან დაამყარონ კონტაქტი.

- სადისტური გადახრების მქონე ექსპლოატატორთა მოდელური ჯგუფი, რომლებიც განსაკუთრებულ სექსუალურ კმაყოფილებას იღებენ თავიანთ

მსხვერპლთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვით. ამ ტიპის ექსპლოატატორი-დამნაშავენი პოტენციურად ყველაზე საშიში კატეგორიაა, რამდენადაც არ ერიდებიან ბავშვის მიმართ ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმების გამოყენებას თავად ბავშვის მკვლელობის ჩათვლით.

პრეცედენტული სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (Case law European Court of Human Rights) – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომლებიც განმარტავენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარეები, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებენ პრაგმატული მოსაზრებით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ასევე ეროვნული სასამართლოები, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ადამიანის უფლებათა **ევროპული სასამართლო**, როგორც კონვენციის საზედამხედველო ორგანო, ახდენს ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას. ეს განაპირობებს სახელმწიფოების, ამასთან ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა **ევროპული სასამართლოს** იმ გადაწყვეტილებების (პრეცენდენტების) გამოყენებას, რომლებიც ეხება კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.

მიუხედავად იმისა, რომ **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო** იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით, **ევროპული სასამართლო** ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ საქმეს. ევროპული სასამართლოს განმარტებით, რაც აისახება პრეცედენტულ სამართალში, **ევროპული სასამართლო** ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციას. ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერ გადაწყვეტილებაში.

ევროპული სასამართლოები აცნობიერებენ, რომ **ევროპული სასამართლოს** პრაქტიკის, მისი პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე, ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმირებული. კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსი გამოიხტება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები. კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპულ სასამართლოს პს-ის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამარ-

თალი აზუსტებს კონვენციის ცალკეულ დებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, ისევე როგორც გამოყენების სფეროს, ევროპულ სახელმწიფოთა ეროვნული სასამართლოები არ განიხილავს ადამიანის უფლებთა ევროპულ კონვენციას ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გარეშე. ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით. ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პრეცედენტული სამართლით. სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე, ევროპული სასამართლოს პრეცენდენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები. საქართველოს როგორც საერთო, ისე საკონსტიტუციო სასამართლოები, მზარდი ინტესივობით იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

პრობაცია (Probation) – იმ ბავშვის მონიტორინგი და ზედამხედველობა, რომელსაც არ აღეკვეთა თავისუფლება და საზოგადოებასთან ერთად ცხოვრობს. პრობაციას როგორც წესი, ზედამხედველობს უფლებამოსილი უწყება და ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელ ღონისძიებად, ასევე თავისუფლების აღკვეთის შემდეგაც.

არასრულწლოვანის მიერ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების წესს განსაზღვრავს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (თავი XII) და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

პროექცია (Psychological projection) – ფსიქოლოგიური პროცესი, როდესაც ადამიანი მიაწერს გარემოს, საგნებს, მოვლენებს და სხვა ადამიანებს იმ თვისებებს და თავისებურებებს, რომელსაც თვითონ არჩევს მათთვის სუბიექტური პრინციპით და იმ მოლოდინიდან და პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, რომელიც მას გააჩნია გარემოს და კონკრეტული ადამიანების მიმართ. ეს თვისებები შეიძლება იყოს, როგორც საკუთრივ ადამიანის თვისებები – უარყოფითი ან დადებითი, შიშით და მტკივნეული გამოცდილებით გამოწვეული ან პირიქით. ამგვარად, პროექციული აღქმა ვერ ასახავს ობიექტურად აღსაწერ საგანს, მოვლენას, გარემოს ან ადამიანს და უმეტესწილად, ამგვარი აღქმა სუბიექტურია.

პროექციული ტესტი (Projection test) – პიროვნების შეფასების მეთოდი. ინდივიდს მიეწოდება ბუნდოვანი, აბსტრაქტული სტიმულები და მას სთხოვენ ამ სტიმულების ინტერპრეტაციას. ითვლება, რომ ინდივიდის პასუხები წარმოაჩენს მის შინაგან, რეალურ გრძნობებს და განცდებს, მოტივებს და არსებულ კონფლიქტებს.

პროსოციალური ქცევა (Prosocial behavior) – ზრუნვა, დახმარება, ქველმოქმედება, მოხალისეობა. პროსოციალური ადამიანები გამოირჩევიან პატიოსნებით, პასუხისმგებლობით, ზნეობით, სოციალიზებული ღირებულებების სისტემით.

პროცესში ეფექტური მონაწილეობის უფლება (The right to participate effectively in the process) – სამართლიანი სასამართლოს პრინციპი გულისხმობს, რომ ბავშვმა, რომელმაც სავარაუდოდ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, უნდა შეძლოს სასამართლო პროცესში ეფექტური მონაწილეობა. ამისათვის კი, მას კარგად უნდა ესმოდეს მისთვის წაყენებული ბრალდების შინაარსი, აგრეთვე უნდა ესმოდეს

მოსალოდნელი შედეგები და სასჯელის ზომა, რათა შეძლოს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, ეჭვქვეშ დააყენოს მოწმეთა ჩვენებები, გადმოსცეს საქმის არსი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მტკიცებულებების, ჩვენებებისა და მის მიმართ გასატარებელი ზომის (ზომების) შესახებ. პეკინური წესების მე-14 მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომები უნდა ტარდებოდეს ისეთ გარემოში, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, მიიღოს მონაწილეობა და ღიად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით. ასევე, შესალებელია, საჭირო გახდეს სხდომის ჩატარება შესაბამისად მოდიფიცირებული მოსმენის პროცედურებისა და პრაქტიკის მიხედვით.

პუბერტატი (Pubertat) – პერიოდი, როდესაც მოზარდის ორგანიზმი სიმწიფის ფაზაში შედის და რეპორდუქციისთვის (ბავშვის ჩასახვისთვის) ფიზიოლოგიურად მზად არის.

ჟ

ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ (1949 Geneva Conventions and 1977 Additional protocols on Protection of Victims of War) – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროები ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ. ისინი მიზნად ისახავენ შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას. საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ჟენევის 1949 წლის ოთხ კონვენციას და 1977 წლის ორ დამატებით ოქმს „ჟენევის სამართლის“ ქვაკუთხედად მიიჩნევენ. ჟენევის 1949 წლის I კონვენცია („მოქმედ არმიებში დაჭრილებისა და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“) ეხება აღნიშნულ პირთა მოვლას, დაცვას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას; მასში ჩამოყალიბებულია სპეციალური წესები სანიტარიულ-სატრანსპორტო საშუალებათა შესახებ. დაჭრილთა გადასაყვანად გამოყენებული სამედიცინო, სამოქალაქო და სამხედრო-სატრანსპორტო საშუალებები ამ წესების მიხედვით, სრული დაცვით უნდა სარგებლობდნენ; ეს წესები სრული სახით ვრცელდება აგრეთვე, სამედიცინო პერსონალზე, სასულიერო პირებზე, ჟურნალისტებზე, სამედიცინო პერსონალის ტრანსპორტირებასა და სამედიცინო ტვირთის გადატანაზე.

II კონვენცია („საზღვაო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი დაჭრილებისა და ავადმყოფების და ხომალდების კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“) აწესებს, რომ ჰოსპიტალური ხომალდები, რომლებიც ზღვაზე სახმელეთო ჰოსპიტალების ფუნქციას ასრულებენ, ისეთივე დაცვით უნდა სარგებლობდნენ, როგორიც სხვა სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებებს აქვთ, ისინი უნდა ატარებდნენ დამცავ ემბლემას (წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე) და მონაცემები ამ ხომალდების შესახებ უნდა მიეწოდებოდეს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს.

III კონვენცია („სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ“) განსაზღვრავს ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ პირთა უფლებებს. კონვენცია მოითხოვს, რომ სამხედრო ტყვეებს ყოველთვის ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ; ტყვეობის დროს მათ შენარჩუნებული უნდა ჰქონდეთ სამხედრო მოსამსახურეთა სტატუ-

სი, რაც გულისხმობს შემდეგს: მათ უფლება აქვთ, ატარონ სამხედრო ფორმა; ექვემდებარებიან ტყვედ ჩავარდნილ ზემდგომი ჩინის მქონე ოფიცრებს; საომარ მოქმედებათა დასრულებისას, უნდა მოხდეს მათი რეპატრიაცია; ტყვეობაში ყოფნისას შესრულებული სამუშაოებისათვის უნდა მიეცეთ განსაზღვრული თანხა (გასამრჯელო); უნდა გაეწიოთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, ჰქონდეთ კულტურული და სულიერი ცხოვრების წარმართვის საშუალება, ნათესავებთან და ახლობლებთან მიმოწერის უფლება.

IV კონვენცია შეეხება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის საკითხებს შეიარაღებული კონფლიქტების დროს. 1977 წლის პირველ დამატებით ოქმში ამ საკითხის განსაზღვრამ უფრო სრულყოფილი სახე მიიღო. სამოქალაქო პირად ითვლება ყველა, ვინც შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ შედის და საომარ მოქმედებებში მონაწილეობას არ იღებს. აკრძალულია სამოქალაქო პირთა კოლექტიური დასჯა, მოსახლეობის ტერორი, დაშინება, ძარცვა, მძევლად შეპყრობა, რეპრესალიების გამოყენება. დასაშვებად არის მიჩნეული სამოქალაქო მოსახლეობის ზონების შექმნა (უსაფრთხო ზონა, ღია ქალაქი, დემილიტარიზებული ზონები). კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უცხოელების, ქალებისა და ბავშვების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. აკრძალულია სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებისათვის ზიანის მიყენება, აგრეთვე იმ ობიექტებისათვის, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ და მათი მწყობრიდან გამოყვანა საფრთხეს შეუქმნის სამოქალაქო მოსახლეობას (მაგალითად, ელექტროსადგურის აფეთქება). ჟენევის კონვენციებით დადგენილი წესები სახელმწფოებმა უნდა გამოიყენონ შეიარაღებული კონფლიქტების ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ამ კონფლიქტის ესა თუ ის მხარე არ აღიარებს საომარი მდგომარეობის არსებობას. აღნიშნული კონვენციების მუხლები გამოიყენება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ოკუპაციისას.

1977 წელს მიღებულმა ორმა დამატებითმა ოქმმა, მათ შორის, „არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ (მეორე დამატებითი ოქმი), ჟენევის კონვენციების მოქმედების სფერო გააფართოვა და მათი დებულებები გაავრცელა იმ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებზეც, რომლებსაც ხალხები კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, თავისი ეროვნული თვითგამორკვევისათვის აწარმოებენ. მეორე დამატებითი ოქმი აგრეთვე, მოქმედებს სახელმწიფოში არსებულ შიდა არეულობათა შემთხვევებში.

შეიარაღებულ კონფლიქტებში მხარეების მიერ მსხვერპლ ბავშვთა დაცვის ვალდებულებას ადგენს ჟენევის კონვენცია IV და 1977 წელს მიღებული მისი ორი დამატებითი ოქმი, რომლებიც ეხება საერთაშორისო ან არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას.

რ

რაციონალიზაცია (Rationalization) – ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი, რომლის დროსაც ადამიანი იყენებს მხოლოდ იმ ინფორმაციას და აკეთებს მხოლოდ იმ-დაგვარ დასკვნებს, რომელიც მას და მის ქცევას დადებითად წარმოაჩენს ანუ ეს არის რაციონალური ახსნის მოძებნა ქცევის გასამართლებლად.

რბილი სამართალი (Soft Law) – საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი ტერმინი, რომლითაც აღინიშნება სარეკომენდაციო ხასიათის ნორმები. რს-ის ნორმები განსაზღრავს არა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს, არამედ თანამშრომლობის საერთო მიმართულებას და საჭიროებს მომავალში დაკონკრეტებას ან განსაკუთრებულ იმპლემენტაციას.

როგორც წესი, რბილი სამართლის ნორმებს განეკუთვნება საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები, რომლებიც პოლიტიკური და მორალური ხასიათისაა, მათ საფუძველზე მომავალში შეიძლება შეიქმნას სავალდებულო ხასიათის ნორმები, რომლებითაც ხდება ახალი ქცევის წესების ჩამოყალიბება. მართალია, რბილი სამართლის ნორმები მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლის დამხმარე წყაროებს, მაგრამ სამართალგამოყენებითი პრაქტიკა ფართოდ იყენებს მათ.

სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები სხვადასხვა დასახელებით გვხვდება. ეს შეიძლება იყოს: რეზოლუცია (როგორც ცნობილია **გაეროს** წესდების მე-10 მუხლის მიხედვით, **გაეროს** გენერალური ასამბლეის რეზოლუციებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე შიდასაორგანიზაციო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხებს ეხება); დეკლარაცია, რომლითაც დგინდება ქცევის ახალი წესი (მაგალითად, გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია ახალი ეკონომიკური მართლწესრიგის დადგენის შესახებ); სპეციალური საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების სფეროში სახელმწიფოთა ქცევის კოდექსი, სახელმწიფოთა თანამშრომლობის კონკრეტული სფეროს განვითარების პროგრამები.

რბილი სამართლის ნორმების შესრულებას დიდი ყურადღება ექცევა ეკონომიკური ხასიათის ორგანიზაციებში (მსოფლიო სავალუტო ფონდი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია). ასეთი ტიპის ორგანიზაციებში რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, როგორც წესი, გამოიყენება სანქცია წევრი სახელმწიფოს მიმართ არა რეკომენდაციას შეუსრულებლობის, არამედ წესების საფუძველზე აღებული ვალდებულებების დარღვევისათვის.

რეაქტიულობა (Reactivity) – ორგანიზმის მთლიანობითი რეაგირება ანუ პასუხი გარემო გამღიზიანებელზე.

რეგრესია (Regression) – დაცვის მექანიზმი, რომელიც კონფლიქტისას ან შფოთვისას სიტუაციასთან ფსიქოლოგიური მორგების ფორმას წარმოადგენს, როდესაც ადამიანი გაუთვითცნობიერებლად ბრუნდება ბავშვობაში და მიმართავს ქცევის უფრო ადრინდელ, უმწიფარ და ნაკლებად ადეკვატურ მოდელს, რომელიც ადამიანის აზრით, მისი უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენს.

რეინტეგრაცია (Reintegration) – სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებული ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან (მზრუნველთან) საცხოვრებ-

ლად დაბრუნება. სოციალური დახმარების შესახებ კანონის თანახმად, ოჯახს უფლება აქვს მოითხოვოს რეინტეგრაციის შემწეობა. რეინტეგრაციის შემწეობა არის ფულადი სოციალური დახმარება, რომელიც მიეცემა სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირის ბიოლოგიურ ოჯახს, მეურვეს (მზრუნველს), რომელიც ამ პირს სპეციალიზებული დაწესებულებიდან გაიყვანს ოჯახურ გარემოში საცხოვრებლად და გაუწევს მას სათანადო მზრუნველობას. რეინტეგრაციის მიზნით, არაფულადი სოციალური დახმარება შეიძლება გაეწიოს აგრეთვე, ბავშვს ან/და მის ოჯახს, როდესაც ოჯახში არსებული მდგომარეობა ბავშვის მზრუნველობამოკლებულად ცნობის დასაბუთებული წინაპირობაა ან მზრუნველობამოკლებულ ბავშვს მისი ოჯახურ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყოფად. რეინტეგრაციის შემწეობის მიღებისას, ბიოლოგიური ოჯახის მოვალეობები განისაზღვრება სახელმწიფოსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლის საფუძველზედაც, ეს ოჯახი იღებს ვალდებულებას, დაიცვას ბავშვის უფლებები და გაუწიოს მას სათანადო მზრუნველობა. რეინტეგრაციის შემწეობის მიღებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბიოლოგიური ოჯახი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კარგავს ამ კანონით განსაზღვრული ფულადი სოციალური დახმარების მიღების უფლებას, ხოლო რეინტეგრირებული ბავშვის საკითხი წყდება ბავშვის ინტერესების უპირატესი დაცვით.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია (Re-socialization/rehabilitation) – არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

რეფერირება (Referral) – ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენისას, რეფერირებაში ჩართული ყველა სუბიექტი ვალდებულია ადგილზე გაანალიზოს შემთხვევა და რეაგირება მოახდინოს. ბავშვზე ძალადობის ეჭვის წყარო შეიძლება იყოს: ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სილურჯეები, ახალი ჭრილობები, ახალი ნაკაწრები, ახალი იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები); ბავშვის საეჭვო ქცევა (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სკოლაში სიარული, არარეგულარულად დადის სკოლაში, არ სწავლობს, მოუვლელია, არ უნდა სახლში დაბრუნება, ასაკის შეუფერებლად სექსუალურია, აქვს სექსის შესახებ ასაკისათვის შეუფერებელი ცოდნა, რადიკალურად შეეცვლა ხასიათი, ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს).

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს: ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას, ბავშვის მდგომარეობის შეფასებას, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას უსაფრთხო გარემოში და ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“.

რიგიდობა (Rigidivity) – მოუქნელობა, სიტლანქე, სიჯიუტე, მზაობის არქონა ნებისმიერი ცვლილების მიმართ. ფსიქო-

ლოგიაში გამოიყოფა კოგნიტური, მოტივაციური და აფექტური რიგიდობა.

- კოგნიტური რიგიდობა გულისხმობს მზაობის უქონლობას, შეიქმნას გარემოს ახალი კონცეპტუალური სურათი, რომელიც ეწინააღდეგება გარემოს ძველ სურათს.
- მოტივაციური რიგიდობა გულისხმობს მზაობის უქონლობას ახალი მოტივების მისაღებად.
- აფექტის რიგიდობა გულისხმობს სხვადასხვა მოვლენებისთვის ახალი ემოციური შეფასების მიცემის მზაობის უქონლობას.

ს

სათანადო სასამართლო პროცესი (Due judicial process) – პიროვნების უფლების დაცვა კანონით და სხვა სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ სისხლისამართლებრივი პროცესის ყველა ეტაპზე ან სამოქალაქო პროცესში ყველა მონაწილე მხარისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება. როგორც წესი, სსპ მოიცავს პიროვნების უფლებას – ჰყავდეს დამცველი, ინფორმირებულ იყოს საქმის სასამართლო განხილვის დაწყების თარიღის შესახებ, დროულად მოემზადოს დაცვისათვის, დაკითხოს მოწმეები, მოსმენილ იქნას დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებათა შესახებ აცხადებს, „ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“ (მე-14 მუხ.). ამავე მუხლში დეტალურად არის ჩამოთვლილი პირის უფლებები ამ სფეროში. ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანალოგიურ დებულებებს შეიცავს (მე-6 მუხლი).

სათანადო ცხოვრების სტანდარტის უფლება (Right to an adequate standard of living) – ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლმა განამტკიცა ეს უფლება ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი მოთხოვნით: იგი ითვალისწინებს უფლებას ცხოვრების პირობების განგრძობად გაუმჯობესებაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავს ასევე, მნიშვნელოვან დებულებას – წევრი სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის ძირითად უფლებას – არ განიცდიდეს შიმშილს.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით, ბავშვის საცხოვრებელი პირობები უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ, სათანადო; ისინი ხელსაყრელი უნდა იყოს ბავშვის სრული და ჰარმონიული განვითარებისთვის. აქ საუბარია არა მხოლოდ მატერიალურ სიკეთეებზე (საცხოვრებელი ადგილი, საკვები და ტანსაცმელი), არამედ იგულისხმება ბავშვის ფსიქოლოგი-

ური და სოციალური განვითარებაც, რაც პირდაპირ კავშირშია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 31-ე მუხლთან. ბავშვის სათანადო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პირველადი ვალდებულება აკისრიათ მშობლებს ან მასზე პასუხისმგებელ სხვა პირებს. აღნიშნული გამომდინარეობს კონვენციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული მშობლების ზოგადი ვალდებულებიდან, აღზარდონ და განავითარონ შვილები, და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ოჯახურ ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევისგან. თუმცა, მე-2 პუნქტი აღიარებს არსებულ სინამდვილეს, რომ პასუხისმგებელი პირების ფინანსური მდგომარეობა ხშირად ზღუდავს მათ შესაძლებლობას, სათანადოდ მოუარონ საკუთარ შვილებს. შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოებს აკისრიათ მეორადი, კომპლემენტარული ვალდებულება, რომ უზრუნველყონ ბავშვებისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობები. ეს სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულების – სათანადო დახმარება გაუწიონ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს მათი მოვალეობის შესრულებაში, აღზარდონ ბავშვი, კონკრეტული გამოხატულებაა.

საკონსულო დახმარების მიღების უფლება (Right to consular assistance) – კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ისარგებლოს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით. თუ დაკავებული **არასრულწლოვანი** ან დაპატიმრებული **არასრულწლოვანი** უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მისი დაკავების ან დაპატიმრების შესახებ უმოკლეს ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში, არასრულწლოვნის დაკითხვამდე უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. არასრულწლოვნის დაკავების ან დაპატიმრების თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყონებლივ ატყობინებს შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

თუ **არასრულწლოვანი** იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება არ აქვს ან იგი საერთაშორისო დაცვის მქონე პირი ან მოქალაქეობის არმქონე პირია, მას საშუალება უნდა მიეცეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით დაუკავშირდეს იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომელიც მის ინტერესებს იცავს ან ნებისმიერ ადგილობრივ ან საერთოშორისო ორგანიზაციას, რომლის ამოცანაც არის ასეთი არასრულწლოვნის დაცვა.

სამართლიანი სასამართლოს გარანტიები (Fair Trial Guarantees) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-40 (2) მუხლში ჩამოთვლილია უფლებები და გარანტიები, რომელთა მიზანი სისხლის სამართლის დარღვევაში ბრალდებული ან მსჯავრდებული ბავშის მიერ სათანადო მოპყრობითა და სამართლიანი სასამართლოთი სარგებლობის გარანტირებაა. ამ გარანტიების უმრავლესობა ასევე, დადგენილია „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლით. კონვენციები მინიმალურ სტანდარტს ადგენენ და იგულისხმება, რომ მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ და სასურველია, შემოიღონ უფრო მაღალი სტანდარტი, მაგალითად, სამართლებრივ დახმარებასთან დაკავშირებით და სასამართლო პროცესში ბავშვისა და მისი მშობლის მონაწილეობასთან დაკავშირებით.

სამართლის უზენაესობა (Rule of Law) – თანამედროვე დემოკრატიის პრინციპები ეყრდნობა ადამიანის უფლებათა წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს, რომლებიც აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და რომელთა დაცვა და ცხოვრებაში გატარება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობაა.

„ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-40 მუხლი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების ვალებულებას, არც ერთი ბავშვი არ ჩაითვალოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, არ ედებოდეს ბრალი და არ აღიარონ ბრალეულად მის დარღვევაში მოქმედების ან უმოქმედების მიზეზით, რომლებიც არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით, მისი ჩადენის დროს.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები (Civil and Political Rights) – ადამიანის უფლებათა პირველ თაობას (ე. წ. ნეგატიურ უფლებებს) მიეკუთვნება ის უფლებები, რომლებიც ტრადიციული ლიბერალური ფასეულობებიდან გამომდინარეობს და რომლებიც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული რევოლუციების განხორციელების პროცესში.

პირველ თაობას მიეკუთვნება სამოქალაქო (პირადი) და პოლიტიკური უფლებები. ეს უფლებები გამოხატავს „ნეგატიურ თავისუფლებას" – სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიზღუდოს ადამიანის პირადი თავისუფლების სფეროში და შეუქმნას პირობები, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოლიტიკური უფლებების მინიჭება აუცილებელი წინაპირობაა სხვა უფლებების არსებობისათვის, ვინაიდან სწორად ისინი ქმნიან დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველს, ხოლო პირადი უფლებების მიზანია, უზრუნველყოს ადამიანის ავტონომიურობა.

ამ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება: სიცოცხლის უფლება, აზრის, რწმენისა და სინდისის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა, უფლება სამართლიან სასამართლოზე, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება და სხვა.

საერთაშორისო ხელშეკრულება (Internation treaty) – ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან სხვა სუბიექტების შეთანხმება უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ასეთ შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს კონვენცია, პაქტი, ოქმი, ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვ. მაგრამ მიუხედავად სახელწოდებისა, მათი იურიდიული ძალა თანაბარია. საერთაშორისო ჩვეულებისგან განსხვავებით, ხელშეკრულებას წერილობითი ფორმა აქვს და მკაფიოდ ასახავს მხარეთა პოზიციას. საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს „თვითშესრულებადი" და „არათვითშესრულებადი" ნორმები. „თვითშესრულებად" ნორმად ითვლება ისეთი ნორმა, რომლის შინაარსი იმდენად კონკრეტულად არის ფორმულირებული, რომ შესაძლებელია იგი უშუალოდ გამოიყენოს სასამართლომ ან სხვა ორგანომ. „არათვითშესრულებადია" ნორმა, რომლის გამოსაყენებლად სასამართლოს ან სხვა ორგანოს დასჭირდება სახელმწიფოსგან მიიღოს დამაზუსტებელი ნორმატიული აქტი. „თვითშესრულებადი" და „არათვითშესრულებადი" ნორმების საკითხი დგება მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებას შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილად აღიარებენ. ამასთან, ეს სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობით დგინდება, საერთაშორისო ხელშეკრულების რომელი ნორმაა „თვითშესრულე-

ბადი“, ხოლო რომელი – „არათვითშესრულებადი“.

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია. საერთაშორისო ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან ხდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი, რომელიც შეიძლება უშუალოდ იქნას გამოყენებული როგორც ქვეყნის სამართლის წყარო, თუ მისი დებულებები საამისოდ საკმარისად კონკრეტულია.

საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპი (The principle of preferential consideration of the best interest) – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხ. 1198.1) თანახმად, მშობლები უფლებამოსილნი და ვალდებულნი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის.

საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირთან ქორწინების ბათილობა (Invalidity of marriage contract with a person not attained minimum age of marriage) – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, იმ პირთან ქორწინება, რომელსაც საქორწინო ასაკისათვის არ მიუღწევია და არც საქორწინო ასაკი ჰქონია შემცირებული, შეიძლება ცნობილ იქნას ბათილად, თუ ამას მოითხოვს იმ მეუღლის ინტერესები, რომელიც დაქორწინდა საქორწინო ასაკის მიღწევამდე. ამ საფუძვლით ქორწინების ბათილად ცნობის მოთხოვნის უფლება აქვს არასრულწლოვან მეუღლეს, მის მშობლებს ან მეურვეს (მზრუნველს), აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

თუ საქმის განხილვის მომენტისათვის არასრულწლოვანმა მეუღლემ საქორწინო ასაკს მიაღწია ან ორსულადაა, მაშინ ქორწინება შეიძლება ცნობილ იქნას ბათილად, მხოლოდ მისი მოთხოვნით.

სახელის ქონისა და დაბადების რეესტრში რეგისტრირების უფლება (The right to a name and birth registration) – სახელის ქონისა და დაბადებისას რეგისტრაციის უფლება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში გათვალისწინებული არ არის. თუმცა, იგი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 24 (3) მუხლშია მოცემული: „ყველა ბავშვი დაბადებისთანავე უნდა დარეგისტრირდეს და სახელი უნდა ჰქონდეს“. მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახის წევრთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად: „მიგრანტი მუშის ყველა შვილს უნდა ჰქონდეს სახელის, დაბადებისას რეგისტრაციისა და მოაქალაქეობის უფლება“. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-18 (2) მუხლშია მოცემული, რომლის თანახმად: „შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები დაბადებისთანავე უნდა დარეგისტრირდნენ და მათ დაბადებიდანვე უნდა ჰქონდეთ სახელის ქონის უფლება, მოქალაქეობის შეძენის უფლება, და შესაძლებლობების ფარ-

გლებში, უფლება, იცოდნენ, ვინ არიან მათი მშობლება და მათ მზრუნველობაში ყოფნის უფლება". მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი ადგენს სახელის ქონისა და დაბადების რეგისტრაციის უფლებას, ისე როგორც სახელმწიფოთა ვალდებულებას, რომ ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა შექმნან. მაგალითად, **ადამიანის უფლებათა კომიტეტის,** სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ზოგადი კომენტარის №17 (24-ე მუხლი) მიხედვით: „ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ვალდებულების მთავარი მიზანი ბავშვების მოტაცების, გაყიდვის, **ტრეფიკინგის** ან პაქტით გარანტირებული სხვა უფლების განხორციელებასთან შეუსაბამო სხვაგვარი მოპყრობის საფრთხის შემცირებაა. პაქტის ხელშემკვრელი სახელმწიფოების ანგარიშებში დეტალურად უნდა იყოს მითითებული ის ღონისძიებები, რომლებიც მათ ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვების დაუყონებლივ რეგისტრაციას უზრუნველყოფს".

„ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით, ბავშვი რეგისტრირდება დაბადებისთანავე და დაბადების მომენტიდან აქვს სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (მუხლი 17) მიხედვით, ყველა ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისთვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 32), საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. **არასრულწლოვანი** პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ან მოქალაქეობის შეცვლის საკითხს არეგულირებს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი.

სენსომოტორული (Sensomotor) – აზროვნების ტიპი, რომელიც სენსორულ (გრძნობიერ) და მოტორულ აქტივობას მოიცავს და რომელიც ჩვილისათვის 18 თვემდეა დამახასითებელი.

სექსუალური ექსპლოატაციისაგან დაცვის უფლება (Right to be protected from all forms of sexual exploitation) – ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული ყველა ფორმის სექსუალური ექსპლოატაციისაგან და სექსუალური ცდუნებისაგან. ბავშვის უფლებების კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიებები რათა აღკვეთონ: ა) ბავშვის დაყოლიება ან იძულება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ საქმიანობაზე; ბ) ბავშვების გამოყენება ექსპლოატაციის მიზნით პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში და გ) ბავშვების გამოყენება ექსპლოატაციის მიზნით პორნოგრაფიაში და პორნოგრაფიულ მასალებში.

სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი (Child victim of sexual exploitation and or abuse) – მსხვერპლი არის პირი, რომელსაც ავნეს, მიაყენეს სხვადასხვა სახის ზიანი, მოკლეს დანაშაულის, ინციდენტის ან სხვა ქმედების ან ღონისძიების შედეგად.

2007 წლის ლანზაროტეს კონვენციის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტი განმარტავს „მსხვერპლს", როგორც: „ნებისმიერი ბავშვი, რომელიც გახდა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი". აღსანიშნავია, რომ „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენცია, ასევე მისი ფაკულტატური ოქმი „ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შე-

სახებ“ არ განმარტავს ტერმინს.

2005 წლის **გაეროს** პრინციპები დანაშაულის მსხვერპლი და დანაშაულის მოწმე ბავშვების მიმართ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით განმარტავს, როგორც 18 წლამდე ბავშვს ან მოზარდს, რომელიც არის მსხვერპლი მიუხედავად მისი როლისა დანაშაულში ან პროსტიტუციაში, ბრალდებული დამნაშავეების ან დამნაშავეთა ჯგუფში.

სექსუალური შინაარსის შემცველი თვითდამუშავებული (ბავშვების მიერ საკუთარ თავზე შექმნილი) მასალები (Self-generated sexual content material) – ბავშვებმა და 18 წლამდე მოზარდებმა შესაძლებელია გადაიღონ კომპრომისული ფოტოები ან ვიდეოები თავისთვის, აღნიშნული ქმედება არ არის იმთავითვე აუცილებლად არაკანონიერი ან სოციალურად მიუღებელი, მაგრამ არსებობს მათი ონლაინ ან ინტერნეტ კავშირის გარეშე გავრცელების რისკი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას თანხმობის/სარგებლის გამოსაძალად.

ტერმინები – „თვითწარმოება“ ან „თვითმართვა“ ტერმინისგან „იძულება“ - განსხვავებით, შესაძლებელია პოტენციური რისკის მატარებელი იყოს, სადაც შეიძლება მოიაზრებოდეს ბავშვის დადანაშაულება იმ შედეგისთვის, რაც მოჰყვა მისი ფოტოების ან სხვა მასალის გავრცელებას. ბავშვის (კერძოდ კი, მოზარდის) მიერ სექსუალური მასალის ნებაყოფლობით შექმნა არ ნიშნავს მათ თანხმობას ან მათზე პასუხისმგებლობის დაკისრებას ფოტოების ექსპლოატაციის, შეურაცხმყოფელი მიზნით გამოყენებისთვის, ან/და მათ გავრცელებაზე. ამგვარად, დაუშვებელია ბავშვებს დაეკისროთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მასალის შექმნისა თუ ხელმისაწვდომი განთავსებისთვის.

უფრო მეტიც, როდესაც მასალა ბავშვის მიერ არის შექმნილი (ხშირად მოიხსენიება როგორც „მოზარდების მიერ შექმნილი“) და სურათში არ ჩანს სრულწლოვანი, შექმნის მიღმა არსებული მიზეზების (მაგალითად, პოტენციური ძალადობა ან მანიპულირება) გამოკვლევა ზოგიერთ შემთხვევაში, უგულებელყოფილია. ბავშვთა უფლებების დამცველთა და სამართალდამცველთა გამოცდილებიდან იკვეთება, რომ აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და შესაძლებელია სხვა პირი კარნახობდეს/მიუთითებდეს ბავშვს სექსუალური ხასიათის მოქმედების შესრულებას. ყველაზე გავრცელებულ მსგავს შემთხვევებში, საქმე ეხება ხოლმე ახალგაზრდა მომხმარებლებს. აქედან გამომდინარე, ტერმინის „თვითწარმოება“ გამოყენებისას, საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ შესაძლებელია დავადანაშაულოთ ბავშვი ირიბად ან უნებლიედ იმ ფოტო-სურათების შექმნისთვის, რომელიც მის ნება-სურვილის არ წარმოადგენდა. ამასთან, ბავშვის მიერ სექსუალური შინაარსის მასალის შექმნისას, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ის შესაძლებელია იყოს სხვა ბავშვის ან სრულწლოვანის მხრიდან ძალადობრივი ან შეურაცხმყოფელი ურთიერთობის შედეგი.

დამატებით, მნიშვნელოვანია განვასხვავოთ, რომ რომანტიკული ურთიერთობის ფარგლებში, თინეიჯერების ნებით შექმნილი სექსუალური ხასიათის მასალა, ბავშვის მონაწილეობით შექმნილი სექსუალური ხასიათის მასალისგან, რაც **ექსპლოატაციად** განისაზღვრება, არ არის მსგავსი. თუმცა, რიგ შემთხვევებში, მასალის თვითწარმოება მიიჩნევა და მოიხსენიება, როგორც „არაკანონიერი მასალა“. უფრო მეტიც, არსებობს საქმეები, სადაც ბავშვს დაეკისრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, მისთვის ნაცნობი პიროვნებისთვის (მაგალითად, მეგობარი ბიჭი/მეგობარი გოგო) სექსუა-

ლური ხასიათის ფოტოს გაგზავნის გამო.

ტერმინთან „თვითწარმოებული მასალასთან“ დაკავშირებით, ხშირად ფოტოსურათის ან მასალის სახის განსასაზღვრად, დამატებით ვხვდებით ტერმინს „უხამსი“. წამყვანი ინგლისური ლექსიკონების მიხედვით, „უხამსი“ ნიშნავს „მორალურად შეუარცხმყოფელ ქმედებას, რადგან მოიცავს სექსუალურ ურთიერთობას ან სიშიშვლეს“. ტერმინის – „უხამსი“ გამოყენებისას, როდესაც ვსაუბრობთ მოზარდების მიერ შექმნილ მასალაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ის ნაკლებად ეხება ობიექტურ კრიტერიუმს, თუ როდის ან რატომ არის რაიმე უხამსი ან ვინ ადგენს, რომ ქმედება მორალურად შეურაცხმყოფელია თუ არა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმჯობესია არ გამოვიყენოთ ტერმინი „უხამსი„, რადგან მისი განსაზღვრა ობიექტურად ძნელია. ალტერნატიულად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტერმინი „სექსუალური“ ან „სექსუალური ხასიათის“.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი სექსუალური მოძალადე (Juvenile sex offender) –ტერმინში „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული **არასრულწლოვანი** სექსუალური მოძალადე“ მოიაზრება 18 წელს მიუღწეველი პირი, რომელიც ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გასამართლდეს და დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მართლმსაჯულების სისტემის მთავარ გამოწვევას ყველა საქმეში წარმოადგენს, მიიღოს არასრულწლოვან სექსუალურ მოძალადესთან მიმართებით, მისი უფლებების სრულად დაცვის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები. კერძოდ, ყურადსაღებია დანაშაულის გარემოებები: ასაკი, მომწიფება და მოძალადის მდგომარეობა, მსხვერპლის ასაკი და სექსუალური ხასიათის დანაშაულის სიმძიმე.

სიკვდილით დასჯის აკრძალვა (Prohibiton of death penalty) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია (მუხლი 37), აგრეთვე, გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი (მუხლი 6(5)) ხაზს უსვამს საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც, სიკვდილით დასჯა არ შეიძლება შეეხოს პირს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო 18 წელზე ნაკლები ასაკის.

სიტუაციური დამნაშავე (Situational Exploiter) – ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ორივე სქესის სრულწლოვანი პირები, რომელთაც ბავშვებზე ფოკუსირებული სექსუალური ინტერესი როგორც ასეთი, არ გააჩნიათ, მაგრამ უარს არ ამბობენ არასრულწლოვანთან სექსუალურ კონტაქტზე, თუკი ეს სიტუაციურად შესაძლებელი ხდება. კერძოდ, თუ:

- არასრულწლოვნები მათთვის სექსუალური თვალსაზრისით მიმზიდველად გამოიყურებიან (მაგალითად, ნაადრევად მომწიფებული გოგონები გამოხატული ფორმებით);
- არასრულწლოვანთა აქსელერაციის გამო, სიტუაციურ ექსპლუატატორებს ისინი სრულწლოვანები ჰგონიათ;
- სხვადასხვა მიზეზთა გამო (მოცემულ გარემოში სრულწლოვან პარტნიორთა არარსებობა, არასრულწლოვან პროსტიტუტთა განსაკუთრებული მისაწვდომობა ფინანსური თვალსაზრისით და ა. შ.) არასრულწლოვნები სექსუალური სურვილების დაკმაყოფილების ერთადერთ ობიექტს წარმოადგენენ.
- „სექსუალური ექსპერიმენტის“ მიზნით.

პედოფილებისა და ბავშვთა პრეფერენციალური ექსპლოატატორებისგან განსხვავებით, სიტუაციური ექსპლოატატორები არასოდეს განზრახ და წინასწარ არ ეძებენ ბავშვთან კონტაქტს და ხშირ შემთხვევაში, მათთვის უბრალოდ სულერთია, სექსუალური პარტნიორი 14 წლის იქნება თუ 24 წლის. შესაბამისად, ეს ყველაზე ნაკლებად „პერვერსიული" ტიპია ჩვენს მიერ მოტანილ სამ კატეგორიას შორის.

სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება (The right to life, survival and development) – „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის მე-6 მუხლი ადგენს, რომ „ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუვალი უფლება". აღნიშნული გულისხმობს, რომ ბავშვის სიცოცხლე მისი დაბადების მომენტიდან დაცული უნდა იყოს. სიცოცხლის ეს თანდაყოლილი უფლება, რომელიც ღირსების ცნებას მოიცავს, ბავშვის აღიარებული უფლებების საფუძველია. შესაბამისად, ეს მუხლი ბავშვის უფლებების კონვენციით დადგენილ ერთ-ერთ ძირითად აკრძალვას – სიკვდილით დასჯის აბსოლუტურ აკრძალვას ამართლებს. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი აკონკრეტებს, რომ სახელმწიფოებმა ბავშვის გადარჩენა და განვითარება მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ. გადარჩენა ორ განსხვავებულ სიტუაციას მოიცავს, რომლებიც შედეგობრივად მაინც ერთმანეთის მსგავსია. პირველი კატაკლიზმების, კონკრეტულად კი, ისეთი ბუნებრივი კატასტროფების შედეგია, როგორიცაა: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი, ვულკანის ამოფრქვევა და დამანგრეველი მოვლენები, რომლებთან გამკლავება ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. მეორე მდგომარეობა განსაკუთრებულ დაძაბულობას, რეგულარულ სამხედრო შენაერთებს ან არაოფიციალურ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის შეიარაღებულ კონფლიქტს, შიმშილობას, ქრონიკულად ცუდ კვებას, სიღარიბეს ან განსაკუთრებულ სიღარიბეს მოიცავს. მეორე კატეგორიის სიტუაციისთვის, რომლის მასშტაბი ხშირად განუზომელია და რომელიც მათ მსხვერპლებს განუზომელ ტანჯვას აყენებს, სახელმწიფოები, შეიძლება გარკვეულწილად, პასუხისმგებელნი იყვნენ. ამ ორი ეტაპის სიტუაციების ეფექტი ერთნაირია: ბავშვებს საკუთარი უფლებებით სარგებლობისთვის განუსაზღვრელად დიდი სირთულეები ექმნებათ. ამგვარ შემთხვევებში, პრიორიტეტი მათი სიცოცხლის გადარჩენას უნდა მიენიჭოს.

კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტი ასევე, მოიცავს ტერმინს „განვითარება" და შესაბამისად, ცალსახად მიუთითებს, რომ ბავშვს, რომელიც ცოცხალია და ზოგჯერ ძლივს ახერხებს თავის გადარჩენას, ჰარმონიული განვითარების უფლება აქვს. ტერმინი მოიცავს „ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას".

სომნამბულიზმი (Somnambulism) – ტრანსის ან მძინარე მდგომარეობაში სიარული ან სხვა მოქმედების განხორციელება. ძილში სიარული ზოგჯერ ეპილეფსიით, ბიპოლარული აშლილობით და სხვა ნევროლოგიური დარღვევებით არის გამოწვეული, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, ეს მდგომარეობა გარდამავალია და გაურკვეველი მიზეზებით არის პროვოცირებული.

სოციალური უზრუნველყოფის სიკეთეებით სარგებლობის უფლება (Right to benefit from social security) – ყველა ბავშვს აქვს უფლება ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის სიკეთეებით მათ შორის, სოციალური დაზღვევით. სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ საჭირო ღონისძიებებს ამ უფლების სრული განხორციელების მისაღწევად, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამი-

სად. ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა გათვალისწინებულია „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 26-ე მუხლით.

სოციალური დაცვის საჯარო ან კერძო დაწესებულებები (Public or Private institutions of Social Security) – გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** №14 ზოგადი კომენტარის (ბავშვის უფლების შესახებ, მის საუკეთესო ინტერესს დაეთმოს უპირველესი ყურადღება) მიხედვით, აღნიშნული ტერმინები არ უნდა განიმარტოს და არ უნდა შემოიფარგლოს სოციალური ინსტიტუციების ვიწრო გაგებით. ისინი უნდა განიმარტოს როგორც ყველა დაწესებულება, რომლის საქმიანობა და გადაწყვეტილებები გავლენას ახდენენ ბავშვებზე და მათი უფლებების რეალიზაციაზე. ამგვარი დაწესებულებები მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებულ დაწესებულებებს (მაგალითად, ზრუნვა, ჯანდაცვა, გარემო, განათლება, ბიზნესი, დასვენება და თამაში და სხვ.), არამედ ისეთ დაწესებულებებსაც, რომლებიც მუშაობენ სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში (მაგ. რეგისტრაცია დაბადებისას, ნებისმიერ გარემოში ძალადობისგან დაცვა და სხვ.), სოციალური დაცვის კერძო დაწესებულებები მოიცავს კერძო სექტორის ორგანიზაციებს –კომერციულს და არაკომერციულს, რომლებიც მონაწილეობენ ბავშვების მიერ თვიანთი უფლებებით სარგებლობისათვის უმნიშვნელოვანესი მომსახურებების მიწოდებაში და რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფო სამსახურების სახელით, მათთან ერთად ან მათი ალტერნატივის სახით.

სოციალური მუშაკი (Social worker) – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირი. სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსს, სოციალურ გარანტიებს, ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს აწესრიგებს „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

სოციალური მუშაკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პრევენციული სოციალური მუშაობის ჩატარება. ამ მიზნით, მან უნდა იზრუნოს ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის დაცვაზე, მის კეთილდღეობაზე, განახორციელოს ბენეფიციარის ადვოკატირება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაცია გაუწიოს ბენეფიციარს კრიზისის თავიდან აცილებაში.

სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონი (Law of Georgia on Social work) – განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსს, სოციალურ გარანტიებს, ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, **სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.**

სოციოპათია (Sociopath) – პიროვნული აშლილობა, რომლის დროსაც ადამიანი ავლენს ანტისოციალურ ატიტუდებს და ქცევას. თუმცა, ფსიქოპათიისგან განსხვავებით, ეს ფორმა ნაკლებად მძიმეა და ითვლება, რომ სოციოპათია ყალიბდება სოციალური ფაქტორებისა და გარემოს გავლენით.

სოციალური დახმარების შესახებ კანონი (Law of Social Assistance) – აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახმარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს.

კანონის თანახმად, სპეციალიზებულ დაწესებულებაში, გარდა პანსიონისა, ბავშვის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. ბავშვის მოთავსება დაწესებულებაში ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს თავად მოთავსების მსურველი ან მისი ოჯახის წევრი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო ან სასამართლო. ამასთან კანონის (მუხ. 21 (3)) მიხედვით, რეინტეგრაციის შემწეობის ხელშეკრულების პირობების დარღვევისას, ბიოლოგიური ოჯახი კარგავს ფულადი დახმარების მიღების უფლებას, ხოლო რეინტეგრირებული ბავშვის საკითხი წყდება მისი ინტერესების უპირატესი დაცვით.

სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსება (Placement in a specialized institution) – „სოციალური დახმარების შესახებ“ კანონის თანახმად, სპეციალიზებულ დაწესებულებაში (სადღეღამისო ზრუნვა) ბავშვის მოთავსება ხდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, რომელიც შეიძლება იყოს თავად მოთავსების მსურველი ან მისი ოჯახის წევრი, მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო ან სასამართლო. ბავშვის (მათ შორის, ნაპოვნი ბავშვის) სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო, ხოლო მიუსაფარი ბავშვის განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებია უფლებამოსილი სოციალური მუშაკი. საბჭოს დებულების თანახმად, გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭოს წევრები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, **სოციალური მუშაკის** ან/და სხვა უფლებამოსილი პირების (ფსიქოლოგი, იურისტი) მიერ წარმოდგენილ შეფასებაში (დასკვნაში) მითითებული ინფორმაციითა და რეკომენდაციებით, აგრეთვე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვა მონაცემებით (ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში). თუ წარმოდგენილი მასალები არ არის საკმარისი, საბჭოს უფლება აქვს, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაციის ან/და დოკუმენტების წარმოდგენა.

სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირები (Persons with Special Care Needs) – აღნიშნულ პირებს განეკუთვნებიან: ა) ობოლი და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები; ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; გ) ოჯახის მზრუნველობამოკლებული, თვითმმართველობის შეზღუდული უნარის მქონე სრულწლოვანი; დ) მარჩენალდაკარგული; ე) მიუსაფარი ბავშვი.

სტიგმატიზაცია (Stigmatization) – დაღის დასმა და როგორც წესი, უარყოფითი სოციალური იარლიყის მინიჭება.

სტრესი (Stress) – ფიზიკური, ფსიქიკური ან ემოციური ბუნების ფაქტორი, რომელიც იწვევს სხეულისა და ფსიქიკის დაძაბულობას, შფოთვას, წუხილს, ანუ ორგანიზმის უარყოფით რეაქციას გარემო გამღიზიანებელზე. სტრესი შეიძლება იყოს გარე ფაქტორებით გამოწვეული, როგორიცაა: ფსიქოლოგიური, სოციალური სიტუაციები და შინაგანი, მაგალითად, დაავადება, სამედიცინო პროცედურა.

სტრესოგენური ფაქტორები (Stressogenic factors) – სტრესის გამომწვევი ფაქტორები.

ტ

ტრეფიკინგი (Trafficking) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის შესაბამისი მე-5 მუხლი არ განმარტავს ბავშვების გატაცებას, გაყიდვას ან ტრეფიკინგს. პალერმოს ოქმის მე-3 მუხლი ტრეფიკინგს განმარტავს შემდეგნაირად: „ტრეფიკინგი ნიშნავს ადამიანთა გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეობის ბოროტად გამოყენებით ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, იმ ადამიანთა ექსპლოატაციის მიზნით“. „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმის თანახმად, ბავშვის გაყიდვა არის „ნებისმიერი ქმედება ან ტრანზაქცია, როდესაც ხდება ბავშვის გადაცემა ერთი პირის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მეორესათვის ანაზღაურების ან სხვა სარგებლის სანაცვლოდ“.

მჭიდრო კავშირი არსებობს ბავშვების გაყიდვასა და ტრეფიკინგს შორის. მაგალითად, მშობელმა ან სხვა მეურვემ ბავშვი შეიძლება მიჰყიდოს ტრეფიკინგში ჩართულ პირს ან ერთმა ამგვარმა პირმა – მეორეს ან საბოლოო მყიდველს ან ექსპლოატატორს მიჰყიდოს. თუმცა, ბავშვის გაყიდვა ყოველთვის არ უკავშირდება ტრეფიკინგს. ამასთან, ბავშვის გაყიდვა ყოველთვის არ ხორციელდება ექსპლოატაციის მიზნით. მაგალითად, რომელიმე დაწესებულებამ შეიძლება ბავშვი მიჰყიდოს პირს ან რამდენიმე ადამიანს, რომელთაც სურთ მისი შვილად აყვანა.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს არეგულირებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის კონვენციის ოქმი „ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დასჯად ქმედებად აცხადებს ტრეფიკინგს. ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) ითვლება ადამიანის ყიდვა და გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ხუთიდან თორმეტ წლამდე ვადით. ამავე მუხლის მიხედვით, კოდექსის (143.2 მუხლი) მიზნებისათვის ექსპლუატაციად ჩაითვლება ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის, ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს: მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონოო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ყოფნას, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადექვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

საქართველოს კანონმდებლობით, დასჯად ქმედებად გამოცხადებულია არასრულწლოვანთა ვაჭრობა (ტრეფიკინგი), არასრულწლოვნის ყიდვა და გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა და გადამალვა ან/და მიღება ექსპლუატაციის მიზნით და ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

უ

უარყოფა (Denial) – ფსიქოლოგიაში რეალობის უარყოფა არაცნობიერ პროცესს წარმოადგენს და ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმია, როდესაც ადამიანმა უნდა აღიაროს ფაქტი, რომელიც მისთვის მეტად შემაწუხებელია და მიუღებელი და ამიტომ მასზე უარს ამბობს და დაჟინებით ამტკიცებს, რომ ეს ასე არ არის, მიუხედავად არსებული სამხილისა.

არსებობს:

- *მარტივი უარყოფა:* უსიამოვნო ფაქტის უარყოფა;
- *მინიმიზება:* ფაქტის აღიარება, მაგრამ ამავდროულად, მისი მნიშვნელობის უარყოფა;
- *პროექცია:* ფაქტის და ამ ფაქტის მნიშვნელობის აღიარება, მაგრამ პასუხისმგებლობის სხვაზე გადატანა.

უგულგელყოფა (Neglect) – ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციისათვის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა თუკი მშობელს, სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

უდანაშაულობის პრეზუმფცია (Presumption of innocence) – საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან, არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

უდანაშაულობის პრეზუმფციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება **კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის** უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ბავშვის მიმართ წაყენებული ბრალდებების დამტკიცების პასუხისმგებლობა მთლიანად ბრალდების მხარეს აკისრია. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციით (მუხლი 40 (2) (I)), ბავშვს, რომელმაც სავარაუდოდ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალი ედება მის დარღვევაში, აქვს საკითხის ეჭვქვეშ დაყენების უფლება და წაყენებულ ბრალდებებში მისი დამნაშავედ ცნობა, შესაძლე-

ბელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებების დამტკიცება ხდება გონივრული ეჭვის ფარგლებს მიღმა. ბავშვს აქვს უფლება, მოეპყრონ პრეზუმფიციის შესაბამისად, ხოლო საქმეში მონაწილე ყველა საჯარო პირი ვალდებულია საქმის საბოლოო დასრულებამდე, არ გააკეთოს წინასწარი დასკვნები შედეგების შესახებ. გაეროს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** ზოგადი კომენტარის №10 (მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ) მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა, უნდა უზრუნველყონ ინფორმაცია ბავშვის განვითარების შესახებ, რათა მათი უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება დაცული იყოს. ხშირად შიშის, მოუმწიფებლობის, გაუგებრობის ან სხვა მიზეზების გამო, ბავშვები საეჭვოდ იქცევიან, მაგრამ შესაბამისმა ორგანოებმა არ უნდა ცნონ ბავშვის ბრალეულობა, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები დადასტურებული არ არის გონივრულ ეჭვს მიღმა.

უკიდურესი ზომა (Extreme measure) – მიმართავენ იმ შემთხვევებში, როდესაც არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობის განხილვის შედეგად დადგინდა მათი შეუსაბამობა და არ არსებობს საჭირო დაცვით ბავშვის უზრუნველყოფის სხვა გზა.

უმცირესობის ჯგუფების ან ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი ბავშვები (Children belonging to minority groups or indigenous people) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 30-ე მუხლი აღიარებს იმ ბავშვების უფლებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობების ჯგუფებსა და მკვიდრ მოსახლეობას, რომ ისარგებლონ თავიანთი კულტურით, რელიგიით და აღასრულონ მისი რიტუალები, აგრეთვე ისარგებლონ მშობლიური ენით. თუ ამ მუხლის ძირითადი ელემენტებია კულტურით, რელიგიითა და ენით სარგებლობა, აქ ხაზგასმულია, რომ იგი არ არის შეუზღუდავი და არსებობს აუცილებლობა, რომ მისი განხორციელება მოხდეს ადამიანის უფლებების ჩარჩოში. **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** ზოგადი კომენტარი №8 („ფიზიკური დასჯისგან ან სხვა მკაცრი და ღირსების შემლახველი დასჯისგან ბავშის დაცვის შესახებ“) ითვალისწინებს, რომ „რელიგიისა ან რწმენის წესების დაცვისას უნდა მოხდეს სხვების ადამიანური ღირსებისა და ფიზიკური მთლიანობის პატივისცემა. რელიგიის ან რწმენის აღმსარებლობის თავისუფლება შეიძლება კანონიერად შეიზღუდოს სხვების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 30-ე მუხლი აღიარებს „უფლების“ არსებობასა და მოითხოვს, რომ „არ მოხდეს მისი უარყოფა“. შესაბამისად, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაიცვან ამ უფლების განხორციელება და არ დაუშვან მისი დარღვევა ან მასზე უარის თქმა. ამასთან, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოზიტიური მოვალეობები ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი ბავშვების მიმართ და ვალდებულება, რომ გაატაროს ჯანმრთელობის, კვების, განათლების, რეკრეაციისა და სპორტის, სოციალური მომსახურების, განსახლების, სანიტარიისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება ბავშვის კულტურას.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ 30-ე მუხლი მჭიდროდაა დაკავშირებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლთან. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს: „იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას ეკუთვნიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ

უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ თავიანთი რელიგია და შეასრულონ მისი წესები, აგრეთვე ილაპარაკონ დედა ენაზე". ამ კავშირზე მიუთითებს **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** ზოგადი კომენტარი №11. კერძოდ, 27-ე მუხლი მოიცავს კოლექტიურ და ინდივიდუალურ უფლებებს და აღიარებს, რომ ტრადიციული კოლექტიური ღირებულებებით შეიძლება ისარგებლოს ჯგუფის სხვა წევრმაც. „ბავშის უფლებების შესახებ" კონვენციის 30-ე მუხლი თითქმის მთლიანად იმეორებს პაქტის 27-ე მუხლს, გარდა ფრაზისა, „ადამიანები, რომლებიც მეკუთვნებიან მკვიდრ მოსახლეობას".

2007 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია „ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების შესახებ", რომელიც არის სახელმძღვანელო ძირძველი ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების თაობაზე და სპეციალურად გამოყოფს ასეთი მოსახლეობის წარმომადგენელი ბავშვების უფლებებს. დამატებით, 2009 წელს, ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მიიღო ზოგადი კომენტარი „ძირძველ ადგილობრივ მოსახლეობას კუთვნილი ბავშვებისა და კონვენციის შესაბამისად, მათი უფლებების შესახებ".

ფ

ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისთვის საჭირო ცხოვრების დონე (The right to every child to a standard of living adequate for the child's physical, mental, spiritual, moral and social development) – „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით, მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ თავიანთი შესაძლებლობებისა და ფინანსური საშუალებების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები. სახელმწიფოებს კი, აქვთ ვალდებულება, მიმართონ საჭირო ზომებს, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებს და ბავშვის აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში და, აუცილებლობის შემთხვევაში, მატერიალური დახმარება გაუწიონ და ხელი შეუწყონ პროგრამებს, განსაკუთრებით კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ პროგრამებს.

დამატებით, სახელმწიფოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვი მოსავლელად დაუბრუნდეს მშობლებს ან ბავშვისათვის ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირებს, როგორც მონაწილე სახელმწიფოში, ისე საზღვარგარეთ. კერძოდ, თუ ბავშვისათვის ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, მონაწილე სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთებას ან ასეთ შეთანხმებათა დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამის მორიგებათა დადებას.

ფიზიკური ძალადობა (Physical violence) – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს და ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფობია (Phobia) – სპეციფიკური ობიექტის,

მოვლენისა და სიტუაციის ძლიერი და ირაციონალური, დაუსაბუთებელი შიში.

ფრუსტრაცია (Frustration) – იმედგაცრუება, გულგატეხილობა, რეაქცია არასასურველ გარემო გამღიზიანებელზე.

ფსიქიატრიული დახმარება (Psychiatric aid) – „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს, რომ 16 წლამდე ბავშვის ფსიქიატრიული დახმარება, მათ შორის, მკურნალობა დასაშვებია მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნის ან/და ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე (აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში პაციენტის მონაწილეობა მისი ასაკისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით). აქტიური ბიოლოგიური მეთოდებით (შოკური, კრუნჩხვითი და სხვა) მკურნალობა დასაშვებია კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით, მხოლოდ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის გადაწყვეტილებით. ექიმ-ფსიქიატრს უფლება აქვს სტაციონარში მყოფი პაციენტის მიმართ გამოიყენოს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდები, თუ არსებობს პაციენტის მიერ საკუთარი თავის ან სხვისი დაზიანების საფრთხე და ამ საფრთხის აცილება სხვაგვარად შეუძლებელია. ფიზიკური შეზღუდვა მოიცავს სპეციალიზებულ პალატაში იზოლაციას ან/და ფიზიკურ შებოჭვას.

ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობა (Psychosocial violence) – შეურაცხყოფა, შანტაჟი, მუქარა, დამცირება ან სხვა ისეთი მოქმედება მათ შორის, ოჯახის წევრის მიერ/მიმართ, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას, დაშინებას და ძლიერ ემოციურ სტრესს.

ფსიქიკური რიგიდობა (Mental Rigidivity) – პათოფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომლის დროსაც ვერ ხერხდება ფსიქიკური პროცესების გადართვა ან მორგება გარემოს მოთხოვნებთან. ამ დროს ფსიქიკური პროცესები, როგორიცაა აზროვნება, მეტყველება, განწყობა და ა. შ. გამოირჩევა ინერტულობით, რაც ართულებს გარემოსთან ფსიქიკის ადაპტაციას.

ფსიქოანალიზი (Psychoanalysis) – არაცნობიერი მოტივების და კონფლიქტების საკვლევი ინტენსიური და ხანგრძლივად მიმდინარე ფსიქოტექნიკა.

ფსიქოზი (Psychosis) – მწვავე ფსიქიკური დაავადება, როდესაც ინდივიდი რეალობასთან კარგავს კონტაქტს და მისი სააზროვნო და ემოციური უნარები დაზიანებულია.

ფსიქოპათია (Psychopathy) – პიროვნული აშლილობა, რომელსაც ხშირად თან სდევს კრიმინალური ქცევა, როდესაც ადამიანი არ გრძნობს თავს დამნაშავედ, არც სინანულს განიცდის ჩადენილის გამო და ზოგადად, მიდრეკილია ანტისოციალური და კრიმინალური ქცევისკენ.

ფსიქოსოციალური განვითარება (Psychosocial development) – პიროვნების განვითარება, რომელიც მოიცავს სოციალური განწყობებისა და უნარ-ჩვევების შემუშავებას და გრძელდება ჩვილობიდან მომწიფების ხანამდე.

ფსიქოტრავმა (Psychological trauma) – იგივე ფსიქოლოგიური ტრავმა, რომელიც ტრავმატული გამოცდილების მქონე ინდივიდებს უვითარდებათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრავმაზე რეაგირება ინდივიდუალურია და ტრავმის დაძლევა დაკავშირებულია პიროვნულ მახასიათებლებთან. ფსიქოლოგიური ტრავმა შეიძლება იყოს მსუბუქი, საშუალო სიმძიმის, მძიმე და ძალიან მძიმე.

ქ

ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა (Women and children trade) – საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებანი, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო თანამშრომლობასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში დაიდო მთელი რიგი ხელშეკრულებები, რომლებიც მიმართული იყო ამ დანაშაულებრივ ქმედებათა წინააღმდეგ. „ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირთა მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ" კონვენციაში, რომელიც ხელმოსაწერად 1949 წლის 2 დეკემბერს გაიხსნა, ხოლო ძალაში 1951 წლის 25 ივლისს შევიდა, ჩამოთვლილია ქმედებები, რომელთა ჩადენისათვის კონვენციის მონაწილე მხარეები ვალდებულებას კისრულობენ დასაჯონ დამნაშავე პირები.

ქმედუნარიანობა (Age of Maturity) – სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშვება 18 წლის ასაკიდან. 7 წლამდე ასაკის **არასრულწლოვანი** (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ ითვლება, ხოლო შვიდიდან თვრამეტ წლამდე **არასრულწლოვანი** შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. აღნიშნული რეგულირება ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

თუ **კანონიერი წარმომადგენელი** ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ შეიძლება დაეკისროს 14 წელს მიუღწეველ პირს, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა 16 წელს მიუღწეველ პირს.

ქცევის ბიჰევიორისტული მოდელი (AMBC) – შედგება ოთხი კომპონენტისგან:

1. ქცევისთვის ბიძგის მიმცემი მოვლენა; 2. გონებრივი აქტივობა ანუ როგორ აღიქვა ადამიანმა მოვლენა და როგორი ინტერპრეტაცია ანუ ახსნა მისცა მას; 3. სხეულის რეაქცია, მაგალითად აგრესიული პოზა, თავდაცვის, შიშის გამომხატველი პოზა და ა. შ. 4. შედეგი, ანუ ადამიანის მიერ მოვლენის ინტერპრეტაციის შედეგად განხორციელებული ქცევა. მაგალითად, თუ ადამიანმა ქცევის წინაპირობა აღიქვა და შეაფასა, როგორც **აგრესია** და მუქარა, მან შეიძლება იჩხუბოს, თუ ადამიანმა ქცევის წინაპირობა აღიქვა და შეაფასა, როგორც უნებლიე შეცდომა, მაშინ სავარაუდოდ, ის გაიღიმებს და უარყოფით რეაგირებას არ მოახდენს.

ღ

ღირსება (Dignity) – „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის (მუხლი 40) თანახმად, ბავშვთან მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას. ეს პრინციპი ეხმაურება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლს, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანაბარი უფლებებითა და ღირსებით. ღირსებისა და ადამიანის მნიშვნელობის ეს ფუნდამენტური უფლება, ხაზგასმითაა მოხსენიებული კონვენციის პრეამბულაში, მისი დაცვა აუცილებელია ბავშვთან დაკავშირებული პროცესის მიმდინარეობისას, დაწყებული სამართალდამცავ ორგანოებთან მისი პირველი კონტაქტით და დამთავრებული, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ზომის გატარებით.

ყ

ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა (Priority of applying the most lenient remedies and alternative measures) – არასრულწლოვნის მიმართ, უპირველსად, განიხილება განრიდების ან **აღდგენითი მართლმსაჯულების** ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა **განრიდება** ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (Attention deficit and hyperactivity syndrome) – ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევით გამოწვეული სიმპტომების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს: 1. ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს (უყურადღებობა, დაბნეულობა, გონებაგაფანტულობა); 2. იმპულსურობას (იმპულსური და **ანტისოციალური ქცევის** კონტროლის სირთულე); 3. ჰიპერაქტივობას (მოუსვენრობა, მოძრაობის სიჭარბე, რასაც თან ერთვის აგრესიულობა, დაბალი აკადემიური მოსწრების დონე, სკოლის გაცდენა და ა. შ.).

შ

შეზღუდული ქმედუნარიანობა (Limited Capacity) – საქართველოს სამოქალქო კოდექსის მიხედვით, **არასრულწლოვანი** შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები (Children with disabilities) – 2008 წელს, მაისში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის ძალაში შესვლამდე, „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია იყო ადამიანის უფლებების ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა დებულებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების თაობაზე. იგი ასევე, წარმოადგენდა ადამიანის უფლებების ერთადერთ ხელშეკრულებას, რო-

მელიც კრძალავდა **დისკრიმინაციას** შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა 2007 წელს, შეიმუშავა ზოგადი კომენტარი №9 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე **ბავშვების უფლებების** შესახებ. ზოგად კომენტარში მოცემულია არა მარტო **ბავშვის უფლებათა კომიტეტის** მოსაზრებები კონვენციის მე-2 და 23-ე მუხლებთან მიმართებით, არამედ ასევე, წარმოდგენილია ზოგადი ხასიათის დასკვნები და რეკომენდაციები. კომიტეტი ასევე განიხილავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებების დაცვისა და პატივისცემისთვის კონვენციის სხვადასხვა მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ზოგადი კომენტარი ფაქტობრივად წარმოადგენს კომიტეტის სახელმძღვანელოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებების რეალიზაციის თაობაზე, ოჯახურ გარემოსა და ალტერნატიული ზრუნვის პირობებში, განათლების დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაცვისა და სპეციალური დაცვის ღონისძიებების თაობაზე.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 23-ე მუხლისა და სხვა მუხლების მთავარი მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სრულფასოვან და ღირსეულ ცხოვრებას ეწეოდეს პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ღირსების პატივისცემას, ეხმარება საკუთარი თავის რწმენის ჩანერგვაში და უადვილებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ 23-ე მუხლი იყენებს ტერმინს „მონაწილეობა“. საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობა არ ნიშნავს განყენებულ და აბსტრაქტულ ცნებას, არამედ იგულისხმება, რომ ბავშვს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მის სახლთან ახლოს რეალურ ცხოვრებაში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს აქვს სპეციალური მოვლის მიღების უფლება და მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დახმარება გაუწიონ არა მარტო ბავშვს და მის მშობლებს, არამედ სხვა პირებსაც, რომლებიც ზრუნავენ ბავშვზე, დახმარება უფასო უნდა იყოს, თუ შესაძლებელია. თუმცა, მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ მხედველობაში მიიღონ მშობლების ფინანსური მდგომარეობა და შესაძლებლობის ფარგლებში მოსთხოვონ გარკვეული მომსახურების ანაზღაურება. 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო დახმარების მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს აქვს შესაძლებლობა მიიღოს განათლება, ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება, რეაბილიტაცია და დასაქმებისთვის მომზადება, რათა მოხდეს ბავშვის სოციალური ინტეგრაცია და განვითარება მაქსიმალურად შესაძლებლობის ფარგლებში.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ“ კონვენცია განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების იმპლემენტაციის აუცილებლობას. ამ კონვენციის მე-7 მუხლი ითვალისწინებს, რომ ასეთი ბავშვები, სხვა ბავშვების მსგავსად, სარგებლობენ ადამიანის ყველა უფლებით; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი; ასევე მნიშვნელოვანია, ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა, გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს ასაკის შესაბამისად, მოსაზრების გამოხატვისთვის აუცილებელი საშუალებები უზრუნველყონ. კონვენციის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს არ შეიძლება შეეზღუდოს უფასო და სავალდებუ-

ლო დაწყებითი და საშუალო განათლება. კონვენციის დამატებითი ოქმი ითვალისწინებს გასაჩივრების პროცედურას კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

კონვენციას აქვს დამატებითი ოქმი, რომელიც მიღებულ იქნა 2008 წელს, **გაეროს** გენერალური ასამბლეის A/RES/61/106 რეზოლუციით (დამატებით ოქმს საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 10 ივლისს, თუმცა, რატიფიცირებული არ არის).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (Convention on the Rights of Persons with Disabilities) – გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია მიიღო 2006 წლის 13 დეკემბერს, რომელიც საქართველოში ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს. კონვენციის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა სხვა ბავშვების თანასწორად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

შეურაცხაობა (Mental illness) – შეურაცხაობა სისხლის სამართალში არის ბრალის გამომრიცხველი გარემოება. სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე და 34-ე მუხლების თანახმად, მოქმედი კანონმდებლობა იცნობს შეურაცხაობის ორ შემთხვევას: შეურაცხაობას ასაკის გამო და შეურაცხაობას ფსიქიკური მდგომარეობის გამო. ა) 14 წლის ასაკამდე პირს ბრალად არ შეერაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაშასადამე, პირი ბრალუნარიანი ხდება 14 წლის ასაკიდან და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება ამ დროიდან; ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ ფსიქიკურად დაავადებულ პირს, ვისაც ამ ქმედების ჩადენისას არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობის შინაარსი ან შეეძლო გაეცნობიერებინა, მაგრამ არ ჰქონდა სხვაგვარად მოქმედების უნარი, არ შეერაცხება ბრალად მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აღნიშნულ შემთხვევაში, შეურაცხაობის მიზეზი შეიძლება იყოს: ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა, ფსიქიკური მდგომარეობის დროებითი მოშლილობა ან სხვა ფსიქიკური დაავადება.

შვილად აყვანა (Adoption) – შვილად აყვანა მშობლებისგან განცალკევებული ბავშვის პრობლემის მუდმივ გადაწყვეტად ითვლება. მშვილებელსა და შვილებულს შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვება, რომელიც ბიოლოგიურ მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობას უთანაბრდება. მშობლებს ნაშვილების მიმართ სრული პასუხისმგებლობა აქვთ.

შვილად აყვანას „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მიღებამდე არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება არ ეხებოდა. რეგიონული ხელშეკრულებები მეტ-ნაკლებად არეგულირებდნენ ამ საკითხს, თუმცა მხოლოდ მაშინ, თუ სახელმწიფოთაშორისი გაშვილება პრობლემური ხდებოდა. მოგვიანებით, როდესაც სახელმწიფოთაშორისი გაშვილება მჭიდროდ დაუკავშირდა ბავშვების გაყიდვას, უკანონო გადაადგილებასა და ბავშვის გატაცებას, მკაფიო სტანდარტების ჩამოყალიბება აუცილებელი გახდა.

„ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეო-

ბის შესახებ“ აფრიკული ქარტიის 24-ე მუხლის თანახმად, შვილად აყვანისას ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს ყველაზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ეს დებულება „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 21-ე მუხლს ფაქტობრივად იმეორებს. ორივე ხელშეკრულება სახელმწიფოს ვალდებულებას აკისრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შვილად აყვანას შიდასახელმწიფოებრივი სამართალი აღიარებს, ამასთან, ორივე დებულება შვილად აყვანის სათანადო სახელმწიფო ორგანოს ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებას მოითხოვს. პროცესში ჩართული ყველა მხარის თანხმობა იგულისხმება, თუმცა ტექსტი ბავშვის მოსაზრების პატივისცემის პრინციპს არ მოიცავს.

ბავშვების შვილად აყვანის შესახებ განახლებული ევროპული კონვენცია შვილად აყვანისას უფლებების დაცვის აუცილებლობას აღიარებს და ალტერნატიული ზრუნვის ფორმად შვილად აყვანის შერჩევისას, ბავშვს ცენტრალურ ფიგურად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თვისუფლებების დაცვის ევროპული კონვენცია შვილად აყვანას დამოუკიდებელ უფლებად არ მოიაზრებს, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულმა სასამართლომ შვილად აყვანის საკითხთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე განიხილა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების უფლების კონტექსტში. ინტერ ალია, ბავშვსა და მშვილებლებს შორის ურთიერთობას მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ურთიერთობების მსგავსი ბუნება აქვს (იხ.: საქმე – პინი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ, Pini and Others v. Romania, ECHR 2004).

1993 წელს, საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა ჰააგის კონვენცია ბავშვების დაცვისა და სახელმწიფოთაშორისი გაშვილების საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ. ამ კუთხით, აღნიშნული დოკუმენტი პირველი უნივერსალური ხასიათის ხელშეკრულებაა. კონვენციის მიზანი „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 21-ე მუხლთან ერთად, ბავშვის, ბიოლოგიური მშობლებისა და მშვილებლების დაცვის უზრუნველყოფაა. სხვა სახელმწიფოში გაშვილება ბავშვის უფლებების პატივისცემით, უპირველესად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვით უნდა განხორციელდეს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითმა ოქმმა ბავშვებით „ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, დამატებითი ელემენტები შემოიტანა სახელმწიფოთაშორისი გაშვილების დანაშაულებრივ ნაწილში. მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დანაშაულად გამოაცხადონ ბავშვის გაშვილებაზე არასათანადოდ მოპოვებული თანხმობა, რომელიც შვილად აყვანის შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებს ეწინააღმდეგება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მე-16 თავი), „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს ქვეყნის ტერიტორიაზე შვილად აყვანის საკითხს.

შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონი (Law of Georgia on Adoption and Foster Care) – ადგენს შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესებსა და პირობებს, აწესრიგებს ურთიერთობებს, რომლებიც შვილად აყვანისას/მინდობით აღზრდისას წარმოიშობა სახელმწიფოსა და მშვილებელს/მინდობითაღმზრდელს შორის, აგრეთვე განსაზღვრავს წარმოშობის სახელმწიფოსა და მიმღებ სახელმწიფოს

შორის ურთიერთობებს. კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის უპირატესი უფლების განხორციელებას და ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინებას შვილად აყვანისას და მინდობით აღზრდისა.

შვილობილი (Adopted child) – სახელმწიფოსა და დედობილ-მამობილს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე დედობილ-მამობილისათვის მოსავლელად და აღსაზრდელად გადაცემული ბავშვი.

შფოთვა (Anxiety) – შიშით, ნერვიულობით, დარდით, ნეგატიური მოლოდინით გამოწვეული აშლილობა და ნორმალური ფუნქციონირების დარღვევა. ამგვარი ტიპის აშლილობა ზემოქმედებს ადამიანის განწყობაზე და მის ქცევაზე. მას ხშირად ახლავს ფიზიკური სიმპტომატიკა, როგორიცაა თავის ტკივილი, არტერიული სისხლის წნევის მატება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემები და სხვა. მძიმე აშლილობამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ქმედუნარიანობის დაქვეითება და ამოაგდოს ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმიდან. აუცილებელია ჩვეულებრივი შფოთვითი მდგომარეობისა და შფოთვითი აშლილობის ერთმანეთისგან გარჩევა, რადგან ამ უკასკნელს სამედიცინო ჩარევა და მედიკამენტოზური მკურნალობა სჭირდება.

შვილების წარმოშობის დადგენა (Filiation) – შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

მამის გარდაცვალების შემთხვევაში, ბავშვი დაქორწინებული მშობლისგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს, ათი თვისა.

ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისგან შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით. მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე, თვით ბავშვის განცხადებით, სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (კარი II) არეგულირებს შვილების წარმოშობის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ჩ

ჩანასახი (Embryo) – ლათინურად nasciturus. ჩანასახი არ ფლობს უფლებაუნარიანობას, მაგრამ შესაძებელია, რომ ცალკეულ შემთხვევებში, იგი იყოს სამართლებრივი უფლებებისა და უფლების მოთხოვნის მატარებელი. ასე მაგალითად, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, მაგრამ ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია ბავშვის დაბადებაზე (სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში, სამკვიდროს გაყოფა შესაძლებელია მხოლოდ ჩასახული მემკვიდრის დაბადების შემდეგ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1465-ე მუხლი).

ც

ცენტრალური ორგანო (Central body) – ჰააგის 1980 წლის კონვენციის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალურ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული – საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი.

ძ

ძალადობა ბავშვების მიმართ (Violence against children) – ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, ძალადობა განიმარტება, როგორც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმა, ყველა სახის დაზიანება და ცუდად მოპყრობა, უგულებელყოფა ან უხეშად მოპყრობა თუ **ექსპლოატაცია**, მათ შორის, სექსუალური ძალადობა. ძალადობა ასევე განიმარტება, როგორც ინდივიდის ან ჯგუფის მიერ ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების გამოყენება ან გამოყენების მუქარა განზრახ, რომლის შედეგად ბავშვის ჯანმრთელობას, გადარჩენას, განვითარებას ან ღირსებას ზიანი ადგება ან ამგვარი მაღალი ალბათობაა.

ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, ისე როგორც ადამიანის უფლებების ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება და დოკუმენტი დისკრიმინაციის აკრძალვისა და ყველა პირის ცხოვრებისა და ღირსების პატივისცემის პრინციპებს ეფუძნება. ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი მკაფიოდ აღიარებს, რომ ძალადობა ადამიანის ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი ბავშვების ეკონომიკური და სოციალური ექსპლოატაციისგან დაცვას ითვალისწინებს. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი ცალსახად კრძალავს ბავშვისა და 18 წლამდე ასაკის მოზარდის სიკვდილით დასჯას. დოკუმენტი ასევე, მოითხოვს ბრალდებულ და მსჯავრდებულ ბავშვებთან კარგად მოპყრობას, მათ მიმართ ძალადობის თავიდან არიდებისთვის. „ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია სრულად გამოიყენება 18 წლამდე გოგონების მიმართ. კონვენციის მე-16 (2) მუხლი სახელმწიფოებს ბავშვების დაწინდვისა და ქორწინების შემცირებისთვის სათანადო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ზომების მიღებისკენ მოუწოდებს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-16 მუხლის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ყველა ფორმის ექსპლოატაციისგან, ძალადობისა და ცუდად მოპყრობისგან დასაცავად ყველა ზომა უნდა გაატარონ და თითოეულმა სახელმწიფომ ბავშვების დაცვისთვის ბავშვზე ორიენტირებული კანონმდებლობა და პოლიტიკა შეიმუშაოს.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია ბავშვებზე ძალადობის საკითხებთან მიმართებით ყურადღებას პრევენციასა და რეაბილიტაციაზე ამახვილებს. კონვენციის მიზანი ბავშვების ემოციური და ფიზიკური ზიანის შიშისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უზრუნველსაყო-

ფად ეკონომიკური და სოციალური მგრძნობელობის დაცვაა. პრევენციული ღონისძიებების მიუხედავად, ბავშვზე ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, სახელმწიფომ ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და ინტეგრაციისთვის სათანადო ღონისძიებები უნდა გაატაროს.

კონვენციის მე-19 მუხლი სახელმწიფოებს მშობლისგან, კანონიერი მეურვისა თუ ნებისმიერი ადამიანისგან ძალადობისა და ცუდი მოპყრობის ყველა ფორმისგან ბავშვის დასაცავად ყველა ღონისძიების გატარებას ავალდებულებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, დაცვის ასეთი ზომები ბავშვისა და მასზე მზრუნველი პირების მხარდასაჭერად სოციალური პროგრამების შემუშავებისთვის ეფექტიან პროცედურებს უნდა ითვალისწინებდეს. სახელმწიფოებმა გაფრთხილებისა და გამოვლინების, შეტყობინების განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის საკითხებისა და ბავშვთან სასტიკი მოპყრობის შემთხვევებთან გამკლავების სხვა ღონისძიებებიც უნდა შეიმუშაონ და აუცილებლობის შემთხვევაში, სასამართლო პროცედურის მექანიზმებიც შექმნან.

ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ და ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“ ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისოსამართლებრივი ჩარჩოს შექმნაში. ისინი ძალადობის კონკრეტული ფორმებისგან ბავშვების უფრო კონკრეტულ დაცვას ითვალისწინებენ.

2007 წელს, ევროპის საბჭომ ბავშვების მიმართ ძალდობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი კონვენცია მიიღო – სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვების დაცვის კონვენცია. აღნიშნული დოკუმენტი ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული პირველი კონვენციაა, რომელიც ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმას მათ შორის, ოჯახში ან სახლში ძალადობას, ჩადენილს ბავშვის დაშინებით ან დარწმუნებით, დასჯად ქმედებად აცხადებს.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარების უმრავლესობა ბავშვების მიმართ ძალადობას მეტ-ნაკლებად ეხება, თუმცა, ამ საკითხზე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ზოგადი კომენტარი №8 „ბავშვის ფიზიკური დასჯისა და დასჯის სხვა სასტიკი ან დამამცირებელი ფორმებისგან დაცვის უფლება“. ზოგადი კომენტარის შესაბამისად, ფიზიკური დასჯა არის ნებისმიერი დასჯა, რომელიც განხორციელდება ფიზიკური ძალის გამოყენებით და ტკივილისა და დისკომფორტის გამოწვევას ისახავს მიზნად, როგორი მსუბუქიც არ უნდა იყოს იგი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისგან დაცვას და მოითხოვს წევრი სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს ყველა სათანადო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა ზომა, რათა დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, როგორც სახლში, ისე მის გარეთ, ყველა სახის ექსპლუატაციის, ძალადობისა და ბოროტად მოპყრობისგან, მათ შორის, გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის პრევენციის, დამოუკიდებელი ხელისუფლე-

ბის მხრიდან ეფექტური მონიტორინგის და ძალადობის მსხვერპლთა, ექსპლუატაციისა და ძალადობის რეაბილიტაციის პროგრამების უზრუნველსაყოფად. მოქმედი კანონმდებლობა და პოლიტიკა, მათ შორის ქალებსა და ბავშვებზე ორიენტირებული კანონმდებლობა და პოლიტიკა, უნდა უზრუნველყოფდეს იდენტიფიკაციას, გამოძიებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ექსპლუატაციის შემთხვევების, ძალადობისა და შეურაცხყოფის დევნას. კონვენცია აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები ხშირად ძალადობის, დაზიანების ან შეურაცხმყოფელი და უგულისყურო მოპყრობის, ცუდი მოპყრობის ან ექსპლუატაციის უფრო დიდი რისკის ქვეშ იმყოფებიან, სახლშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

ბავშვზე ძალადობის ფორმებია: ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, იძულება და უგულებელყოფა.

ძალადობის ამსახველი სცენა (The scene depicting violence) – კადრი, სადაც ასახულია განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, თვითმკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, წამება, დასახიჩრება.

წ

წამების აკრძალვა (The prohibition of torture) – წამება საერთაშორისო სამართალში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ომისა და ზოგადი სახიფათო სიტუაციის დროსაც კი, აბსოლუტურად აკრძალულია. გაეროს 1984 წლის კონვენცია „წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“ განმარტავს წამებას, როგორც ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ ადგება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორიცაა მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც ეჭვმიტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის **დისკრიმინაციაზე** დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ ან მისი წაქეზებით, ან ნებართვით, ან მისი სიტყვიერი თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება – რომის სტატუტი წამებას ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს მიაკუთვნებს და განმარტავს მას, როგორც „მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის ან ტანჯვის განზრახ მიყენებას იმ პირისთვის, რომელიც ბრალდებულის პატიმრობაში ან სხვა ფორმით კონტროლქვეშ იმყოფება; ამასთან, წამებად არ ჩაითვლება ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც მხოლოდ გამოწვეულია კანონიერი სანქციით, მისი განუყოფელი ნაწილია ან მას შემთხვევით სდევს თან“, მაგრამ უნდა იყოს „ჩადენილი ნებისმიერი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ან სისტემური თავდასხმის ნაწილად, როდესაც თავდასხმა გაცნობიერებულია“. წამების,

სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისგან ან დასჯისგან დაცვის უფლება ყველა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტის ნაწილია და წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის იმპერატიულ ნორმას – jus cogens, რომლის თანახმადაც, აკრძალულია წევრი სახელმწიფოების ან სხვა აქტორთა მხრიდან გადახვევა.

„ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის დებულებები კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს იმგვარი ქმედებებისგან თავის შეკავებას ავალდებულებს, როგორიც არის წამება ან სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. ბავშვის ხელშეუვალობის დაცვის უფლება განსაკუთრებით, „ბავშვის უფლებების შესახებ" კონვენციის 37-ე მუხლის „ა" პუნქტშია დაცული. ამ მუხლის დებულებები უფრო წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვას ეხება, ვიდრე თავისუფლების თვითნებურ ან უკანონო შეზღუდვას, თავისუფლებაშეზღუდულ ბავშვებთან გამოსაყენებელ პროცედურებსა და თავისუფლებაშეზღუდული ბავშვის უფლებას, ჰქონდეს სამართლებრივი დახმარება. ამ მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, „არც ერთი ბავშვი არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. 18 წლამდე პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მის მიმართ არც სიკვდილით დასჯის, არც გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე სამუდამო პატიმრობის გამოყენება არ შეიძლება".

წინასწარი პატიმრობა (Pretrial detention) – სისხლის სამართლის პროცესში აღმკვეთი ღონისძიებების ერთ-ერთი სახე, რომელიც თავისუფლების იძულებითი შეზღუდვით გამოიხატება (საგამოძიებო იზოლატორში მოთავსება), წინასწარი გამოძიებისა და წინასწარი სასამართლო განხილვის პერიოდში. ასევე, გამოიყენება სასამართლოს გადაწყვეტილების ან პროკურორის სანქციის საფუძველზე (სხვადასხვა ქვეყნებში).

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის (მუხლი 9) მიხედვით, დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრულია, რომ მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი გამოყენებით არის შესაძლებელი. არასრულწლოვნის დაპატიმრება წარმოადგენს უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც შეძლებისდაგვარად, მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნას გამოყენებული.

ხ

ხელახალი ვიქტიმიზაცია (Re-victimisation) – საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ხელახალი ვიქტიმიზაცია ნიშნავს **არასრულწლოვანი დაზარალებულისათვის** ზიანის მიყენება ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.

ტერმინის – „ხელახალი ვიქტიმიზაცია" განსაზღვრება მოიცავს „ნებისმიერ სექსუალურ ძალადობას ან **გაუპატიურებას** სხვა დამნაშავის მხრიდან პირველადი ვიქტიმიზაციის შემდეგ" და ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არსებობს სტატისტიკურად მაღალი ალბათობა, რომ სექსუალური ძალადობის ან გაუპატიურების მსხვერპლი ბავშვი დროის მცირედ მონაკვეთში ან მოგვიანებით, მოზარდობის შემდგომ პერიოდში, კვლავ

გახდება ძალადობის მსხვერპლი.

ხელმისაწვდომი სასამართლო პროცესი (Access to court and to the judicial process) – ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები (პარ. 34-36, 96), ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების თაობაზე, განმარტავს, რომ უფლების დარღვევის შემთხვევაში, ეროვნული კანონი შესაძლებელობას უნდა აძლევდეს ბავშვს, მიმართოს სასამართლოს. ამისათვის კანონმა ბავშვი უნდა გაათავისუფლოს ყოველგვარი სასამართლო ხარჯისგან და უზრუნველყოს იურიდიული დახმარება. საპროცესო ქმედუნარიანობის ფიქსირებული ასაკის მითითება გამორიცხავს ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობების და აღქმის უნარის გათვალისწინებას და შესაძლოა ზოგჯერ, უსამართლო იყოს. ამიტომ ქვეყნის კანონმდებლობამ უნდა შექმნას საფუძველი, ბავშვმა მიმართოს სასამართლოს, როდესაც ის სათანადოდ აცნობიერებს საკუთარ უფლებებს.

ჯ

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ხელმისაწვდომობა (Enjoyment of the highest attainable standard of health and to facilities for the treatment) – ყველა ბავშვს აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 24-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ შეელახოს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ამგვარ მომსახურებაზე. ამ მხრივ, კონვენცია განსაზღვრავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვანია წევრი სახელმწიფოების მხრიდან ამ უფლების რეალიზებისათვის.

ჯარისკაცი ბავშვები (Child Soldiers) – ბავშვი ჯარისკაცების მონაწილეობას ომში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, სამართალი არ კრძალავდა. 1949 წელს, ჟენევის კონვენციების I და II დამატებითი ოქმების მიღებასთან ერთად, 1977 წლიდან აიკრძალა 15 წლამდე ბავშვების მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტებში. კონვენცია ომიანობის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ასევე, იცავს ბავშვებს შეიარაღებულ კონფლიქტებში, თუმცა დამატებითი პროტოკოლი არეგულირებს სახელმწიფოების უფლებებსა და ვალდებულებებს ბავშვების ჯარში გაწვევასთან მიმართებით. ამ დოკუმენტების საფუძველზე პირველად გახდა შესაძლებელი, რომ ბავშვების შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტა მომხდარიყო სამართლებრივ ჩარჩოში. I დამატებითი ოქმის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ყველა შესაძლო ზომა გაატარონ, რათა 15 წლის ასაკამდე ბავშვები არ გაიწვიონ შეიარაღებულ ძალებში და არ ჩაერთონ ომში რაიმე ფორმით. II დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანხმად, რომელიც გამოიყენება არასაერთაშორისო კონფლიქტების მიმართ, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, 15 წელს მიუღწეველი ბავშვები შეიარაღებულ ძალებსა და დაჯგუფებებში მონაწილეობისგან დაიცვან. ბავშვის უფლებების კუთხით, აღნიშნულ მუხლებს ბევრი სუსტი მხარე აქვს: ისინი არ იცავენ 15 წელზე უფროს ბავშვებს,

გამოყენებულია ტერმინი „ხელმისაწვდომი ღონისძიებები“ და „არა აუცილებელი ღონისძიებები“ და ბავშვების ე. წ. არაპირდაპირი მონაწილეობა კონფლიქტში არ იკრძალება.

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის 38-ე მუხლი ჰუმანიტარული სამართლისგან განსხვავებულ უფლებებს არ ითვალისწინებს.

1999 წელს, შრომის საერთაშორისო ორგანზიაციამ მიიღო C182 კონვენცია „ბავშვის შრომის ყველაზე უარესი ფორმების შესახებ“, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვის შეიარაღებულ ძალებში გაწვევას დანაშაულად კვალიფიკაციასა და პრევენციას ეხება. ბავშვის შრომის ყველაზე უარესი ფორმების განმარტება შეიცავს მონობისა და მონობასთნ გათანაბრებულ ქმედებებს, ვალის საფუძველზე მუშაობასა და ყმობას, იძულებით ან სავალდებულო შრომას, მათ შორის, ბავშვების იძლებით ან სავალდებულო გაწვევას შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობისას, ექსპლოატაციის მიზნით. ეს კონვენცია 18 წლამდე ასაკის პირებს ბავშვად განიხილავს. კონვენცია შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვი ჯარისკაცების გამოყენების წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

სისხლის სამართლის საერთაშრისო სასამართლოს დაფუძნებისა და რომის სტატუსის თანახმად (რომის სტატუტი, მე-8 მუხლი), ომის დანაშაულები ასევე, ნიშნავს „...თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევასა და შეგროვებას ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ან მათ გამოყენებას სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად“.

ჰ

ჰიპერაქტივობის სინდრომი (Syndrome of hyperactivity) – გონებრივი აშლილობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ინდივიდს უჭირს ყურადღების კონცენტრაციის მოხდენა, მოუსვენარია, ზომაზე მეტად აღგზნებულია და უჭირს ქცევის გაკონტროლება.

ბიბლიოგრაფია

UNICEF, **„Children's Rights Glossary"**, Florence, Italy, 2000;

Guidelines on Children in Contact with the Justice System, London, 2016;

UNICEF, **„Implementation Handbook For The Convention On The Rights of The Child"**, Geneva, Switzerland, 2007;

The Council of Europe, **„The best interests of the child – A dialogue between theory and practice"**, Strasbourg, France, 2016;

Interagency Working Group, **„Terminology Guidelines for the Protection of Children from Sexual Exploitation and Sexual Abuse"**, Luxemburg, 2016;

European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, **„Handbook on European Law relating to the rights of the child"**, 2015;

Guidelines on Justice in Matters involving Child victims and Witnesses of Crime, ECOSOC Resolution 2005/20;

The Council of Europe, the Committee of Ministers Recommendation CM/Rec (2018)7 **„Guidelines to respect, protect and fulfil the rights of the child in the digital environment"**, (2018);

General Comments prepared by the Committee on the Rights of the Child: https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en&TreatyID=5&DocTypeID=11

Glossary of Psychology Terms and Definitions: https://psychologenie.com/glossary-of-psychology-terms-definitions

ნევენა ვუჩკოვიჩ შაჰოვიჩი, იააპ ე. დოეკი, ჟან ცერმატენი, **„ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში"**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015;

ლ. ალექსიძე, ლ. გიორგაძე, ზ. დავითაშვილი, მ. კვაჭაძე, კ. კორკელია, დ. პატარაია, ი. ქურდაძე, **თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი,** თბილისი, 2003;

ლ. თოთლაძე, გ. გაბრიჩიძე, ჩგ. თუმანიშვილი, პ. ტურავა, ე. ჩაჩანიძე, **განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი,** GIZ, IRZ, 2012;

მ. ნარინდოშვილი, ჩგ. მელაძე, **ადამიანის უფლებები,** თავისუფლების ინსტიტუტი, 2005;

ბავშთა დაცვა ძალადობისგან (რეფერირების პროცედურები), World Vision Georgia;

გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის განყოფილება, **„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო დოკუმენტი“**, 2011;

ა. ქელბაქიანი, ნ. ცაგარელი, ჩგ. ტურაზაშვილი, კვლევის ანგარიში **„არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“**;

UNICEF, **„საერთაშორისო სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“**, 2011;

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მინიმალური სტანდარტული წესები („პეკინის წესები“), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 40/33, 1985;

პატიმრებთან მოპყრობის შესახებ გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები (ნელსონ მანდელას წესები), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/70/175, 2015;

არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 2005/20, 2005;

თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების დაცვის გაეროს წესები (ჰავანას წესები), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 45/113, 1990;

არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები (ერრიადის პრინციპები), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/45/112, 1990;

ევროსაბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ, ლანზაროტეს კონვენცია, 2007;

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010;

ევროკავშირის დირექტივა 2011/93 ბავშვთა სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ, 2011;

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ, 2010;

არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები (ევროპული წესები), ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec, 2008;

ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), ევროპის საბჭო, 1996;

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950;

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 217A, 1948;

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2200A(XXI), 1966;

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2200A (XXI), 1966;

წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ კონვენცია, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 39/46[2], 1984;

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (CRC), გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 44/25, 1989;

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/54/263, 2000;

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინებების პროცედურების შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია A/RES/66/138, 2011;

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბელის რეზოლუცია A/RES/54/263, 2000;

ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყონებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ, C182, შრომის საერთაშორისო კონფერენცია, 2003;

საქართველოს კონსტიტუცია, 1995;

საქართველოს ორგანული კანონი **„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“**, 2014;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1990;

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015;

საქართველოს კანონი **„შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“**, 2017;

საქართველოს კანონი **„სოციალური მუშაობის შესახებ“**, 2018;

საქართველოს კანონი **„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“**, 2017;

საქართველოს კანონი **„იურიდიული დახმარების შესახებ“**, 2007;

საქართველოს კანონი **„საერთაშორისო დაცვის შესახებ“**, 2016;

საქართველოს კანონი **„ზოგადი განათლების შესახებ“**, 2005;

საქართველოს კანონი **„პაციენტის უფლებების შესახებ“**, 2000;

საქართველოს კანონი **„მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“**, 2001;

საქართველოს კანონი **„თამბაქოს კონტროლის შესახებ“**, 2010;

„არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №180 ბრძანება, 2015;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილება **„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“**.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 20 77
www.supremecourt.ge